ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 6 ოქტომბერი 1998 №179 (714) ფასი 50 თეთრი

## ქართველებს სხვისი მხოლოდ ქულები უნდათ

[illegible] ფოტო

კობა ინასარიძე

რიგიდან



— ჰა, უნდა მოგვიგოთ?

— აბა, წასაგებად ხომ არ ჩამოვსულვართ.

— ფრეზე შევთანხმდეთ.

— ნორვეგიელთა მძლეველნი ქართველებთან შინ ფრეზეც ყაბულს ხართ?

— თქვენც ხომ მოიგეთ?

— ალბანეთი და ნორვეგია ერთია?

— არა, მაგრამ...

— მიბრძანდით, გეთაყვა — რიგის აეროპორტში დიალოგი მესაზღვრემ შემაწყვეტინა, თორემ ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ დიდმოხელესთან საუბარს კარგა ხანს გავაგრძელებდი.

მალტაზე გაცნობილმა კაცმა უმალ გამიხსენა და მომაძახა კიდეც, ქართველები მაინც მაგრები ხართო. უკან მივიხედე, პასუხი უნდა გამეცა, მაგრამ აღარ დამცალდა, ჩემს წინ ფრანკფურტის რეისით ჩამოფრენილი გელა შეყილაძე და გიორგი გახოკიძე იდგნენ. ისინი თითქმის ჩვენთან ერთად ჩამოვიდნენ რიგაში, ჰოლანდიაში მოთამაშე დანარჩენი ქართველები კი, კობიაშვილის, შელიასა და ქეცბაიას დარად, როცა ამ წერილს წაიკითხავთ, უკვე ლატვიის დედაქალაქის სასტუმრო „რადისონში“ იქნებიან.

ჩვენი ეროვნული გუნდი სწორედ „რადისონ ჰოტელში“ მოეწყო. ბიჭებმა ისადილეს და აქაურად ხუთ საათზე „სკონტოს“ ბაზისკენ გასწიეს სავარჯიშოდ. ჯერჯერობით სადარდო არაფერია, მხოლოდ ნიკა ტოგონიძის თამაშია სათუო, რომელსაც „დინამოსთან“ მატჩისას მარჯვენა ხელის შუა თითი ამოუვარდა და ძალიან სტკივა. სხვა აქ ჩამოსულთ კი არაფერი აწუხებთ. თუმცა ისინი „ჰამბურგთან“ დაშავებულ ალექსანდრე იაშვილისა და ფეხმტკივან არჩილ არველაძის გარეშე დარჩებიან. ესენი რიგაში ვერ ითამაშებენ.

რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებს, მათი მრავალსართულიანი სასტუმროს ფანჯრებიდან პირდაპირ მოჩანს „რადისონი“. თუმცა იქ მისასვლელად მანქანით ნახევარი საათის სავალია. ამ ორ სასტუმროს ფართო მდინარე დაუგავა ჰყოფს, მასზე კი ლამის მილიონიან ქალაქში სულ სამი ხიდია გადებული. ამიტომაცაა ძნელი ულამაზეს რიგაში მანქანით მოძრაობა. ჯობს, ფეხით იარო, დატკბე ლატვიის დედაქალაქის არქიტექტურით, მწვანე პარკებითა და გაკრიალებული ქუჩებით.

დიდებისგან განსხვავებით, ახალგაზრდები ჯანმრთელობას არ უჩივიან. ეგაა მხოლოდ, აშვეთიას სტკივა ფეხი. ლანდიც აქაა, ოღონდ, უწინდელისგან განსხვავებით, მასთან ურთიერთობისას გიგლა იმნაძე უფრო თამამადაა.

როგორც ჩანს, ლატვიელთა უმეტესობისთვის ფეხბურთი სულერთია. ნორვეგიასთან კი მოვიგეთ, მაგრამ მაინც არაფერი გვეშველება. აი, თქვენ თუ დაგამარცხეთ და მესამე მატჩიც არ წავაგეთ, მაშინ სხვა იქნება, უკვე სერიოზულად შევხედავთ ჩვენს ფეხბურთელებს. დღეს კი კალათბურთი უფრო გვაინტერესებს, ვიდრე ფეხბურთიო, გვითხრა აქაურმა ჟურნალისტმა, რომელიც ერთადერთი იყო, ვინც ჩვენებურთ სასტუმროში დახვდა.

ჯერჯერობით მომიტინგენი რიგაში არსად ჩანან. არადა, ორიოდ დღის წინ აქაურ, დემონსტრაციულად პირაკრულ რუსულენოვან მოსახლეობას დიდი მანიფესტაცია მოუწყვია, აქაოდა, რუსულად ლაპარაკს ნუ დაგვიშლითო. არადა, რუსეთის ხელში გამოვლილ ლატვიელებს მათთან ურთიერთობისას ერთთავად ალერგია სჭირთ.

ერთიც. აეროპორტიდან გამოსულმა ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ პანოვმა ვლადიმერ გუცაევის მინიშნებით ვილაცას გასძახა. კაცმა უკან მოიხედა, რა მოხდაო, თვალებით იკითხა. პანოვმა კი, რაღა რა მოხდა, მანქანის საბურავთან დაიხედე, ამას ვის უტოვებო. იქვე საკმაოდ შესქელებული საფულე ეგდო. მადლობაო, უთხრა ჩვენებურს და იქაურობას გაშორდა. ის კაცი ლატვიელი იყო და ამიტომაც ვიტყვი — ჩვენებს სხვისი არაფერი უნდათ, ეგაა, სათამაშოდ გასულები ლატვიელებისთვის ქულების დათმობას არ აპირებენ.

## მარცხი ორივე ფრონტზე

ელისტის საჭადრაკო ოლიმპიადიდან მოსულმა ახალმა ამბებმა კიდევ ერთხელ ჩაგვაგდო საგონებელში. არადა, როგორი იმედი გვქონდა, რომ ჩვენი ქალთა ნაკრების ფიასკო ვიეტნამელებთან შემთხვევითი გამოდგებოდა. მომდევნო სამი გამარჯვება ვენესუელასთან (3:0), ბოსნიასთან (3:0) და პოლონეთთან (2:1) თითქოს საკმარისი საბუთი იყო ოპტიმიზმისთვის, მაგრამ...

ბოლო მარცხი რუსეთის I ნაკრებთან მით უფრო სამწუხაროა მაია ჩიბურდანიძის მორიგი გამარჯვების ფონზე. იოსელიანი და ხურციძე, რომელთაც პარტიები წააგეს, აშკარად ვერ ახერხებენ ჩვეულად თამაშს. იგივე ითქმის არახამიაზეც. ჩვენებისგან განსხვავებით, მეტად მძლავრად თამაშობს ჩინეთის ნაკრები, რომელმაც დღესაც 3:0 მოიგო და ახლა ჩვენს ნაკრებს მთელი 4 ქულით უსწრებს. შვეიცარიული სისტემით თამაშისას კი დარჩენილ 6 ტურში ამ სხვაობის დაძლევა მეტად რთული ამოცანაა.

ვერც მამაკაცთა ფრონტიდან მივიღეთ უკეთესი ცნობები. ბელარუსებთან შეხვედრაში პარტიები დათმეს აზმაიფარაშვილმა და სტურუამ, ხოლო ბალათუროვმა და ჯანჯღავამ ნახევარ-ნახევარი ქულა დაინარჩუნეს. მატჩის საბოლოო ანგარიში, ცხადია, ჩვენთვის მეტად უნუგეშოა — 1:3. დღეს ოლიმპიადაზე უქმობენ...

დავით გულუა

**2 ტური**

6 ოქტომბერი. სამშაბათი

შევარდენი — ვითა

სტუ — კოლხა

7 ოქტომბერი. ოთხშაბათი

თსუ — სდასუ

მაკაბი — აზოტი

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 6 | 2 | 0 | 23:7 | 20 |
| დინამო | 7 | 6 | 1 | 0 | 28:5 | 19 |
| დილა | 9 | 5 | 2 | 2 | 11:7 | 17 |
| ლოკომოტივი | 9 | 4 | 5 | 0 | 13:4 | 17 |
| იბერია | 9 | 5 | 0 | 4 | 20:18 | 15 |
| კოლხეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 16:9 | 14 |
| ბათუმი | 9 | 3 | 4 | 2 | 17:10 | 13 |
| ოდიში | 8 | 4 | 0 | 4 | 6:11 | 12 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 3 | 1 | 5 | 10:11 | 10 |
| მერანი | 9 | 2 | 4 | 3 | 7:11 | 10 |
| არსენალი | 9 | 2 | 3 | 4 | 6:16 | 9 |
| თსუ | 9 | 2 | 2 | 5 | 8:12 | 8 |
| გურია | 9 | 2 | 1 | 6 | 8:22 | 7 |
| სამგურალი | 9 | 2 | 1 | 6 | 7:21 | 7 |
| გორდა | 8 | 1 | 4 | 3 | 5:6 | 7 |
| სიონი | 9 | 1 | 2 | 6 | 10:25 | 5 |

კვირას მცხეთაში: „ლოკომოტივი“ — „დილა“. ორი გორელი: შატაკიშვილი და ბალაშვილი

**9 ტური**

2 ოქტომბერი, პარასკევი

| | |
|---|---|
| თსუ | 4 |
| არსენალი | 1 |

3 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 4 |
| სიონი | 0 |
| ოდიში | 1 |
| გორდა | 0 |
| ბათუმი | 0 |
| მერანი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| დინამო | 2 |
| იბერია | 3 |
| სამგურალი | 1 |
| ტორპედო | 3 |
| გურია | 0 |

4 ოქტომბერი, კვირა

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 0 |
| დილა | 0 |

## CARTU & TBILISI LADIES OPEN 98
## თბილისს ფასი დაედო
### ქართული ტურნირის რუსული ფინალი

კვირას ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე CARTU & TBILISI LADIES OPEN 98 დასრულდა.

ერთკვირიანი შესანიშნავი სანახაობის შემდეგ, რომელმაც სპორტის მოყვარულებს არაერთი დაძაბული მატჩი და დადებითი ემოციები აჩუქა, თბილისი ერთი წლით ისევ დაემშვიდობა დიდ ჩოგბურთს, თუმცა ქალთა პირველობის გაზრდილი საპრიზო ფონდი და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაძლიერებული შემადგენლობა საგაისოდ კიდევ უფრო ოპტიმისტურად განგვაწყობს (თან იქნებ 50 ათასსაც შევწვდეთ).

შაბათს გამართული ნახევარფინალური შეხვედრები დაახლოებით ერთნაირი სცენარით წარიმართა, თუმცა ამათგან პირველი — ტურნირზე მეორედ განთესილ ევგენია კულიკოვსკაიასა და არა მარტო ჩვენთვის, არამედ, ალბათ, მთელი საჩოგბურთო სამყაროსთვის უცნობ მარტინა სუჩას შორის განსაკუთრებული დრამატულობით გამოირჩეოდა.

17 წლის სლოვაკმა თბილისში შესანიშნავად იასპარეზა: მერვედფინალში მესამედ განთესილი ჩინელი ჟან ქუანი გააგდო, მეოთხედფინალში მერვედ განთესილი ფრანგი კაროლინ იაგინიაკი და ამჯერადაც ცოტაღა უკლდა გამარჯვებას. სუჩა (თუმცა მის გვარს ზოგი სუკად გამოთქვამდა, ზოგი სუხად), რომელიც კორტზე აბსოლუტურად უემოციო ჩანდა, ტურნირის სხვა მონაწილეთაგან განსხვავებით არც სიმაღლით გამოირჩეოდა და არც ჯანით, ის კი არა, გამოთქმა „ძვალი და ტყავი“ გუსტავო კუერტენის გარდა მისებრ, ალბათ, არც ერთ ჩოგბურთელს არ ესადაგებოდა.

მით უფრო საოცარი იყო, რომ ასეთი აგებულების სლოვაკი აგრესიულ, შემტევ ჩოგბურთს თამაშობდა და ბურთსაც შესაშური ძალით ურტყამდა ორივე მხრიდან. სწორედ ამის ხარჯზე იყო, პირველი სეტის წაგების შემდეგ რუსი გვარიანად რომ შეავიწროვა, ანგარიშიც გაუთანაბრა და გადამწყვეტ პარტიაში 3:1 დაწინაურდა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

[illegible] ფოტო



თბილისის ქალთა ღია პირველობის წლევანდელი გამარჯვებული ევგენია კულიკოვსკაია

ფოთი
3 ოქტომბერი
16 საათი
ფაზისი
500 (ტევადობა 10 000)

## კოლხეთი 4:0 სიონი

1:0, 2:0 წიწიბაძე (44, 50); 3:0, 4:0 გვასალია (52, 81)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, ქუნთელია (გოროზია 58), ტორჩინავა, ახვლედიანი, პაპავა (შალამბერიძე 46), ღლანიძე, კალანდაძე, სუხიაშვილი (შავგულიძე 78), გვასალია, წიწიბაძე, მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია, ქუტიძე, გიორგობიანი, ბაჩილავა
**სიონი:** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ძნელაძე (კ. ჯაფარიძე 61), თ. სამხარაძე, დ. ბერიძე (დ. მეტრეველი 55), გოგოლაძე, მაზანაშვილი (ი. ჯაფარიძე 53), გაგუა, მოსეშვილი
*სათადარიგონი:* ვოლკოვი, დ. სვანიძე
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე; ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

# მზე... ჰამლეტი... სპარტაკი

**კონსტანტინე გოგიშვილი** ფოთიდან

უსაშველოდ ცხელოდა 3 ოქტომბერს დასავლეთში. რა გასაკვირია, ფოთშიც მზეს რომ გაეთანგა ყოველი. ამად თუ იყო, „კოლხეთი“ — „სიონის“ თამაშმა ძირითადად აკადემიურ, საშუალოზე დაბალ ტემპში ჩაიარა. შეხვედრაში უპირატესობას მთლიანად მასპინძლები ფლობდნენ და მიუხედავად პირველი ნახევრის უილბლობისა, ზღვისპირელებმა მაინც მოახერხეს დიდი ანგარიშით გამარჯვება. გამარჯვება, რომელსაც სათავე ჰამლეტ წიწიბაძემ დაუდო. ასე არ შედგა ფოთში სპარტაკ არჩვაძის დებიუტი.

როგორც შევიტყვეთ, „სიონის“ ახალი თავკაცი აქცენტის გაკეთებას ახალგაზრდებზე აპირებს. არავინ იცის, რამდენ ხანში და როგორ დაძლევს „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელყოფილი „სიონის“ პრობლემებს, მაგრამ უძნელესი მისიის შესრულება რომ მოუწევს ფაქტია.

თავის მხრივ, სრულიად განსხვავებული მიზნები აქვთ კოლხებს. გუნდის პროგრესი აშკარაა, ევროსარბიელზე ფიასკოს შემდეგ ფოთელებმა ძნელად, მაგრამ მაინც შეძლეს ჩვეული სათამაშო ხელწერის დაბრუნება და აკი შედეგიც სახეზეა — „კოლხეთი“ ნელ-ნელა მიიწევს მაღლა სატურნირო ცხრილში.

ახლა ორიოდე სიტყვით მატჩზეც... კოლხთა მთავარი მეპასის, ნოზაძის არყოფნაში ფოთელებმა ფლანგებზე სწრაფი გარღვევებით გადაწყვიტეს ფონს გასვლა და არც შორეული დარტყმები დაუკლიათ მეკარე დალაქიშვილისთვის, რომელიც, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ნორმალურად ირჯებოდა (რომ არა „სიონის“ კარის დარაჯი, ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდა).

პირველი 45 წუთის განმავლობაში კოლხებს დაახლოებით ექვსი, სტუმრებს კი მხოლოდ ერთი მომენტი ჰქონდათ. მასპინძელთაგან ღლანიძისა და კალანდაძის შორეულ დარტყმებს საჯარიმოში წიწიბაძისა და გვასალიას აქტიური გარჯა ემატებოდა, „სიონის“ ერთადერთი ხიფათი კი ყიფშიძე-სამხარაძის დუეტმა შექმნა, მაგრამ ქვაჩახიამ ივაჟკაცა.

მიუხედავად შთამბეჭდავი უპირატესობისა, ზღვისპირელებმა გოლი მხოლოდ ტაიმის მიწურულსღა გაიტანეს — ახვლედიანის მორიგი ფლანგური გარღვევა საჯარიმოს ცენტრისკენ ჩაწოდებით დამთავრდა, სადაც ბურთი, წიწიბაძემ მოიგდო და დაახლოებით ჩვიდმეტი-თვრამეტი მეტრიდან აუღებელი დაურტყა დალაქიშვილს.

მეორე ნახევარში გუნდები ნორმალურად არ ათამაშებულიყვნენ, რომ ისევ წიწიბაძემ და მერე გვასალიამ (თავით), ფაქტობრივად, ხელი მოუთავეს ბოლნისელებს. 52-ე წუთზე ფოთელები უკვე 3:0 დაწინაურდნენ ამის შემდეგ არც არაფერი მომხდარა დასამახსოვრებელი. გუნდებმა მთელი დარჩენილი დრო საჯარიმოდან საჯარიმომდე ოდნავ აჩქარებულ ძუნძულში გალიეს. მეოთხე გოლი კი მაინც გავიდა — გვასალია-კალანდაძე-გვასალიას „სპარტაკის“ (არჩვაძის არა, მოსკოვის), სტილში შესრულებული კომბინაცია, ელდარმა დააგვირგვინა და შეხვედრას წერტილიც დაუსვა.

ერთხელაც, შეხვედრის მიწურულს, შეეძლო „კოლხეთს“ გატანა. კვლავ დალაქიშვილმა იმარჯვა...

ზუგდიდი
3 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
3000 (ტევადობა 7 500)

## ოდიში 1:0 გორდა

1:0 ენდელაძე (74)
**ოდიში:** ნაყოფია, ღურწკაია, პ. ლურსმანაშვილი, ანჯაფარიძე, ტყემალაძე, კ. კვეკვესკირი, ჩადუნელი (ტაბალუა 83), ბარქაია, კუტალია (მარკოზია 46), თოლორდავა (თოლორაია 89), ენდელაძე
*სათადარიგონი:* გოგია, ჯაბუა, აკობია, იოსავა
**გორდა:** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, კედელაშვილი, ტარტარაშვილი (დ. მენთეშაშვილი 82), ზირაქაძე (კ. ალადაშვილი 66), ზ. ლაბაძე, ჩუხუა, შ. კაპანაძე
*სათადარიგო:* ბედიაშვილი
**გაფრთხილება:** ბექაური (7), ბარქაია (55)
**მსაჯები:** თ. მაჭარაძე (ხონი), მ. ელიკაშვილი, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
**სფფ-ს დელეგატი:** გ. გვანცელაძე

# ყოფნა-არყოფნა

**თენგიზ ძორჩუა** ზუგდიდიდან

რამდენიმე წლის წინ, როცა საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ჩატარება „ოდიშს“ ძირითადად ნეიტრალურ მოედანზე უხდებოდა, რადგან სტუმარი გუნდები ზუგდიდში ჩასვლას ვერ ბედავდნენ. ერთადერთი გამონაკლისი „გორდა“ აღმოჩნდა. რუსთაველებმა გივი ნოდიას თავკაცობით არაფრად ჩააგდეს სხვა გუნდების ხელმძღვანელთა „რჩევა-დარიგებები“ და მატჩი ზუგდიდში გამართეს. მასპინძლები დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ ფაქტს, გულშემატკივარიც დიდი პატივისცემით მიესალმა მათ და მიუხედავად ზუგდიდელთა მარცხისა, სტუმრები ტაშით გააცილეს. ამას დღესაც იხსენებენ ზუგდიდელები და რუსთაველებს განსაკუთრებული სითბოთი ხვდებიან.

პატივისცემა პატივისცემად, მაგრამ... ორივე გუნდს წლეულს ძალიან გაუჭირდა და ლიგაში დასარჩენად მებრძოლ მეტოქეთათვის ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, შეხვედრის პირველი ნახევარი მეტად უინტერესოდ, ნელ ტემპში წარიმართა.

ასეთი თამაშის შემხედვარეს მავანს შეიძლებოდა კითხვაც გასჩენოდა: „არის კი ეს ფეხბურთი?“ „ოდიში“ მარტივი და ერთფეროვანი კომბინაციებით ცდილობდა ფონს გასვლას, მაგრამ სტუმართა მცველები მეტ-ნაკლებად უშეცდომოდ თამაშობდნენ და იშვიათად თუ იქმნებოდა სახიფათო მომენტი. მხოლოდ ერთხელ მოახერხა კუტალიამ რამდენიმე ფეხბურთელის მოტყუება და საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დაარტყა, ბურთმა ძელთან ჩაიქროლა.

რუსთაველები კი ძირითადად კონტრშეტევაზე აგებდნენ თამაშს და შორიდან დარტყმაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

მეორე ტაიმი უფრო საინტერესო სანახავი გამოდგა. პირველი ოცი წუთის განმავლობაში ძალიან აქტიურად გამოიყურებოდა მასპინძელთა მარცხენა ფლანგი. ჩადუნელმა პირდაპირ აიკლო სტუმართა დაცვა და რომ არა თავდამსხმელთა უსუსური თამაში, ანგარიში შეიძლებოდა ადრევე გახსნილიყო. მარკოზიამ კი აშკარა საგოლე გადაცემა ვერ შეირგო და ზედ კარის ხაზიდან ვერ დაარტყა.

მასპინძელთა ყველა ჩაწოდებული კუთხური სახიფათო იყო. ლურსმანაშვილისა და ტყემალაძის თავურებით შეიძლებოდა გოლი გასულიყო, მაგრამ პირველის დარტყმული მეკარეს პირდაპირ ფეხებში მოხვდა, ხოლო მეორის ძლიერად გასროლილმა ჯვარედინს ჩაუქროლა.

რუსთაველთა კონტრშეტევებიც გამწვავდა, მაგრამ შორი მანძილიდან დარტყმების მოგერიება ნაყოფიას არ უჭირდა.

გოლი კი საკმაოდ მოულოდნელად გავიდა. სტუმართა მეკარე ქორიძეს თოლორდავასთვის ბურთის ასართმევად საჯარიმოდან საკმაოდ შორს მოუხდა გამოსვლა და აართვა კიდეც, მაგრამ ბურთი ენდელაძეს მიუვიდა. ზუგდიდელთა ლიდერმაც ისარგებლა იმით, რომ კარი ცარიელი იყო და 28-30 მეტრიდან საკმაოდ ზუსტად კარში ჩაახვია. ერთ-ერთმა მცველმა თავით სცადა მოგერიება, მაგრამ ბურთს ვერ შესწვდა.

ამის მერე უპირატესობას მთლიანად სტუმრები დაეუფლნენ და მატჩის ბოლომდე საკმაოდ კარგადაც ირჯებოდნენ, მაგრამ მათ ბრძოლას ნაყოფი არ გამოულია.

ამ გამარჯვებით ზუგდიდელებმა საკმაოდ გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა, მაგრამ თუ კლუბის საშინაო საქმეებს რიგიანად არ მიხედეს, შესაძლოა სავალალო შედეგი მოიმკან. პრეზიდენტყოფილ ვახტანგ ნანავას ფინანსური მაქინაციების შედეგად კლუბს იმხელა ვალი დაუგროვდა, მისი გადახდა, ალბათ არარეალურია. თანაც ძველს კი არა, ახალ ხარჯებს ვერ აუდიან.

უახლოეს დღეებში კი მთელი ქალაქის საზოგადოების შეკრების შემდეგ პასუხი უნდა გაეცეს ერთ, ერთი შეხედვით მარტივ კითხვას: ყოფნა-არყოფნა.

მცხეთა
3 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3000)

## ვიტ ჯორჯია 0:2 დინამო

0:1 ცქიტიშვილი (14), 0:2 გ. შენგელია (33)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, დ. დოლიძე (კვიციანი 63), დვალიშვილი, ზ. გვაზავა, ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე, გოჩაშვილი (ენუქიძე 67), პეტრიაშვილი (თ. ბოკერია 35)
*სათადარიგონი:* გუგუნავა, ლამბაშიძე, აბაზაძე, ვ. ქუთათელაძე
**დინამო:** გვარამაძე, ლ. მიქაძე, ჯელაძე, დიდავა, დ. მუჯირი (კვარაცხელია 46), გუჩუა, კოკაძე (ლ. მელქაძე 46), ა. სახვაძე, აშვეთია (ბ. შენგელია 46), ცქიტიშვილი, გ. შენგელია
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, ქემოკლიძე, ზ. არჩვაძე
**გაფრთხილება:** ცქიტიშვილი (65), კვიციანი (79)
**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; ს. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი; ზ. დარჩია (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ვ. მახარაძე

# დიდმა ისევ მოიგო...

**პაატა კვანტალიანი** მცხეთიდან

შაბათს „არმაზზე“ გამართული მორიგი დედაქალაქური დერბი სტუმართა გამარჯვებით დასრულდა. „დინამომ“ უპრობლემოდ დაამარცხა მეტოქე და მორიგი სამი ქულაც ჩაიწერა აქტივში.

არადა, იმ დღეს სტუმრებს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ. „დინამომ“ ზუსტად ისე ითამაშა, როგორც უეფას თასის 1/32 ფინალის საპასუხო შეხვედრაში „ტილბურგთან“, მაგრამ გაიმარჯვა, გაიმარჯვა რადგან საქართველოს პირველობის მორიგ კალენდარულ მატჩს თამაშობდა და მისი მეტოქე, საშუალოზე დაბალი დონის ევროპული გუნდის ნაცვლად, ჩვენი ქვეყნის საშუალოზე ოდნავ მაღლა მდგომი გუნდი იყო. ეჰ, აკი ვამბობდით, ევროპაში დიდად შერცხვენილი „დინამო“ ჩვენთან დიდი გუნდიაო, ვაი, რომ მართლაც ასეა და ამას ვერასგზით გავექცევით. შაბათს „არმაზზე“ „დინამო“ იდგა (ფეხბურთელები დროგამოშვებით თუ გაიქცეოდნენ), ბურთიც ბევრი ათრია, დაცვაშიც ბევრი შეცდომები დაუშვა, მაგრამ სამი ბურთის მილების ნაცვლად ორი გაიტანა, მეტიც შეეძლო, თუმც არ მოინდომა. გაშვებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია — „კოშკა“ 84-ე წუთზე გადახტა პირველად.

თამაში კი მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო და მე-5 წუთზე სახვაძის შეცდომა გოჩაშვილმა ვერ გამოიყენა — ხელსაყრელი პოზიციიდან უხეიროდ დაარტყა. ამის შემდეგ კი თამაში ჩვენი ჩემპიონატისთვის ჩვეულ, დუნე კალაპოტში ჩაჯდა და ესეც გაგრძელდა. ცქიტიშვილის გოლზეც ვთქვათ — ლევანმა საჯარიმოს სიახლოვეს მიიღო ბურთი, მის წინ სამი მცველი აღიმართა. თავდამსხმელმა კი ხუთწამიანი(!) პაუზა გააკეთა (ტილბურგელი მცველები ამ ხუთ წამში ხუთჯერ „წააცლიდნენ“ ფეხებს ცქიტიშვილს) და აუღელვებლად გადაგზავნა ბურთი ჭურაძისგან მარცხენა მაღალ კუთხეში. „დინამომ“ მალე მეორედაც იხეირა, ვიტელთა მცველებმა უპრობლემოდ შეაცილეს გიორგი შენგელია საჯარიმოში და მანაც დაუცველ კარში აუღელვებლად შეაგორა ბურთი. თავის მხრივ, ვიტელებიც ცდილობდნენ თამაშის სადავეების ხელში ჩაგდებას, მაგრამ მათი მცდელობა საჯარიმოს მისადგომებთან იფუშებოდა უკეთეს შემთხვევაში არაზუსტი დარტყმებით მთავრდებოდა. ყველაზე სახიფათოდ ვეტერინარებმა შეხვედრის მიწურულს შეუტიეს. მენთეშაშვილი — კვიციანი — ნოზაძის კომბინაცია ამ უკანასკნელის კარში დარტყმით დამთავრდა. ჰოდა, „კოშკამაც“ თავში ხსენებული ერთადერთი ნახტომით ბურთი კუთხურზე მოიგერია.



ჯაბა მუჯირმა ლევან მიქაძესთან ვერაფერი გააწყო

[illegible] ფოტო

სამტრედია
3 ოქტომბერი
16 საათი
ეროსი მანჯგალაძე
400 (ტევადობა 15 000 )

## იბერია 3:1 სამგურალი

0:1 ფაიქიძე (14), 1:1 ჩომახიძე (43), 2:1 ივეჩიანი (78), 3:1 ვ. გიგიაძე (87)
**იბერია:** გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, ამაშუკელი (გ. ჭელიძე 14), შ. ჩომახიძე, მუმლაძე (ხუჭუა 55), ვ. გიგიაძე, ივეჩიანი (მიქელთაძე 86), ბრეგვაძე
*სათადარიგონი:* ჩაჩუა, ფხაკაძე, ლორთქიფანიძე, ვარდიაშვილი
**სამგურალი:** სტურუა, ფაიქიძე, გ. თევზაძე, ლ. ქობულაძე, მახვილაძე, ი. ხაჭაპურიძე (ზ. ქუთათელაძე 79), მ. ჯინჭარაძე, უგულავა (კოპალიანი 85), დარსაძე, თევდორაძე (ძაგნიძე 73), კ. ჯანაშია
*სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი, ფილიპაშვილი, ჯავახაძე, ლონლაძე
**გაფრთხილება:** ხაჭაპურიძე (17), სტურუა (35), ბრეგვაძე (57), გეგეშიძე (68), ხუჭუა (69), ფაიქიძე (78), ლურსმანაშვილი (82)
**გაძევება:** ფაიქიძე (78)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში)
**სფფ-ს დელეგატი:** ჯ. ანთიძე

# ხატულა, ჯიგარო! მსაჯო,...

**იუზა კაციტაძე** სამტრედიიდან

„სამგურალის“ გასაჭირზე გვითქვამს. გუნდი უქულობასთან ერთად უფულობასაც შეუწუხებია. წინა კვირაში იყო, ფეხბურთელები კლუბის მესვეურთ რომ აუმხედრდნენ: ან ვალი გაგვისტუმრეთ, ან სათამაშოდ აღარ გავალთო. წყალტუბოს მერთან შეხვედრის შემდეგ ცხელ გულზე მოთამაშეების ორმა მესამედმა წასვლაც კი გადაწყვიტა, თუმცა... მეორე დღესვე „სამგურალი“ თითქმის უკლებლივ შეიკრიბა, შემდეგაც გულიანადვარჯიშობდა, მატჩის წინა დღეს სრულფასოვანი შეკრებაც გაიარა და სამტრედიაში ერთობ მობილიზებული, საბრძოლო განწყობილებით ჩავიდა. აბა, სხვა რა გზა ჰქონდა?

„იბერიას“ კი... სამტრედიელებს ჯერჯერობით წყალტუბოელებზე უკეთესად აქვთ საქმე, თუმცა პრობლემები არც მათ აკლიათ. წინა კვირაში გუნდმა ისრაელს გამგზავრებული გიორგი დარასელია მოისაკლისა, თანაც აღმოჩნდა, რომ არც „იბერია“ ყოფილა ფინანსურად წელგამართული. გუნდში ორი თვის ხელფასის, პრემიალურის, საკონტრაქტო თანხების გაცემა დაგვიანდა და... „სამგურალს“, ფაქტობრივად, უვარჯიშებელნი დაუხვდნენ. თურმე, არც ისინი აპირებდნენ თამაშს, მაგრამ წინა დღეს კუთვნილის ნაწილი მიუღიათ და მატჩის ჩაშლაც გადაუფიქრებიათ.

მოკლედ, იმერული დერბი მაინც შედგა და თუ ამ მატჩის საოქმო ნაწილს უკვე გაეცანით, წითელ-ყვითლების სიმრავლემ არ შეგაცდინოთ. იმერლებს ერთმანეთი არ დაუწყვეტიათ, პირიქით, თავად თამაში კორექტული იყო. უხეშობისათვის მხოლოდ ხაჭაპურიძე დაისაჯა სამართლიანად. სტურუა საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისათვის იქნა გაფრთხილებული, ლურსმანაშვილი დროის განზრახ გაყვანისთვის, ბრეგვაძემ და გეგეშიძემ მსაჯთან კამათი სცადეს, ხუჭუამ არბიტრს პენალტს დავტყუებო და... სიმულაციისათვის ერგო ყვითელი. ფაიქიძის გაფრთხილება და იქვე მოედნიდან გაძევება სამტრედიელთა მეორე გოლს მოჰყვა. სტუმრებმა იგი თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილად მიიჩნიეს და სამხარაძეს მიეჭრნენ. ფაიქიძემ სწორედ აქ „იაქტიურა“, კვარაცხელიამაც აღარ დაინდო, წყალტუბოელი ყვითელმა რომ არ დააწყნარა, წითელი აუფრიალა.

არადა, „სამგურალმა“ კარგად დაიწყო, მასპინძლებს ტოლი არაფერში დაუდო. უფრო მეტიც, ლამის მთელი პირველი ტაიმი სტუმრები გაცილებით ორგანიზებულად ირჯებოდნენ. სავსებით ლოგიკური გახლდათ სამტრედიელთა კარში გატანილი ბურთიც. წყალტუბოელებმა სწრაფად შეუტიეს, ჯანაშიამ მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა, იქ ბურთს ხაჭაპურიძე დაეუფლა და უმალ ფაიქიძეს გადააწოდა. მანაც აღარ დააყოვნა, ახლო მანძილიდან, არცთუ ძლიერად, სამაგიეროდ ზუსტად დაარტყა და დოლიძეც ამაოდ გადახტა. გოლსმოყოლილ 3 წუთში სტუმრებს ორჯერ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ჯერ დოლიძემ აულო ხაჭაპურიძეს 15 მეტრიდან დარტყმული, მერე ფაიქიძემ ვერ ისარგებლა უგულავას მშვენიერი პასით, საჯარიმოში შესულმა დარტყმას ძალა ვერ დაატანა. „სამგურალს“ რომ ამ ორი ეპიზოდიდან ერთში მაინც ეხეირა, „იბერიას“ თამაშის გადარჩენა, ალბათ, ძალიან გაუჭირდებოდა. მაგრამ სამტრედიელებს ფორტუნამ გაუღიმა და ისინიც ნელ-ნელა მოეგენ გონს და სტუმრებს თავად შეუტიეს. მასპინძელთა ყველა იერიში ჩომახიძეზე გადიოდა. იგი მართლაც გამორჩეული იყო, ყველგან ასწრებდა და წყალტუბოელებს სხვებზე ხშირად აწუხებდა. „შენ უნდა გვიშველო, ხატულა“ — ამხნევებდნენ ტრიბუნებიდან შოთას და ისიც ინდომებდა. 22-ე წუთზე „ხატულას“ მიერ კარის დაბალ კუთხეში შორიდან სახიფათოდ დარტყმული სტურუამ თავგანწირულ ნახტომში კუთხურზე მოიგერია. ხუთ წუთში იმავე სტურუამ სამტრედიელთა „შვიდიანს“ საჯარიმოდან მოჭრილი ურთულესი ბურთი აულო. სტუმრები ინიციატივის დათმობას არ აპირებდნენ და ორჯერ მაგრადაც დააფრთხეს მეტოქის დაცვა, თუმცა ფაიქიძეს დარტყმები კვლავაც გაუცუდდა. მასპინძლებმა მაინც იძალეს და პირველ ტაიმშივე გაათანაბრეს ანგარიში. სხვა ვინ, ისევ ჩომახიძემ იმარჯვა. საჯარიმოდან ულამაზესი გოლი გაიტანა, სტურუას პირდაპირ ცხრიანში დაურტყა. „ხატულა, ჯიგარო!“ — იქუხეს ტრიბუნიდან.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდმა ბევრი იჯახირა. კარგად ჩანდა, წყალტუბოელები დაიღალნენ და ქულაზეც ყაბულს იყვნენ. მასპინძლებს ეს არ აწყობდათ, მაგრამ სახეიროს ვერაფერს შვრებოდნენ. დიდი უპირატესობის მიუხედავად მთელი ნახევარი საათი სამტრედიელები ერთხელაც არ დამუქრებიან სტუმრების კარს. ამ მატჩში ფრე, ალბათ, ყველაზე სამართლიანი შედეგი იქნებოდა, მაგრამ... ჩომახიძემ ჯარიმა დაარტყა, ბურთი „სამგურალის“ საჯარიმოში აღმართულ „კედელს“ მოხვდა და ბრეგვაძეს მიუვიდა, „ფიგარომ“ კარში დარტყმა სცადა, მაგრამ მარჯვნივ გადაცემა გამოუვიდა, სადაც მცველებისგან მიტოვებული ივეჩიანი და ხუჭუა იდგნენ, თითქოს ოფსაიდშიც, მაგრამ გვერდითს თამაშგარე არ დაუფიქსირებია (სამხარაძემ თამაშის შემდეგაც განაცხადა, ჩემს სიმართლეში დარწმუნებული ვარო), ივეჩიანმა უხერხულად კი დაარტყა, მაგრამ სტურუამ რეაგირება ვერ მოასწრო. ამ გოლმა სტუმრებს საბოლოოდ წაუხდინა თამაშის მადა. მასპინძლებმა უფრო მძლავრად შეუტიეს. ჩომახიძე ბოლო გოლის თანაავტორიც იყო. იგი ვასო გიგიაძესთან ერთად გაიჭრა საჯარიმოსკენ. მათ მხოლოდ თევზაძე ეწინააღმდეგებოდა. ჩომახიძემ მარჯვნივ გაიგდო ბურთი, თითქმის კარის ხაზამდე ჩააღწია და იქიდან ზუსტად უპასა პარტნიორს. ვასოც ცარიელ კარს ხომ არ ააცილებდა.

ბათუმი
3 ოქტომბერი
16 საათი
დინამო
2000 (ტევადობა 18 000)

## ბათუმი 0:0 მერანი

**ბათუმი:** მალაყმაძე, ვერემჩუკი, პაპიძე, ქიქვეიშვილი, სიჭინავა, თორლაშვილი, ღლონტი, ყულეჯიშვილი (რომანაძე 85), კანტიძე (მაქაცარია 30), გადელია (აფხაზავა 18), რუსია
*სათადარიგონი:* ტოგონიძე, ფუტკარაძე, ნადირაძე, მეავანაძე
**მერანი:** ლომაია, ივანიშვილი, ასპინძელაშვილი, ცქიფურიშვილი, დანელია, გეწაძე, გელა ქორიძე, ბაჯელიძე (დევიძე 79), გ. კვეტენაძე (ჯიშკარიანი 77), ხუციშვილი (მესხი 46), დავითაშვილი
*სათადარიგონი:* ნაჭყეპია, ხარებავა, ჩანადირი
**გაფრთხილება:** დანელია(15), ცქიფურიშვილი(80)
**მსაჯები:** გ. ასკაროლლი (ქარელი), ლ. რაზმაძე (გორი), ა. ორდენიძე (ონი); ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
**სფფ-ს დელეგატი:** ბ. ქარქაშაძე

# ყველგან რუსია

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

თუ არ ჩავთვლით წინა ტურში „დინამოსთან" სტუმრად მიღწეულ უპრინციპულეს ქულას, ზღვისპირელებს თბილისურ კლუბებთან წელს ერთობ უჭირთ, თანაც საკუთარ კედლებში. თავად განსაჯეთ. პირველ ტურში ნასტუმრევ „ვიტ ჯორჯიასთან" სულაც წააგეს, ხოლო „ლოკომოტივთან" და გასულ შაბათს „მერანთანაც" ოდენ ფრეს დასჯერდნენ. მატჩის ოქმის გაცნობისას, თვალში საცემი მასპინძელთა შესუსტებული შემადგენლობა გახლდათ. მართლაც, წინა მატჩისგან განსხვავებით მათ ოთხი წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ. ამათგან მაჭუტაძე ტულუში და მახარაძე განაცხადშიც არ იყვნენ (არადა გარეგნულად თითქოს სალსალამათნი ჩანდნენ), ხოლო ტოგონიძემ სათადარიგოთა შორის მალაყმაძის ადგილი დაიკავა, რომელსაც თავის მხრივ, კარგა ხნის სათადარიგო სკამის ხეხვის შემდეგ, როგორც იქნა კარის დაცვა ანდეს, რაც არცთუ ურიგოდ გამოუვიდა. თუმცა არც დიდი ჯაფა დასდგომია.

მატჩის სცენარი, როგორც ბოლო წლებში ბათუმს ჩვევია ისეთი იყო. „ბათუმი" შეტევას ცდილობდა, „მერანი" თავს იცავდა (როგორც შეეძლოთ). მთლიანობაში კი გამარჯვებულნი სტუმრები დარჩნენ. არა, მათ მოგებით არ მოუგიათ, მაგრამ ხომ იბრძოლეს და რაც მთავარია წაგებითაც არ წაუგიათ. ჰოდა, აბა მეტი რა უნდოდათ.

სამწუხაროდ ჩვენში ასეა მიღებული — თუ გუნდი შედარებით ძლიერ მეტოქესთან, ნებისმიერი ხერხით შეძლებს საკუთარი კარის დაცვას, ისიც კმარა, ისიც დიდი მიღწევაა. აკი ამბობდნენ კიდევაც მატჩის შემდეგ მასპინძელთა ქოგმაგნი, ყოჩაღ, „მერანს" კარგი გუნდი ჰყოლიაო.

მატჩის პირველი წუთები, თითქოს დიდი ბრძოლის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. უკვე მეორე წუთისთვის, ორჯერ შექმნეს ხიფათი სტუმრებმა და ორჯერვე მალაყმაძემ ივარგა. ჯერ იყო და, კვეტენაძის 30 მეტრიდან ძლიერად გასროლილი ბურთი, ლამაზ ვარდნაში კუთხურზე მოიგერია. კუთხურიდან ჩაწოდებულზე კი, ქორიძის სახიფათო თავურსაც ჯეროვნად დაუხვდა. აქედანვე გეტყვით, რომ „მერანს" ხიფათი მთელი მატჩის განმავლობაში მეტად არც შეუქმნია, თუ არ ჩავთვლით ეპიზოდს, როცა ბოლო წუთებში მათ შეტევაში გართული ზღვისპირელთა დასჯა შეეძლოთ — ექვსი ტრანსპორტელი ორი მცველის წინააღმდეგ აღმოჩნდა, მაგრამ ქორიძის ჯიშკარიანისადმი უხეირო პასმა, ყველაფერი წყალში ჩაყარა.

ზემოთ თქმულ პირველ შეტევებს, „ბათუმმა" სწრაფად უპასუხა და მეათე წუთისთვის გატანაც შეეძლო. საჯარიმოში რუსიამ მოხდენილი ფინტით დანელია გააბითურა, მაგრამ პენალტის ნიშნულიდან ძლიერი დარტყმით, ოდენ ხარიხა შეაზანზარა. საერთოდ, თუ კი ვინმეს გამოყოფა შეიძლება მასპინძელთა შორის, ეს უდაოდ რუსიაა. მან იმდენი იმოძრავა, იმდენი იშრომ-ილვაწა, რომ ლანდივით ადევნებულ მეურვე დანელიას სისხლი გაუშრო (განსაკუთრებით პირველ ტაიმში) და რაც კი ხიფათი შეიქმნა, ყველგან თვითონ ფიგურირებდა. შესვენებამდე რუსიას კიდევ ერთხელ შეეძლო სტუმართა გამწარება, როცა ღლონტის ფლანგიდან ჩაწოდებულზე, ლომაიას წამით დაასწრო და დაუცველ კარში თავითაც დაარტყა, მაგრამ ააცდინა. აი მეორე ტაიმში კი, მანვე ორი ხელსაყრელი შანსი გაუშვა ხელიდან და ორივე შემთხვევაში ასისტენტობა ყულეჯიშვილმა გასწია. პირველ შემთხვევაში, რუსიამ ათიოდ მეტრიდან ლომაიას გაარტყა ბურთი, მეორეს არგატანაში კი, მეკარის წვლილი უფრო დიდი იყო — მან თითქმის აულებელი ბურთი, ბოლო მომენტში ჩინებულ ვარდნაში კუთხურზე უკუაგდო.

დაბოლოს მივადექით მთავარს — მსაჯობას, რომელმაც ზღვისპირელ ქომაგთა დიდი მითქმა-მოთქმა და ვნებათაღელვა გამოიწვია. საკამათო აქ სამი ეპიზოდი იყო. პირველი, მე-15 წუთზე იშვა, როცა რუსიას მიერ კარის გასწვრივ ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს, გადელია კარში გზავნიდა, ოღონდ ეგ არის რომ ასპინძელაშვილს დარტყმის მომენტში შეეჯახა და მოგვიანებით შესაცვლელიც შეიქნა. ფანები კი ითხოვდნენ, მაგრამ პენალტი ნაღდად არ იყო. მცველმა აშკარად ბურთზე ითამაშა. მეორე სადავო ეპიზოდი პირველი ტაიმის ბოლოს მოხდა — რუსიამ ჩინებული დრიბლინგით გაიბრწყინა და საჯარიმოში შესული წაიქცა (ან წააქციეს). აი, აქ კი, პენალტის დანიშვნა, ალბათ, უპრიანი იყო, თუმცა დანამდვილებით ამის თქმა ერთი შეხედვით მაინც ძნელია. მესამე ეპიზოდი მსაჯის წამატებულ წუთებში შეიქმნა, მაგრამ ისევ და ისევ რუსიას წაქცევა, უფრო საკუთარ ინიციატივას, ანაც დაღლილობას უნდა მივაწეროთ, ვიდრე მცველის უხეშ თამაშს. ამ მომენტმა კი, ისედაც აღშფოთებული ფანობა კიდევ უფრო ალაშფოთა. დაძაბულობამაც პიკს მიაღწია და როგორ მოახერხეს მსაჯებმა მინდვრიდან გასვლა, საკვირველი აი, ეს იყო.

ქუთაისი
3 ოქტომბერი
16 საათი
გივი კილაძე
3 500 (ტევადობა 23 800)

## ტორპედო 3:0 გურია

1:0, 2:0 ქებაძე (5, 57), 3:0 მეგრელაძე (79)
**ტორპედო:** ასლანაძე (მამარდაშვილი 86), შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ჩხაიძე, მაღლაკელიძე, თურმანიძე, კ. მეტრეველი, ქებაძე, ვაჩიბერაძე (ყიფიანი 58), იონანიძე, მეგრელაძე
*სათადარიგონი:* გ. გოგოლაძე, შ. ფუტკარაძე, გენებაშვილი, ვადაჭკორია, კვერნაძე
**გურია:** ვარდანიძე, ფაცურია, ზ. კვეკვესკირი, კუკულაძე, განევი (ჩიქვილაძე 65), თიბილაშვილი, ინიაშვილი (კავთელაძე 75), დ. მახარაძე, ჩიგოშვილი, მელაძე, ბულუხია (პატარაია 62)
*სათადარიგონი:* გოგუა, იობიძე
**გაფრთხილება:** მეგრელაძე (1)
**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; მ. ჯულაყიძე (სამივე სამტრედია)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. კაკულია

# არა ფულითა მხოლოდ...

**ვახტანგ ბზიკაძე ქუთაისიდან**

„გურიასთან" მატჩამდე „ტორპედო" ორმაგი დილემის წინაშე აღმოჩნდა. ერთი, ტრადიციულად, ყველასთვის მეტად მნიშვნელოვანი, იმდენად მწვავე არ ჩანდა, როგორც შემადგენლობის პრობლემა.

ტორპედოელებს 900-900 ლარამდე დაგროვებიათ გაუსტუმრებელი გასამრჯელო და კვირის ბოლოს ჯიბეცარიელნი ხვდებოდნენ.

პარასკევს საღორიის საწვრთნელ ბაზაზე ჩოჩქოლი იყო. იქ გახლდათ გუნდის ბედით დაინტერესებული არაერთი ქომაგი. იყო ხალხი და იყო მოლოდინი. თბილისიდან კლუბის დირექტორსა და ვიცე-პრეზიდენტს თანხის მცირე ნაწილი მაინც უნდა ჩამოეტანათ.

უფულოდაც ვითამაშებთ — ასეთი იყო ტორპედოელთა პასუხი — ახლა გუნდის ღალატი როგორ იქნებაო.

დიახ, ჩემპიონატის ლიდერს ფინანსური ჩავარდნა აქვს, რომელიც სამეათედოდ მაინც შეივსო, მაგრამ მთავარი პრობლემა ძირითადის ერთბაშად ხუთი ფეხბურთელის მოსაკლისება იყო. ჩხეტიანი, ჯინჭარაძე და კვეტენაძე ტრავმამ შეაწუხა, ჯანაშია დისკვალიფიცირებული გახლდათ, ვაშაკიძეს კი დამატებითი პრობლემა შეექმნა, ბესიკ ჯიქიას საქართველოში არყოფნაში პატრონმა ჯერაც გაუფორმებელი ავტომანქანა წაჰგვარა.

„ტორპედომ" წლეულს სულ 18 ფეხბურთელი გამოსცადა. აქედან ორი — მეკარე. ზემოთქმულ ხუთს ორი მოთამაშის არყოფნაც ემატებოდა. ჩხაიძე და ყიფიანი ქუთაისში თამაშის დღეს ჩამოვიდნენ.

მოკლედ, ბოლოჯერ მხოლოდ თორმეტმა ტორპედოელმა ივარჯიშა — მათ შორის ორმა მეკარემ და ჯანაშიამ. ჯემალ ხერხაძეს ხუთი ფარმკლუბელი, გუნდთან მოვარჯიშე გია ჭანტურია და მალხაზ ვოსკანოვი რომ არ შეემატებია, ხეირიან ორ გოლსაც ვერ გამართავდა.

პირველადგილოსანი „ტორპედო" რომ ასეთ დღეში იქნებოდა, აუტსაიდერ „გურიას" რაღა დღე უნდა დაჰყროდა. გურულები თამაშის დღეს შეიკრიბნენ და ქუთაისს ერთ-ერთი ლიდერის გია გიორგაძის გარეშე, უვარჯიშებელნი ეწვივნენ.

„არსენალთან" ჯემალ ხერხაძემ 7 მცველით და 3 თავდამსხმელით მოიგო. „გურიასთან" წინახაზელთა რაოდენობა ხუთამდე გაიზარდა. ერთადერთი თავდამსხმელი, რომელსაც უმეტესად ნახევარდაცვაში ათამაშებენ, ზაზა ვაჩიბერაძე იყო. ქებაძე და მეტრეველი კი ძირითადში წლეულს პირველად მოხვდნენ.

ხელახალი დებიუტი და უფორმობა თქვი და, ლევან ქებაძემ ორჯერ კი გაიტანა. ჯერ პირველ ტაიმში ჩვეული ჩახლაფორთებით მიუახლოვდა საჯარიმოს და ქუთაისელები ლამის დაგორებული დარტყმით დააწინაურა. მეორედ ვაჩიბერაძის ჩაწოდება გამოიყენა და „ტორპედოს" სიფრთხილეს, ემანდ, ასეთ დღეში მყოფთ „გურიასთან" არაფერი ხიფათი შევიმთხვიოთო, ბოლო მოეღო.

ბოლო ბურთი მეგრელაძემ ყიფიანის ჩინებული პასით ვარდანიძეს ახლო კუთხეში გაუტანა, რითაც ბევრი მომენტის გაცუდება ნაწილობრივ გამოისყიდა. ვერა და ვერ იხეირა ბომბარდირობისთვის მებრძოლმა ზურაბ იონანიძემ, არადა, შანსი მასაც არაერთი ჰქონდა...

მცხეთა
4 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
1 500 (ტევადობა 3 000)

## ლოკომოტივი 0:0 დილა

**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, კაციაშვილი (კოტორაშვილი 72), თარხნიშვილი, ხორგუაშვილი, მარლიშვილი (დ. გოდერძიშვილი 60), კვიტატიანი, ნ. მინდიაშვილი (დაუშვილი 46), კ. მელქაძე, გ. ლუდუშაური
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, არსოშვილი, მ. მინდიაშვილი
**დილა:** მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, გ. ჩიტაია, შატაკიშვილი (თაყაძე 77)
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, დ. მაისურაძე, მოსულიშვილი, ახალკაცი
**გაფრთხილება:** კაიდარაშვილი (19)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი), პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); გ. მგელაძე (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** თ. ფანიაშვილი

# მუნჯის ენა დედამ იცის

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**

გორელებმა „არმაზზე" ბურთაობა კარგად დაცადეს. „დილას" მცხეთაში თამაში არ წაუგია. წლეულს თსუ-ს აართვეს ექვსი ქულა, მერე სტუდენტებს ვიტელებიც მიაყოლეს, ხოლო გუშინწინ მახარაძის „ლოკომოტივთან" დაზავდნენ.

ახლა ნაადრევია იმაზე საუბარი, საყაიმო ანგარიშით ვინ უფრო იხეირა, მაგრამ ამეთი შედეგი რომ ადრევე მოსალოდნელი იყო, ამას თქმაც არ უნდა.

მცხეთაში გორელები გორელებს ებრძოდნენ. ცალ მხარეს „დილა" იდგა, მეორეზე გორელებით გაძლიერებული „ლოკომოტივი".

თემურ მახარაძემ სტუმრებს „დილას" ხუთი ყოფილი ფეხბურთელი დაუპირისპირა, ერთიც, მეექვსე, თადარიგში ჰყავდა გამწესებული.

ხუთი თვის წინ როინ მარლიშვილი, ზურაბ ხორგუაშვილი, გიორგი ბალაშვილი, ვაჟა თარხნიშვილი და მახარე მინდიაშვილი „დილასთვის" იხარჯებოდნენ. ეს ოთხეული სულაც გუნდის წამყვან მოთამაშეებად გვევლინებოდა. ბუნებრივია, მათ კარგად უწყოდნენ „დილას" ავან-ჩავანი.

თავის მხრივ „დილას" თავკაცობასაც ბოლომდე ჰყავს შესწავლილი ყოფილი ფეხბურთელები. მოკლედ, ბრძენ ხალხს რომ უთქვამს, ისე გამოვიდა — მუნჯის ენა დედამ იცისო.

მასპინძლები მთელი თამაშის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას. რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ ბოლო დარტყმას ხან ძელ-ხარიხა იგერიებდა, ხანაც მდივანის საკბილო ხდებოდა.

„ლოკომოტივი" კი უტევდა, მაგრამ უფრო არეულად და ქაოსურად. ამის მიზეზად მარლიშვილის ჩრდილში ყოფნა შეიძლება მივიჩნიოთ. სტუმართა გუნდის თავკაცმა როინს პერსონალური მეურვე მიუჩინა. ფეზუაშვილმაც ყოფილი თანაგუნდელი არად ჩააგდო და იოლად გაუვნებელყო.

იგივე ითქმის ხორგუაშვილზეც. თავდამსხმელი გაგნიძის და სამხარაძის მარწუხებში ექცეოდა და მხოლოდ საჰაერო დუელების მოგებით ცდილობდა ფონს გასვლას.

„დილამ" მცხეთაში თავგანწირვისა და მონდომების მორიგი გაკვეთილი ჩაატარა. ახალგაზრდა გორელები ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ წამყვანი ფეხბურთელების წამოსვლით „დილას" არა ფასი მოჰკლებია, პირიქით, სასიკეთოდ წაადგა. „დილა" ადრე არასდროს ყოფილა ასეთი ბრძოლისუნარიანი და მიზანდასახული გუნდი.

მცხეთაში თამაში არ გამოუვიდათ ვეტერანებს. ციცქიშვილმა და მარეხაშვილმა ნახევარდაცვაში სასრგებლო ვერაფერი შექმნეს, მაგრამ ეს დეფიციტი კაიდარაშვილის და კომპანიის გარჯამ შეავსო.

ალეკო კაიდარაშვილმა სულაც მარტომ იტვირთა თავდამსხმელის ფუნქცია. მისი ძალისხმევით „დილა" იშვიათად, მაგრამ მაინც ახერხებდა, შეტევაზე გადასულიყო. ორი მცველიდან ერთი, კვიტატიანი, პერსონალურად ეთამაშებოდა, მეორე — თარხნიშვილი კი ყოველ წუთს მზად იყო, პარტნიორი დაეზღვია.

სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ შექმნეს ხიფათის მაგვარი. ციცქიშვილის მიერ საჯარიმოში ჩაკიდულ ჯარიმას კაიდარაშვილმა შეურჩია კარგად ადგილი. თავური კარს მცირედით ასცდა.

მასპინძელთაგან ხორგუაშვილს ორჯერ შეეძლო გაეტანა, ერთხელ მეკარემ არ დაანება, მეორედ ბურთი ხარიხას მოხვდა. მარლიშვილსაც მეკარემ აულო, დაუშვილსაც, ბალაშვილმა კი ძელი აძგერა.

ერთხელაც მასპინძლები შილაკაძეს პენალტს სთხოვდნენ. ეს მაშინ, როცა გოდერძიშვილი საჯარიმოში წაიქცა, მაგრამ მსაჯმა სხვაგვარად განსაჯა. ისე, ტრიბუნიდან შემხედვარეთ წესის დარღვევისმაგვარი კი მოგვეჩვენა.

„დილამ" ბოლომდე გაძლო და მესამე საფეხურიც სულ ცოტა, შემდეგ ტურამდე შეინარჩუნა.

მცხეთაში გორელი გულშემატკივრებიც იყვნენ. ზედმეტად აქტიური მასა თემურ მახარაძის უკან მოკალათებულიყო. საყვარელი გუნდის ქომაგობით რომ გული იჯერეს, მერე „ლოკომოტივის" თავკაცს მიუბრუნდნენ.

— რომ დაერიე ამ გორელებს და თბილისში წამოასხი, არ გიჯობდა, გორში თავად ჩამოსულიყავიო.

ვალში არც მახარაძე დარჩენიათ — უპატრონეთ მერე და ვერც ვერავინ წაგართმევთ ფეხბურთელებსო.

მართალი იყო მახარაძე. უფრო მეტი ხელშეწყობა და „დილა" სათქმელს აუცილებლად იტყვის.



ხაჭაპურიძემ და ფეზუაშვილმა არც გოდერძიშვილი (№18) გაახარეს და არც ხორგუაშვილი

# საქართველოს თასი

### მეთექვსმეტედფინალი

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში ეროვნული თასის IX გათამაშების მეთექვსმეტედფინალის წილისყრა გაიმართა. მატერიალურ მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე გუნდები ტერიტორიული პრინციპით დაწყვილდნენ.

წლევანდელ ევროთასებზე მონაწილე „დინამო", „ბათუმი", „კოლხეთი" და „ტორპედო" თასის გათამაშებაში მერვედფინალებიდან ჩაებმებიან.

1/16 ფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

| | | |
|---|---|---|
| ოდიში | - | ენგური |
| *ზუგდიდი* | | *განმუხური* |
| გურია | - | კოლეჯი |
| *ლანჩხუთი* | | *ბათუმი* |
| იბერია | - | სამეგრელო |
| *სამტრედია* | | *ჩხოროწყუ* |
| სამგურალი | - | იბერია 2 |
| *წყალტუბო* | | *სამტრედია* |
| დილა | - | რიონი |
| *გორი* | | *ქუთაისი* |
| ვიტ ჯორჯია | - | მარგვეთი |
| *თბილისი* | | *ზესტაფონი* |
| არსენალი | - | იბერია |
| *თბილისი* | | *ქარელი* |
| მერანი | - | ზოოვეტი |
| *თბილისი* | | *თბილისი* |
| თსუ | - | საუ |
| *თბილისი* | | *თბილისი* |
| ლოკომოტივი | - | ივერია |
| *თბილისი* | | *ხაშური* |
| გორდა | - | ყვარელი |
| *რუსთავი* | | *ყვარელი* |
| სიონი | - | აკადემია |
| *ბოლნისი* | | *თბილისი* |

ვინაიდან თბილისურმა გუნდებმა „ვიტ ჯორჯიამ", თსუ-მ და „ლოკომოტივმა" სათამაშოდ მცხეთის სარბიელი ირჩიეს და სამივეს პირველი შეხვედრების გამართვა შინ უწევს, ფედერაციამ დაადგინა, რომ „ლოკომოტივი" თამაშს გამართავს 8 ოქტომბერს, „ვიტ ჯორჯია" კი 9-ში. ხოლო თსუ — საუ-ს შეხვედრა გადაიდო. რაკი სტუდენტთა ორი ფეხბურთელი — კობა ნინუა და კლიმენტი წიტაიშვილი ახალგაზრდულ ნაკრებში არიან მიწვეული ლატვიელ და ბერძენ თანატოლებთან გასაჯიბრებლად, თსუ-ს თავკაცმა ოთარ გაბელიამ შეხვედრის გადადება მოითხოვა. დანარჩენი მატჩები კი დადგენილ 9 ოქტომბერს გაიმართება, საპასუხო შეხვედრები — ოთხი დღის მერე, 13 ოქტომბერს.

## ინგლისი

# ბერხკამპის ტყუპი დასაწყისი

VIII ტური

### არსენალი 3:0 ნიუკასლი

1:0 ბერხკამპი (21), 2:0 ანელკა (29), 3:0 ბერხკამპი (66პ)
არსენალი: სიმენი, ვინთერბერნი, ვიეირა, დიქსონი, ადამსი, ლიუნგბერგი (მენდესი 76), კიოუნი (ბოულდი 72), პეტი (ჰიუზი 66), ოვერმარსი, ანელკა, ბერხკამპი
ნიუკასლი: გივენი, პირსი, დაბიზასი, ბეტი, სპიდი, ძიცბაია (დალგლიში 45), შარვე, გლასი (ალბერტი 66), სოლანო, გრიფინი, შირერი
გაფრთხილება: ბეტი, დაბიზასი, სპიდი, პირსი
გაძევება: დაბიზასი (65)
მსაჯი: რიდი

### ლივერპული 1:1 ჩელსი

0:1 კაზირაგი (10), 1:1 რედნაპი (84)
ლივერპული: ჯეიმსი, მაკატირი (ჰეგემი 56), კარაგერი, ბაბი (მატეო 24), ბიორნებიუ, ლეონარდსენი (რიდლე 64), რედნაპი, ინსი, ბერგერი, ფაულერი, ოუენი
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ლებეფი, დესაი, ლაუდრუპი (ლამბურდი 90), კაზირაგი (ფლო 69), დიუბერი, ლე სო, დი მატეო, ფერერი, ძოლა (პოიეტი 60)
გაფრთხილება: პეტრესკუ, დიუბერი
მსაჯი: ოლი

### ბლექბერნი 3:0 ვესტ ჰემი

1:0, 2:0 ფლიტკროფტი (10, 47), 3:0 დევიდსონი (68)
ბლექბერნი: ფლაუერსი, დევიდსონი, შერვუდი, პიკოკი, ენჩოსი (კენა 46), ფლიტკროფტი, გალაჰერი (დალინი 65), ვილკოქსი, დარფი (ჯონსონი 77), მაკკინლი, დეილი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, დიქსი, პოტსი (კელერი 61), სინკლერი, ჰართსონი, რაიტი, ფერდინანდი (პოჯესი 85), მონკური, ლამპარდი, პირსი, იმპეი
გაფრთხილება: მონკური, რაიტი, პირსი
მსაჯი: ბურგი

### ქოვენთრი 1:2 ასტონ ვილა

0:1, 0:2 ტეილორი (29, 39), 1:2 სოლტვედტი (71)
ქოვენთრი: ჰედმენი, ნილსონი, ედვორსი, შოუ, გრინი (ვალემი 76), ბოტენგი, ტელფერი, ფროგატი, ქუინი (სოლტვედტი 59), ვილანი, დაბლინი
ასტონ ვილა: ბოზნიჩი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ბერი, ჩარლზი (გრეისონი 69), რაიტი, ტეილორი, ტომპსონი, ჰენდრი, კოლიმორი, მერსონი (ჯოუჩიმი 69)
გაფრთხილება: ტომპსონი, ტეილორი, ჩარლზი, კოლიმორი
მსაჯი: ლოჯი

### დერბი 0:1 ტოტენჰემი

0:1 კემპბელი (60)
დერბი: ჰოულტი, კარბონარი (ბარტონი 89), შნური (ერანიო 80), პაუელი, ვანჩოპე, დელაპი, ბოჰინენი (სტარიჯი 73), ლაურსენი, პრაიორი, კერსლი, ბაიანო
ტოტენჰემი: ბაარდსენი, კარი, კალდერვუდი, ნილსენი, ფოქსი (კლემენსი 86), ანდერტონი, ფერდინანდი, ედინბურგი, ჟინოლა (არმსტრონგი 73), ვეგა, კემპბელი
გაფრთხილება: ნილსენი
მსაჯი: გალაჰერი

### ლიდსი 0:1 ლესტერი

0:1 კოტი (76)
ლიდსი: მარტინი, ჰიდენი, მოლენარი, ვეზეროლი, ჰარტი (გრენვილი 46), ჰალე, ბოიერი (მაკფეილი 86), ჰაალანდი, შარპი, ვაინჰარდი (კოუელი 82), ჰასელბენკი
ლესტერი: კელერი, სავიჯი, ელიოტი, თაგარტი, ალსორნი, ზაგორაკისი (კემპბელი 56), ლენონი, იზეტი, გაპი, კოტი, ჰესკი
გაფრთხილება: ელიოტი, ზაგორაკისი, კემპბელი
მსაჯი: ბარბერი

### მიდლსბრო 4:0 შეფილდი

1:0, 2:0 ბეკი (27, 45), 3:0 რიკარდი (49), 4:0 გესქოინი (90)
მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, ვიკერსი, ფესტა, პალისტერი, მასტო, გესქოინი, ბეკი, თაუნსენდი, რიკარდი (კემპბელი 83), კუპერი
შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, იონკი, უოქერი, კობიანი (ბარეტი 71), ჰემფრისი, ჰინჩლიფი, ტომი, მეგილტონი (სანეტი 71), რუდი (ოუქსი 17), ალექსანდერსონი
გაფრთხილება: ჰემფრისი
გაძევება: ჰინჩლიფი (90)
მსაჯი: პარისი

### ნოტინგემი 0:1 ჩარლტონი

0:1 იუდსი (5)
ნოტინგემი: ბიზანტი, ლუი-ჟანი, როჯერსი, ქუეში (ჰილდი 58), ჩეტლი, სტოუნი, შიპერლი, ჯონსონი, ბარტ-ვილიამსი (პოჯესი 82), ფრიდმენი, არმსტრონგი
ჩარლტონი: ილიჩი, მილსი, პაუელი, რედფერნი (ბრაუნი 89), რუფუსი, იუდსი, კინსელა, ჰანტი (ს. ჯოუნსი 79), მენდონკა, მორტიმერი (კ. ჯოუნსი 72), ტილერი
გაფრთხილება: ტილერი, მილსი, პაუელი
მსაჯი: ჯოუნსი

### საუთჰემპტონი 0:3 მანჩესტერი

0:1 იორკი (11), 0:2 კოული (59), 0:3 კრუიფი (74)
საუთჰემპტონი: ჯონსი, უორნერი, ბენალი, პალმერი, მონკოუ, ლუნდეკვამი (გიბენსი 55), ჰოუელსი, რიპლი (ბითი 63), ოსტენსტადი, ლე ტისიე, ბრიჯი
მანჩესტერი: ვან დერ გოუი, ფ. ნევილი, სტამი, გ. ნევილი, ირვინი (ბრაუნი 78), ბექემი, კინი, ბათი, იორკი (კრუიფი 72), კოული, ბლომკვისტი (შერინგემი 72)
გაფრთხილება: კინი
მსაჯი: ელერეი

### უიმბლდონი 1:2 ევერტონი

1:0 რობერტსი (8), 1:1 კადამარტერი (32), 1:2 ფერგიუსონი (59)
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, კიმბლი, პერი, თეთჩერი, ერლი, რობერტსი, გეილი (კენედი 84), ლიბერლი, ჰიუზი, იუელი
ევერტონი: მირე, ბოლი, დაკურტი, უოტსონი, ანსუორსი, კოლინზი, ფერგიუსონი, პაჩისონი, შორტი, მატერაცი, კადამარტერი
გაფრთხილება: დაკურტი
მსაჯი: ელკოკი

მათი გზები რომ არასდროს გადაიკვეთება, ცნობილია — ბერხკამპზე და თვითმფრინავზეა საუბარი. ამიტომაც იყო, გუშინდელმა „დეილი ტელეგრაფმა“ არამფრინავი ჰოლანდიელი ავტობუსს რომ შეადარა: ელოდები, ელოდები და მერე უცბად ორი ერთად მოდისო.

მოკლედ, სტაბილური არც დენის ბერხკამპის თამაშია და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ლონდონის ავტობუსების მოძრაობის გრაფიკი. 830 წუთის მანძილზე ელოდა „არსენალის“ ფანობა, როდის განაახლებდა მათი ჯილა მეტოქეთა კარის ამოვსებას. და აი, კვირას დენისმა დაიწყო და, ტრადიციულად, ერთ გოლზე აღარ გაჩერდა. ასე იყო 1995-შიც, მისი პრემიერლიგაში დებიუტის წელსაც, ოღონდ ამჯერად მისგან გამწარებული თანამემამულე და ერთ დროს თანაგუნდელი (ეროვნულ გუნდში). რუუდ გულიტი გამოდგა.

„არსენალმა“ იოლად მოგვიგო და ჩვენი გუნდის რეალური ძალა დაგვანახაო — უთქვამს მატჩის შემდეგ სტუმართა მწვრთნელს. მართლაც, „ქოვენთრისა“ და „ნოტინგემის“ ძლევით რომ ჯორდები ვერ გარდაიქმნებოდნენ, პირველ რიგში გულიტს მოეხსენებოდა. თან ამას შირერის პრობლემაც დაერთო — მოედნის იმ ნაწილს, საიდანაც ალანი მეტოქის გამწარებას ცდილობდა, მეორე მხრიდან ადამსი და კიოუნი აკონტროლებდნენ, კარშიც სიმენი იდგა, ეს სამეული კი თავიანთ მეგობარს მოხარშულს სცნობს, ასე რომ...

ბერხკამპის ამბავი უკვე ვთქვით. ოვერმარსმაც აიკლო სტუმართა დაცვა, შვედი ლიუნდბერგი კი, ვისაც „არსენალის“ ძირითადში დებიუტი ჰქონდა, არსენ ვენგერმა მთლად მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნია. ამას ისაც დაუმატეთ, რომ გამოცდილმა ვინთერბერნმა და დიქსონმა ჯორდთა მოზარდ თაობას — გლასსა და სოლანოს — მოქმედების არე მაქსიმალურად შეუზღუდეს. თამაში არც თემურ ქეცბაიას წაუვიდა, ბერძენი დაბიზასი კი 65-ე წუთზევე გააძევეს. მოკლედ, „არსენალმა“ მართლაც იოლად მოიგო.

ასევე იოლად იმარჯვა ჩემპიონთა თასზე ქვეყნის მეორე წარგზავნილმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“, რომელმაც მიუნხენის აეროპორტიდან შინ მშვიდობიანად ჩასვლა, სამი გოლის გატანა და შმაიხელის გარეშეც კარის მშრალად შენახვა მოახერხა, თუმცაღა დანიელი მეკარე ამ გუნდის ერთადერთი დანაკლისი როდი იყო.

მესამე 3:0 ბლექბერნში დაფიქსირდა. არადა, რაც „როვერსს“ სამშაბათს ლიონში გადახდა, შაბათის ეს შედეგი ძნელად სავარაუდო იყო. ჰოჯსონს საფრანგეთში ნახევარმცველების გათავდამსხმელება მოუწია და კინაღამ მოიგო, შინ კი სატონი დაემატა და შუა ხაზმაც ამოისუნთქა. ამოისუნთქა და სამივე გოლიც სწორედ ნახევარდაცვამ მიითვალა.

მოკლედ, 3:0 ტურის დიდად პოპულარული ანგარიში გახლდათ. ლამის მიდლსბროშიც ასევე დამთავრდა მატჩი, მაგრამ ბოლო წუთზე საქმეში გაზა ჩაერია და საჯარიმო დარტყმით უდიკანიო, იმ წუთისთვის კი უკვე უჰინჩქლიფო „შეფილდი“ მთლად გაათახსირა.

ლიდერმა „ასტონ ვილამ“ ხუთ დღეში მეორე წარმატებული სტუმრობა მიითვალა და მართალია, ნორვეგიის მატჩისგან განსხვავებით ამჯერად გოლი გაუშვა (ისიც ნორვეგიელისგან), იან ტეილორმა ორი გაიტანა და ბირმინგემის კლუბი ცხრილში მეტად დააწინაურა, ვინაიდან „ვილას“ მდევარმა ერთბაშად ოთხმა გუნდმა წააგო. „ნიუკასლისა“ და „ვესტ ჰემისა“ უკვე ვთქვით, კიდევ ორმა კი შინ წააგო — „უიმბლდონმა“ „ევერტონთან“, „დერბიმ“ კი „ტოტენჰემთან“, ვისაც ახალი მწვრთნელი ჯორჯ გრემი სათავეში მხოლოდ გუშინ ჩაუდგა, თუმცა შაბათს, ცხადია, ახალ გუნდთან ერთად იყო და სოლ კემპბელის გოლით მეტად გაიხარა.

რას მოუტანს „არსენალური სულის მქონე“ („ტოტენჰემის“ გულშემატკივრების გამონათქვამია) გრემი ახალ გუნდს, მალე გამოჩნდება, თუმცა ამაზე სწრაფად ის გაირკვა, რომ ძველს მისი ხელი ერთობ დააკლდა — აქამდე „ლიდსს“ არათუ არ წაეგო, შინ „ელანდ როუდზე“ გოლიც არ ჰქონდა გაშვებული. ასევე შინ წააგო „ნოტინგემმა“, მაგრამ ეს შედეგი მოულოდნელად არავინ აღიქვა — „ჩარლტონისგან“ კაცი ყველაფერს უნდა ელოდოო, ამბობენ.

ყველაზე მეტი, 44 508 მაყურებელი კი, ცხადია, „ენფილდ როუდზე“ იჯდა. მასპინძელი „ლივერპული“ მთელი თამაში უტევდა, მაგრამ თითქმის მთელი თამაში აგებდა. მხოლოდ დამთავრებამდე 6 წუთით ადრე შეძლო ჯეიმი რედნეპმა საჯარიმოს ეშმაკურად დარტყმა და კაზირაგის გოლის გაქვითვა.

**გიგა ქობახიძე**



არსენალი — ნიუკასლი. დაბიზასი უკვე წაიქცა. მალე მას ნიუკასლელთა მეკარე შეი გივენიც მიჰყვება

REUTERS ლონდონიდან

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ასტონ ვილა | 8 | 6 | 2 | 0 | 10:2 | +8 | 20 | 4 | 4 | 0 | 0 | 7:1 | +5 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | +2 | 8 |
| 2 | მანჩესტერი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:6 | +7 | 14 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | +7 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 3 | არსენალი | 8 | 3 | 4 | 1 | 9:3 | +6 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | +7 | 10 | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 4 | მიდლსბრო | 8 | 3 | 3 | 2 | 12:8 | +4 | 12 | 4 | 1 | 3 | 0 | 7:3 | +4 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 |
| 5 | ლივერპული | 8 | 3 | 3 | 2 | 13:10 | +3 | 12 | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | +2 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | +1 | 6 |
| 6 | ჩელსი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:8 | +3 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | +3 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 4 |
| 7 | დერბი | 8 | 3 | 3 | 2 | 6:4 | +2 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:1 | +2 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 |
| 8 | უიმბლდონი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:11 | +1 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | +2 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 5 |
| 9 | ვესტ ჰემი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:8 | -1 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | +1 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 1:3 | -2 | 5 |
| 10 | ნიუკასლი | 8 | 3 | 2 | 3 | 13:10 | +3 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | +3 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 4 |
| 11 | ლიდსი | 8 | 2 | 5 | 1 | 8:5 | +3 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | +3 | 7 | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 0 | 4 |
| 12 | ტოტენჰემი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:14 | -5 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:10 | -5 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 7 |
| 13 | ჩარლტონი | 8 | 2 | 4 | 2 | 12:10 | +2 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:3 | +4 | 4 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:7 | -2 | 6 |
| 14 | ევერტონი | 8 | 2 | 4 | 2 | 6:6 | 0 | 10 | 4 | 0 | 3 | 1 | 0:1 | -1 | 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | +1 | 7 |
| 15 | შეფილდი | 8 | 3 | 0 | 5 | 8:9 | -1 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:2 | +2 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 3 |
| 16 | ლესტერი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:8 | -1 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | +1 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 17 | ბლექბერნი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | -2 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | +3 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | -5 | 1 |
| 18 | ნოტინგემი | 8 | 2 | 1 | 5 | 5:10 | -5 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 3 |
| 19 | ქოვენთრი | 8 | 1 | 2 | 5 | 5:14 | -9 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | -5 | 1 |
| 20 | საუთჰემპტონი | 8 | 0 | 1 | 7 | 3:21 | -18 | 1 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 1 | 4 | 0 | 0 | 4 | 0:13 | -13 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შირერი (ნიუკასლი) | 6 |
| მენდონკა (ჩარლტონი) | 5 |
| რიკარდი (მიდლსბრო) | 5 |
| ოუენი (ლივერპული) | 4 |

VIII ტური
17 ოქტომბერი
არსენალი - საუთჰემპტონი
მანჩესტერი - უიმბლდონი
ჩელსი - ჩარლტონი
ვესტ ჰემი - ასტონ ვილა
ნიუკასლი - დერბი
ევერტონი - ლივერპული
ნოტინგემი - ლიდსი
მიდლსბრო - ბლექბერნი
18 ოქტომბერი
ქოვენთრი - შეფილდი
19 ოქტომბერი
ლესტერი - ტოტენჰემი

## პირველი დივიზიონი

XII ტური

### ვესტ ბრომვიჩი 4:1 უოტფორდი

1:0 კილბანი (16), 1:1 კენედი (32პ), 2:1 ჰიუზი (37), 3:1 დე ფრიეტასი (72), 4:1 ჰიუზი (84)

### ბარნსლი 2:2 ბოლტონი

1:0 უარდი (9), 1:1 გუნლაუგსონი (21), 1:2 იოჰანსენი (42), 2:2 ვან დერ ლაანი (85)

### ბერი 0:1 ბრისტოლი

0:1 ბელი (67პ)

### ქრიუ 0:0 ვულვერჰემპტონი

### ჰადერსფილდი 2:0 ოქსფორდი

1:0 დალტონი (24), 2:0 სტიუარტი (33)

### ბირმინგემი 2:2 ტრანმერი

0:1 ირონსი (31), 1:1 ჯონსონი (40), 2:1 ნდლოვი (72), 2:2 გ. ჯონსი (89)

### იფსვიჩი 3:0 კრისტალ პალასი

1:0 ვენუსი (45პ), 2:0 ტარიკო (82), 3:0 მეტიე (90)

### პორტ ვეილი 1:0 ნორვიჩი

1:0 აინსვორთი (61)

### ქუინზ პარკი 1:2 გრიმსბი

1:0 მადიქსი (28), 1:1 დ. სმითი (40), 1:2 ბლეიქი (50)

### შეფილდ იუნაიტედი 2:1 პორტსმუთი

1:0 საუნდერსი (5), 1:1 ალოიზი (48), 2:1 დელასი (85)

### სანდერლენდი 0:0 ბრედფორდი

### სვინდონი 2:3 სტოკპორტი

1:0 ონუორა (23), 1:1 მაკინტოში (38), 1:2 ბრანში (43), 1:3 მური (47), 2:3 უოლტერსი (49)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰადერსფილდი | 12 | 7 | 2 | 3 | 18:14 | 23 |
| სანდერლენდი | 11 | 5 | 6 | 0 | 25:7 | 21 |
| ბოლტონი | 10 | 5 | 5 | 0 | 25:16 | 20 |
| ბირმინგემი | 12 | 6 | 2 | 4 | 15:11 | 20 |
| იფსვიჩი | 11 | 5 | 4 | 2 | 17:7 | 19 |
| უოტფორდი | 11 | 6 | 1 | 4 | 17:17 | 19 |
| შეფილდ იუნ. | 12 | 5 | 3 | 4 | 18:19 | 18 |
| ვულვზი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:9 | 18 |
| ნორვიჩი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:11 | 17 |
| ვესტ ბრომვიჩი | 10 | 4 | 2 | 4 | 23:20 | 17 |
| გრიმსბი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:14 | 16 |
| ბერი | 12 | 4 | 4 | 4 | 9:8 | 16 |
| ბრედფორდი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:14 | 15 |
| სტოკპორტი | 12 | 3 | 6 | 3 | 15:17 | 15 |
| ბარნსლი | 11 | 3 | 5 | 3 | 16:15 | 14 |
| კრ. პალასი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:16 | 14 |
| პორტსმუთი | 12 | 3 | 4 | 5 | 18:17 | 13 |
| ოქსფორდი | 12 | 3 | 3 | 6 | 16:24 | 12 |
| ბრისტოლი | 12 | 2 | 5 | 5 | 18:23 | 11 |
| პორტ ვეილი | 11 | 3 | 2 | 6 | 8:20 | 11 |
| ქრიუ | 11 | 2 | 4 | 5 | 15:20 | 10 |
| სვინდონი | 12 | 2 | 3 | 7 | 16:25 | 9 |
| ქუინზ პარკი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:18 | 9 |
| ტრანმერი | 10 | 0 | 6 | 4 | 6:16 | 6 |

# ბაიერნი შეაჩერეს

## გერმანია

VII ტური

### ფრაიბურგი 0:0 ჰამბურგი

ფრაიბურგი: გოლცი, ტ. ჰოფმანი, ჰერმელი, შ. მიულერი, კოლი, ვაისჰაუპტი, პავლინი გიუნესი (კორელი 87), კობიაშვილი, ბენ სლიმანი (ფრონცეკი 79), იაშვილი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა, პანადიჩი, ჰერტჩი (იესპენი 33), ფიშერი, გროთი, გრავესენი, ფ. ერნსტი (გრამოცისი 90), ჰოლერბახი, იებოა, დემბინსკი (გრუბაჩი 59)
გაფრთხილება: იაშვილი, ბენ სლიმანი, ჰოლერბახი, ერნსტი
ბუტმა ვერ გამოიყენა პენალტი (90).
მსაჯი: კესლერი

### ჰერტა 4:1 მიონხენგლადბახი

1:0 ვაიტი (14), 1:1 პოლსტერი (23), 2:1, 3:1, 4:1 პრეეტცი (58, 83, 89)
ჰერტა: კირალი, რეკდალი, შმიდტი (ვან ბურიკი 90), ჰერცოგი, კოვიჩი, მანდრეკო (დარდაი 60), ვაიტი, ვოში, ტომი (ჰარტმანი 84), ტრეჩოკი, პრეეტცი
მიონხენგლადბახი: ენკე, ანდერსონი, კლინკერტი, ასანინი, ანაგნოსტოუ, დაისლერი, ჰაუსვაილერი (რაიტერი 62), პფლიპსენი (ფელდჰოფი 75), კეტელაერი (ჰაგნერი 70), პოლსტერი, ვიტეჩეკი
გაფრთხილება: კირალი, პრეეტცი, მანდრეკო, შმიდტი, ჰაუსვაილერი, ანდერსონი, ანაგნოსტოუ
გაძევება: კლინკერტი
მსაჯი: ბუხჰარტი

### ვოლფსბურგი 0:0 შალკე

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, კრიგერი, ტომსენი, გრაინერი, ნოვაკი (ბალვანცი 87), დამაიერი, კაპეტანოვიჩი (რეინა 65), პრეგერი, იუსკოვიაკი (ბრაიტენრაიტერი 82), ბაუმგარტი
შალკე: შობერი, აიგენრაუხი, მიულერი, ვან ჰუგდალემი, ჰელდი, ნემეცი, ვან კერკჰოვენი, კმეჩი, ბიუსკენსი, ჰამი (ანდერბრიუგე 83), პერეირა (ვოლფი 76)
გაფრთხილება: დამაიერი, კაპეტანოვიჩი, ნემეცი
მსაჯი: შტარკი

### ჰანზა 2:1 ვერდერი

1:0 ნოიფილი (31), 1:1 ტრარესი (36), 2:1 ბრაიტკროიცი
ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, განსაუგე, ლანგე, მილენკოვიჩი (ჰოლეჩეკი 74), ბიკანიჩი (დოვე 58), იასერი, მაიაკი, ფუქსი (ბრაიტკროიცი 58), ნოიფილი
ვერდერი: როსტი, ტრარესი, ვიდნერი, ტოდტი, როემბიაკი, ვიკი, მაქსიმოვი, აილტსი, ჰერცოგი (ბოგდანოვიჩი 74), ფრინგსი (ფლო 79), ბოდე
გაფრთხილება: დოვე, განსაუგე, ბიკანიჩი, მაქსიმოვი
მსაჯი: აუსტი

### ლევერკუზენი 2:2 ლაუტერნი

1:0 ზე რობერტო (8), 1:1 მარშალი (33), 1:2 ხრისტოვი (41), 2:2 რინკი (65)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი (მამიჩი 67), რ. კოვაჩი, ჰაპე (ნ. კოვაჩი 53), ჟივკოვიჩი, რამელო, ბაინლიხი, ჰაინცე (ლენჰოფი 53), ზე რობერტო, რაიხენბერგერი, რინკი
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, სამირი, კოხი, რაიხი (ოჯიგვე 58), რიდლი, სფორცა, ხრისტოვი, ვაგნერი, მარშალი, რიშე
გაფრთხილება: ხრისტოვი, რაიხი, რიდლი
გაძევება: ოჯიგვე
მსაჯი: კრუგი

### ნიურნბერგი 1:5 მიუნხენი

0:1 შროტი (6), 0:2 ვინკლერი (39), 1:2 რიხტერი (52), 1:3 ჩერნი (55), 1:4 დინზეი (77), 1:5 იოვოვი (86)
ნიურნბერგი: ჰილფიკერი, ფ. ბაუმანი, ტოიბერი (სკოოგი 64), რიხტერი, შტორცენჰოფეკერი, ვისინგერი, პოლუნინი (ვაიგლი 46), ლიოში, ბიურგერი, კუკა, ჩირიჩი (ოეხლერი 64)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ვანენბურგი, გრაილიხი (კინტცი 56), ზელიჩი, ჩერნი, ჰელდტი (იოვოვი 80), ოუაკილი (დინზეი 77), სტევიჩი, ტაისი, ვინკლერი, შროტი
გაფრთხილება: კუკა, სტევიჩი, ჰელდტი
მსაჯი: ცერი

### ბოხუმი 0:0 აინტრახტი

ბოხუმი: ტ. ერნსტი, ვალდოხი, სუნდერმანი, კრახტი, ჰეშელი (ჯაფიჩი 46), გაუდინო (გიულუნოღლუ 65), ფარენჰორსტი, ნ. ჰოფმანი, რაისი, ბუკლი, ბასტურკი (შინდცილორცი 16)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ხუბჩევი, ბინდევალდი, კაიმაკი (ზამპახი 85), ბრინკმანი, შური, ბ. შნაიდერი, ვებერი, კუჩერა, ეპი (ვესტერჰალერი 57), იანგი (ჰისონტი 70)
გაფრთხილება: ვალდოხი, გაუდინო, კუჩერა, ბინდევალდი, შური, ვებერი
მსაჯი: დარდენე

### ბაიერნი 2:2 დორტმუნდი

0:1 შაპუიზა (16), 1:1 ელბერი (40), 2:1 იანკერი (41), 2:2 ნერლინგერი (50)
ბაიერნი: კანი, მათეუსი, ბაბელი, ლინკე, ფინკი (ტარნატი 78), სალიჰამიჯიჩი (გიოქთანი 78), იერემისი, ეფენბერგი, ლისარასუ, იანკერი (დაეი 70), ელბერი
დორტმუნდი: კლოსი, ფაიერზინგერი, კ. ბაუმანი, კოლერი, ნიეგუსი, რიკენი, ჰენგენი (ფრეონდი 46), ბარბარესი (ვ. ბუტი 90), ა. მიოლერი, ნერლინგერი, შაპუიზა (ჰესლერი 80)
გაფრთხილება: ლისარასუ, იანკერი, ელბერი, კლოსი, ნერლინგერი
მსაჯი: შტაინბორნი

### დუისბურგი 2:0 შტუტგარტი

1:0 ჰოერსენი (43), 2:0 ბაიერლე (56)
დუისბურგი: გილი, კომლიენოვიჩი, ვოლერტი, ჰაიტო, ჰოერსენი, ვანა (ემერლინგი 78), ვედაუ (ტიოფტინგი 74), ჰირში, ნოინი, შპისი (ოსტჰოფი 90), ბაიერლე
შტუტგარტი: ციგლერი, ბერთოლდი, ვერლაატი, კელერი, ლისტეში (ჯორჯევიჩი 41), სოლდო, ცაიერი (რისტიჩი 57), ბალაკოვი, ჰოშნერი (როსტი 86), კარნელი, ბობიჩი
გაფრთხილება: ბაიერლე, ნოინი, გილი, ბერთოლდი, ვერლაატი

შაბათს დაწყებული ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეშვიდე ტური კვირას დასრულდა ორი მატჩით, რომელთაგან ერთი ტურის ცენტრალურ შეხვედრად იყო მიჩნეული. ბოლო წლებში მიუნხენის „ბაიერნისა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ დაპირისპირება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. მართალია, დორტმუნდელები მეორე წელია, ჩვეულად ვერ გამოიყურებიან, მაგრამ ამ დუელმა სიმძაფრე და ინტერესი მაინც შეინარჩუნა.

ახლაც, შეხვედრამ მოლოდინი მთლიანად გაამართლა. „ოლიმპიაშტადიონზე“ შეკრებილმა 61 000 მაყურებელმა უშეღავათო ბრძოლა იხილა. ანგარიში უკვე მე-16 წუთზე გაიხსნა, ბარბარესის პასი შაპუიზამ გამოიყენა და კანი უშანსოდ დატოვა. სტუმრებს გატანა მანამდეც შეეძლოთ, მაგრამ ბარბარესმა და შაპუიზამ ვერ იხეირეს. ბავარიელებს ანგარიშის გაქვითვა ხუთ წუთში შეეძლოთ, მაგრამ კლოსის მოგერიებულს კოლერმა ვერ დაამატა. ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა და ტაიმის ბოლო ხუთ წუთამდე ასე წარიმართა, მე-40-ზე კი მასპინძლებმა გააყაიმეს — ელბერმა მიმდინარე სეზონში მეექვსე გოლი გაიტანა. ამან, ეტყობა, დორტმუნდელები დააბნია, რითაც მაშინვე ისარგებლეს ბავარიელებმა და იანკერის გოლით დაწინაურდნენ, თუმცა მას სტუმრებმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე უპასუხეს: შაპუიზას ფლანგური გარღვევა და ჩაწოდება ნერლინგერმა ზუსტი თავური დარტყმით დაასრულა. სხვათა შორის, კრისტიან ნერლინგერი „ბორუსიაში“ სეზონის წინ „ბაიერნიდან“ გადავიდა. ამის შემდეგ თამაში დაიძაბა. ორივე გუნდის ფეხბურთელები უხეშობდნენ, რაც რამდენჯერმე შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. მსაჯს მათ დასაშოშმინებლად რამდენჯერმე ჯიბეზე ხელის გაკვრა და ყვითელი ბარათის ამოღებაც დასჭირდა. მატჩის დასრულებამდე ორიოდე წუთით ადრე „ბაიერნი“ მესამე გოლს გადაურჩა. კანთან პირისპირ გასულმა ფროინდმა თანაგუნდელს ზუსტად ვერ უპასა. შეხვედრა საბოლოოდ 2:2 დასრულდა. ამ მატჩში კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტი მოხდა. თამაშის მიწურულს, როდესაც მიუნხენელებს სამივე ფეხბურთელი შეცვლილი ჰყავდათ, თანაგუნდელებზე განაწყენებული ლოთარ მათეუსი აუტის ხაზთან უმოქმედოდ დადგა და მსაჯის საფინალო სასტვენამდე აღარ განძრეულა. „ბაიერნსაც“, ფაქტობრივად, ათი კაცით მოუწია შეხვედრის დასრულებამ.

თანაქალაქელთა წაფორხილებით უმალ ისარგებლა წლევანდელი ჩემპიონატის სენსაციის ავტორმა „მიუნხენ 1860“-მა. მიუნხენელებმა ამჯერად წლეულს აღზევებული „ნიურნბერგი“ სტუმრად 5:1 გაანადგურეს და 3 ქულამდე შეამცირეს სხვაობა. სტუმრები მე-6 წუთზევე დაწინაურდნენ: ჩერნის ჩინებული პასი შროტმა გოლად აქცია. ტაიმის მიწურულს სტევიჩის ძლიერი დარტყმა შემთხვევით ვინკლერს მოხვდა და კარში შევარდა — 2:0. მეორე ტაიმის დასაწყისშივე რიხტერმა შორიდან ულამაზესი გოლი გაიტანა და ანგარიში შეამცირა. ორ წუთში ჩერნიმ, რომელსაც ავსტრიული „ტიროლის“ შემადგენლობაში უეფას თასზე თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგაც უთამაშია, კურიოზული ბურთი შეაგდო — მის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული, ისე, რომ არავის შეხებია, კარში შევარდა. ამას დინზეიმ და იოვოვმა კიდევ ორი დაუმატეს და საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს. მატჩის შემდეგ სტუმართა თავკაცი ვერნერ ლორანტი სიხარულს ვერ ფარავდა: „ჩვენ ახლა ისეთი ძლიერები ვართ, როგორც არასდროს. ვეცდებით, კვლავ ასე გავაგრძელოთ და გულშემატკივარიც უფრო გავახაროთ“.

უდიდეს ინტერესს იწვევდა მატჩი ლევერკუზენში, სადაც „ბაიერნი“ „კაიზერსლაუტერნს“ მასპინძლობდა. „ლაუტერნმა“ მთელი შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა. თუმცა თავიდან ლევერკუზენელები დაწინაურდნენ მე-8 წუთზე კირსტენის დარტყმა ძელს მოხვდა, მოგერიებული ბურთის ცარიელ კარში შეგორება კი მათ ბრაზილიელ ლეგიონერ ზე რობერტოს აღარ გასჭირვებია. რეჰაგელის შეგირდები გაშვებულ გოლს არ დაუბნევია, პირიქით, „ლაუტერნი“ უფრო გააქტიურდა და შესვენებაზე დაწინაურებულიც წავიდა. ანგარიში მათმა მთავარმა ბომბარდირმა ოლაფ მარშალმა გაქვითა, როდესაც მცველებს გაექცა და რაიხის ჩაწოდებულს ვარდნაში თავით მატიშეკის კარის ბადეში მიუჩინა ადგილი. ტაიმის მიწურულს ხრისტოვმა მეორედ დაალონა მასპინძლები: ვაგნერის გადაცემა შეუჩერებლივ გადაგზავნა კარში. მეორე ტაიმში მასპინძლებმა კუთხური გაითამაშეს. მცველებმა ბაინლიხი უყურადღებოდ დატოვეს, მანაც გამიზნული პასით რინკს გაათანაბრებინა. ბაინლიხის თამაშის სანახავად ლევერკუზენს საგანგებოდ ესტუმრა გერმანიის ნაკრების ახალი მწვრთნელი ერიხ რიბეკი, რომელსაც ლევერკუზენელი ნახევარმცველი ეფენბერგის შემცვლელად ჰყავს შეგულებული. 73-ე წუთზე სტუმრებს რაიხენბერგერთან უხეშობისთვის ნიგერიელი პასკალ ოჯიგვე გაუძევეს, რომელიც მოედანზე 59-ე წუთზე შევიდა რაიხის ნაცვლად. ბოლო წუთები ათკაციანმა „ლაუტერნმა“ უფრო კარგად ჩაატარა, ვიდრე „ლევერკუზენმა“. რიდლი ერთ მომენტში ვალდებულიც იყო, გაეტანა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.



REUTERS მოწოდებულია

ბაიერნი — დორტმუნდი. დაეიმ და ეფენბერგმა (№11) ფროინდს აჯობეს, „ბაიერნმა“ „დორტმუნდს“ კი ვერა.

ყველასათვის გასაოცრად, გაიმარჯვა „დუისბურგმა“, რომელმაც შინ ჰოერსენისა და ბაიერლეს გოლებით „შტუტგარტი“ 2:0 დაამარცხა. ამში გასაკვირი ისაა, რომ „დუისბურგი“ ხუთშაბათს თასების თასის გათამაშებაში საშუალოზე საშუალო დონის ბელგიურ „გენკთან“ 0:5 განადგურდა, კვირას კი ნირწამხდარმა კარგ ხასიათზე მყოფი „შტუტგარტი“ შინ უქულოდ გაისტუმრა. „შტუტგარტელებმა“ კი სამშაბათს უეფას თასზე შეუძლებელი შეძლეს და შინ 1:3 წაგების შემდეგ ჰოლანდიური გრანდი „ფეიენოორდი“ როტერდამში 3:0 დაამარცხეს. ამიტომაც მათ, ვინც დუისბურგში სტუმართა გამარჯვებას ელოდა, იმედი გაუცრუვდათ.

ბერლინის „ჰერტამ“ შინ 4:1 გაანადგურა „მიონხენგლადბახი“. ეს მოგება ძირითადად მასპინძელთა გოლეადორის მიხაელ პრეეტცის დამსახურებაა. ვაიტის გოლი გლადბახელთა ავსტრიელმა თავდამსხმელმა ტონი პოლსტერმა მალე გაქვითა, მეორე ტაიმში კი პრეეტცმა აიწყვიტა და ეს სტუმრებს ძვირად დაუჯდათ. პრეეტცმა 58-ე წუთიდან მოყოლებული სამი ბურთი გაიტანა. მისი ჰეთ-თრიქის წყალობით „ჰერტა“ მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა და მესამეადგილოსან „ლევერკუზენს“ მხოლოდ ბურთების სხვაობით ჩამორჩება.

მიმდინარე ჩემპიონატში ჯერ არ მოუგია „ვოლფსბურგს“, რომელმაც მეშვიდე ტურში „შალკეს“ უმასპინძლა და უგოლო ფრეს დასჯერდა. ბურთის შეგდება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ საბოლოო დარტყმები უმეტესწილად უზუსტო იყო. ყველაზე კარგი შესაძლებლობა „ვოლფსბურგის“ ლიდერ როი პრეგერს მიეცა, როდესაც 75-ე წუთზე შესანიშნავი დრიბლინგი განახორციელა, მაგრამ გელზენკირხენელთა კარის დარაჯ შობერს ვერაფერი მოუხერხა.

ბოლოს კი იაშკასა და კობის „ფრაიბურგზეც“ ვთქვათ. „ფრაიბურგი“ მეშვიდე ტურში შინ „ჰამბურგს“ ეპაექრებოდა და რომ არ წააგო, თავის მეკარე რიხარდ გოლცს უნდა უმადლოდეს, რომელმაც მატჩის უკანასკნელ წუთზე მეტოქე კოლეგას პენალტი აუღო (ისე, გოლცი „ფრაიბურგში“ სწორედ „ჰამბურგიდან“ გადავიდა). მანამდე კი ორივე გუნდმა შექმნა საგოლე მომენტი. ფრაიბურგელმა ბენ სლიმანმა გაიტანა კიდეც, მაგრამ თანამსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. მატჩის მიწურულს კობიაშვილის კუთხურს ვაისჰაუპტმა ძლიერი დარტყმა მოაყოლა, მაგრამ სტუმრები ძელმა იხსნა. ამ შეხვედრაში უჩვეულოდ ცუდად გამოიყურებოდნენ ჩვენებურები. იაშვილიცა და კობიაშვილიც მთელი მატჩის განმავლობაში არაფრით გამორჩეულან. აღსანიშნავია, რომ „ფრაიბურგმა“ წელს საკუთარ მოედანზე უკვე ოთხი მატჩი გამართა, მაგრამ ვერცერთი მოიგო

**ვანო ოქროპირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 7 | 6 | 1 | 0 | 20:7 | +13 | 19 | 4 | 3 | 1 | 0 | 16:7 | +9 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | +4 | 9 |
| 2 | მიუნხენ 1860 | 7 | 5 | 1 | 1 | 16:7 | +9 | 16 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | +3 | 6 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | +6 | 10 |
| 3 | ლევერკუზენი | 7 | 3 | 3 | 1 | 13:9 | +4 | 12 | 3 | 2 | 1 | 1 | 9:6 | +3 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | +1 | 5 |
| 4 | ჰერტა | 7 | 4 | 0 | 3 | 13:11 | +2 | 12 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | +8 | 12 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | -6 | 0 |
| 5 | ჰამბურგი | 7 | 3 | 3 | 1 | 9:8 | +1 | 12 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | +2 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | -1 | 5 |
| 6 | შტუტგარტი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:8 | +2 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | +4 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 7 | ფრაიბურგი | 7 | 2 | 4 | 1 | 8:7 | +1 | 10 | 3 | 0 | 3 | 1 | 3:5 | -2 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | +3 | 7 |
| 8 | ბოხუმი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | +1 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | +1 | 6 |
| 9 | ლაუტერნი | 7 | 3 | 1 | 2 | 11:13 | -2 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 8:7 | +1 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 4 |
| 10 | დუისბურგი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:12 | -2 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | +3 | 8 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | -5 | 1 |
| 11 | დორტმუნდი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:9 | 0 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | +3 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 2 |
| 12 | შალკე 04 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 4 |
| 13 | ნიურნბერგი | 7 | 1 | 4 | 2 | 10:14 | -4 | 7 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:7 | -4 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:7 | 0 | 4 |
| 14 | ჰანზა | 7 | 2 | 1 | 4 | 10:16 | -6 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | +2 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | -8 | 0 |
| 15 | აინტრახტი | 7 | 1 | 3 | 3 | 9:12 | -3 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 4 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 2 |
| 16 | გლადბახი | 7 | 1 | 2 | 4 | 11:15 | -4 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | +2 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 5:11 | -6 | 1 |
| 17 | ვერდერი | 7 | 1 | 1 | 5 | 9:13 | -4 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 1 | 3 | 1 | 0 | 3 | 5:7 | -2 | 3 |
| 18 | ვოლფსბურგი | 7 | 0 | 4 | 3 | 8:12 | -4 | 4 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 2 | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მარშალი (ლაუტერნი) | 7 |
| ვინკლერი (მიუნხენი) | 6 |
| ელბერი (ბაიერნი) | 6 |
| პრეეტცი (ჰერტა) | 6 |

VIII ტური

16 ოქტომბერი
მიუნხენი - ბოხუმი
ლაუტერნი - ვოლფსბურგი
17 ოქტომბერი
აინტრახტი - ლევერკუზენი
შალკე - ბაიერნი
ვერდერი - ფრაიბურგი
ჰამბურგი - დუისბურგი
შტუტგარტი - ჰერტა
გლადბახი - ნიურნბერგი
18 ოქტომბერი
დორტმუნდი - ჰანზა

## მეორე ბუნდესლიგა

IX ტური

### ურდინგენი 1:3 კარლსრუე

0:1 კრეიგი (28), 1:1 სპიზაკი (41), 1:2 მეიშნერი (56), 1:3 კრეიგი (81)

### ზანქტ პაული 0:1 ულმი

0:1 ტრკულია (35)

### ობერჰაუზენი 0:2 უნტერჰახინგი

0:1 რაკლი (31), 0:2 შეინჰარდტი (50ს.კ.)

### დიუსელდორფი 2:2 არმინია

1:0 კარტუსი (9), 2:0 ტარე (33), 2:1 მეისნერი (52), 2:2 ბოი (90)

### კოტბუსი 1:0 ჰანოვერი

1:0 ამადუ (64)

### ბერლინი 2:1 ფიურტი

1:0 მელციგი (10), 1:1 რეიხელი (24), 2:1 არაჩიჩი (37)

### კიკერსი 0:2 ვატენშაიდი

0:1 დიკტიარი (5), 0:2 მელკამი (90)

### გიუტერსლოო 6:1 მაინცი

1:0 ვატერინკი (5), 2:0, 3:0, 4:0 დ. ვაგნერი (23, 61, 71), 4:1 დემანდტი (75), 5:1, 6:1 ელბერფელდი (78, 83)

### ფორტუნა 4:2 კიოლნი

1:0 ბრდარიჩი (10), 2:0 გრლიჩი (18), 3:0 ბრდარიჩი (45), 3:1 გაისმაიერი (71), 4:1 შიუტერლე (77), 4:2 გაისმაიერი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ულმი | 9 | 6 | 3 | 0 | 16:9 | 21 |
| ბერლინი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:8 | 19 |
| არმინია | 9 | 6 | 1 | 2 | 18:12 | 19 |
| უნტერჰახინგი | 9 | 5 | 2 | 2 | 11:8 | 17 |
| კარლსრუე | 9 | 5 | 0 | 4 | 16:14 | 15 |
| კიკერსი | 9 | 5 | 0 | 4 | 8:8 | 15 |
| ფიურტი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:8 | 14 |
| ჰანოვერი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:9 | 13 |
| მაინცი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:14 | 13 |
| ფორტუნა | 9 | 4 | 1 | 4 | 14:15 | 13 |
| კოტბუსი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:9 | 11 |
| ვატენშაიდი | 9 | 2 | 4 | 3 | 7:8 | 10 |
| ზტ. პაული | 9 | 3 | 1 | 5 | 8:12 | 10 |
| კიოლნი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:21 | 10 |
| გიუტერსლოო | 9 | 2 | 2 | 5 | 12:14 | 8 |
| დიუსელდორფი | 9 | 1 | 4 | 4 | 12:15 | 7 |
| ურდინგენი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:13 | 5 |
| ობერჰაუზენი | 9 | 1 | 2 | 6 | 5:17 | 5 |

## იტალია

# შვიდი ნულის შემცირება

### IV ტური

**ვიჩენცა 1:0 ბარი**

1:0 ოტერო (16)
ვიჩენცა: ბრივიო, დი ლიზო, ბელოტი, სტოვინი, ბეგეტო, სკენარდი (დიჩარა 73), დი კარლო (პალადინი 66), მენდესი, ძაული, ოტერო, ლუიზო (მეცანოტი 58)
ბარი: მანჩინი, დე როზა, გარსია (დე ასკენტისი 57), ნექროიზი, ინოკენტი, ბრესანი (მარკოლინი 66), ანდერსონი, კნუდსენი, ძამბროტა, ოსმანოვსკი (სპინეზი 70), მასინგა
გაფრთხილება: დი ლიზო, ანდერსონი, ძამბროტა, ბეგეტო, სპინეზი, მასინგა
მსაჯი: ბაცოლი

**ვენეცია 0:2 მილანი**

0:1 ბირჰოფი (3), 0:2 ლეონარდო (67)
ვენეცია: ტაიბი, კარნაშალი, ლუპი, პავანი, დალ კანტო, დე ფრანჩესკი, იაკინი, ვოლპი, პედონე (ბუონოკორე 52), შვო (ვალტოლინა 57), მანიერო
მილანი: ლემანი, ნგოტი, კოსტაკურტა, მალდინი, ბა (კოკო 46), ალბერტინი, ბობანი (ამბროზინი 54), ჰელვეგი, ლეონარდო, ბირჰოფი, განცი (დონადონი 74)
გაფრთხილება: ბობანი, ალბერტინი, კოსტაკურტა, პავონი, იაკინი, ვოლპი
გაძევება: იაკინი (63)
მსაჯი: ჩეკარინი

**იუვენტუსი 1:0 პიაჩენცა**

1:0 ინძაგი (8)
იუვენტუსი: რამპულა, ბირინდელი, მონტერო (ტაკინარდი 66), ტუდორი, პესოტო, დი ლივიო, დეშამი (ბლანშარი 72), დავიდსი, ზიდანი, ფ. ინძაგი, დელ პიერო (ზალაიეტა 79)
პიაჩენცა: ფიორი, პოლონია, საკეტი (ლუკარელი 56), ვერხოვოდი, მანიგეტი, მაცოლა, სტროპა, კრისტალინი, ბუზო, ს. ინძაგი (დიონიჯი 73), რასტელი (რიციტელი 72)
გაფრთხილება: მაცოლა, მონტერო, დეშამი, ზიდანი, ლუკარელი
გაძევება: რიციტელი (90)
მსაჯი: პელეგრინო

**ინტერი 2:0 პერუჯა**

1:0 სამორანო (11), 2:0 ჯორკაეფი (54)
ინტერი: პალიუკა, კოლონეზე, ბერგომი, ვესტი, მორიერო (კოე 69), დაბო (ვინტერი 64), სიმეონე, ხ. ძანეტი, ჯორკაეფი, სამორანო, ვენტოლა (სილვესტრი 46)
პერუჯა: როკატი, სოლანო (მასპერო 58), მატრეკანო, პელეგრინი, რივასი, კოლონელო, პეტრაკი, კამპოლო (ბაიოკო 70), რაპაიჩი, ნაკატა, ბუჩი (ტოვალიერი 64)
გაფრთხილება: პეტრაკი, ნაკატა, ბერგომი, კოლონელო, სიმეონე
მსაჯი: ფარინა

**ფიორენტინა 1:0 უდინეზე**

1:0 ედმუნდო (89)
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ფალკონე (ტაროცი 76), რეპკა, ჰაინრიხი, ტორიჩელი, რუი კოშტა, ამოროზო, ოლივეირა (რობიატი 70), ედმუნდო, ბატისტუტა
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ნავასი, ჯანიკედა, ვალემი, ბაკინი (პინედა 86), პოჯი (სოსა 63), იორგენსენი, ამორუზო
გაფრთხილება: ტორიჩელი, რეპკა, ნავასი, ფალკონე, ჯანიკედა, ვალემი, ჰაინრიხი
მსაჯი: ბრაში

**სამპდორია 2:1 რომა**

0:1 დელვეკიო (26), 1:1 პალმიერი (61), 2:1 ჯაკომპინო (75)
სამპდორია: ფერონი, ბალერი (ნავა 85), მანინი, გრანდონი, კასტელინი, ვერგასოლა, ფრანჩესკეტი, ლაილი, ჯაკომპინო (სგრო 93), ორტეგა, პალმიერი (ჟივკოვიჩი 91)
რომა: ს. კიმენტი, კაფუ, ძაგო, ალდაირი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო (გაუტიერი 77), პაულო სერჟიო (ალეინიჩევი 77), დელვეკიო, ტოტი (ფრაუ 59)
გაფრთხილება: ძაგო, ბალერი, ფრანჩესკეტი, ლაილი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, გრანდონი
გაძევება: ალდაირი (94)
მსაჯი: ტომბოლინი

**სალერნიტანა 1:1 ემპოლი**

1:0 ბრედა (7), 1:1 ლუკენტი (33)
სალერნიტანა: ბალი, დელ გროსო, მონაკო, ფუსკო, ტოსტო (ბოლიჩი 60), ბრედა, ვანუჩი, ჯიო ტოდესკო (ჯია ტოდესკო 71), მ. როსი, კიანეზე (ჯიამპაოლო 63), დი ვაიო
ემპოლი: მაცი, პუსკო, ბიანკონი, კუპი, ტონეტო, ლუკენტი, პანე, ბიზოლი, ბონომი (მარტუშელო 57), კაპელინი (პალუმბო 67), კარპარელი (კრიბარი 83)
გაფრთხილება: ჯიო ტოდესკო, ჯიაპაოლო, დი ვაიო, ფუსკო, ტონეტო
მსაჯი: დე სანტისი

**ლაციო 2:0 კალიარი**

1:0 კოუტუ (49), 2:0 სტანკოვიჩი (69)
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო (გოტარდი 73), კოუტუ, მიჰაილოვიჩი, ფავალი, კონსეისაო, ვენტურინი, ალმეიდა (ბარონიო 80), ნედვედი, სტანკოვიჩი, სალასი (პროტი 88)
კალიარი: სკარპი, ძებინა, ძანონკელი, გრასადონია, ბერეტა (კავეცი 73), ონილი, დე პატრე, ნიატი (მაცეო 61), ვაზარი, კალონი, მუცი
გაფრთხილება: ძანონკელი, დე პატრე, ალმეიდა, სკარპი, კოუტუ
გაძევება: ონილი (51)
მსაჯი: ბოჯი

**ბოლონია 0:0 პარმა**

ბოლონია: ანტონიოლი, რინალდი, ბია, მანგონე, ტარანტინო, ერიბერტო, ინგესონი, მაროკი, ნერვო (კაპიოლი 79), ბინოტი (ბოზელი 74), სინიორი (სიმუტენკოვი 84)
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო, ბოგოსიანი (ფიორე 75), ბენარივო (ორლანდინი 82), ვერონი, კრესპო (ბალბო 71), კიეზა
გაფრთხილება: კანავარო, სარტორი
გაძევება: ერიბერტო (62)
მსაჯი: მესინა

თამაშის წინა დღეს ფლორენციაში ხალხი ღელავდა. ჰქონდათ კიდეც საბაბი, მათ გუნდს, „ფიორენტინას“ „უდინეზესთან“ უნდა გაერკვია, რომელი დარჩებოდა მეოთხე ტურის მერე წაუგებელი. თუ ფრე იქნებოდა, მაშინ ორივე დაუმარცხებლად დაელოდებოდა მორიგ, მეხუთე ტურს, მაგრამ ასეთი შედეგის შემთხვევაში „ფიორენტინა“ უდინელებთან ორქულიან უპირატესობას ვერ გაზრდიდა, არადა, როდესაც მდევარს მასპინძლობ, დიდი შანსი გეძლევა, რომლითაც უნდა ისარგებლო, თორემ ინანებ.

ფლორენციელები ისე ღელავდნენ, რომ „ფიორენტინას“ მწვრთნელმა, მრავალი ღელვისა და და ტრიუმფის მონაწილემ, ჯოვანი ტრაპატონიმ მათი დამშვიდება ჩათვალა საჭიროდ.

„მშვიდად ბატონებო. ბიჭები კარგ ფორმაში არიან, გოლი კი 90 წუთის განმავლობაში, ადრე თუ გვიან, გავა“ — მიმართა ტიფოზებს დონ ტრაპმა.

ისე ყველაფერი აგიხდეთ, ამ ხანშიშესული კაცის ნათქვამი რომ ახდა, ოღონდ ერთი განსხვავებით, გოლის გატანას 92 წუთი დასჭირდა. მსაჯის მიერ წამატებულ დროში წამზომი მეორე წრის შემოვლით იყო დაკავებული, როდესაც ორთამაშიანი დისკვალიფიკაციის მერე მოედანზე დაბრუნებულმა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ედმუნდომ პორტუგალიელ თანაგუნდელს რუი კოშტას „ერთი-ორი“ გაუთამაშა და ბურთი „უდინეზეს“ კარის სხვენში შეაგდო.

ედმუნდოს გოლი იმას ნიშნავდა, რომ „ფიორენტინამ“ ოთხი თამაშიდან ოთხივე მოიგო და ხალხს მოაგონა 1969 წელი, როდესაც ფლორენციის, მაშინ (1968-69 წლების სეზონის) ჩემპიონ გუნდს ასეთივე სტარტი ჰქონდა.

„პირველ ტაიმში მეტოქემ საკმაოდ გვანერვიულა და გოლი რომ ვერ შეაგდო, ალბათ უიღბლობას უნდა მივაწეროთ, მაგრამ ჩემს გუნდს ნამდვილი მტკიცე ხასიათი აქვს და კარგად იცის ზეწოლას როგორ გაუძლოს. მეორე ტაიმში ჩვენ მეტი მომენტი შევქმენით, ვიდრე მოწინააღმდეგემ. საბოლოოდ, ვგონებ, გამარჯვებას ვიმსახურებდით“ — ბრძანა მატჩის შემდეგ ჯოანი ტრაპატონიმ.

მართლაც, პირველ ტაიმში ჯონათან ბაკინის ორჯერ ჰქონდა საუცხოო მომენტი გოლის გასატანად, მაგრამ ორივეჯერ ხელი მოეცარა. იმავე ბაკინიმ შესვენების შემდეგ ძელს გაატყა ბურთი.

მასპინძელთა საუკეთესო ფორვარდი, არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა, ბუნებრივია, უდინელებს საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. ბუნებრივია, ვამბობთ, რადგან სამი ტურის მერე მას ხუთი გოლი ჰქონდა გატანლი, თან ამ ხუთიდან სამი „სან სიროზე“, „მილანის“ კარში. ისიც ბუნებრივია, რომ ასეთი საგანგებო მეთვალყურეობის გამო ბატისტუტამ საგოლე მომენტი ფაქტობრივად ვერ იხელთა.

სამაგიეროდ ფლორენციელთაგან ედმუნდო აქტიურობდა. უკვე მესამე წუთზე ბრაზილიელმა ჩინებულად დაარტყა „უდინეზეს“ კარში, მაგრამ სტუმრების მეკარემ ლუიჯი ტურჩიმ კიდევ უფრო ჩინებულად მოიგერია.

მეექვსე წუთზე „ფიორნეტინაში“ მოთამაშე ბელგიელმა ლუის ოლივეირამ გოლიც გაიტანა, ოღონდ ოფსაიდიდან.

მეოთხე ტურის წინ წაგებათა გრაფაში შვიდ გუნდს ეწერა ნული. ამათგან „ფიორენტინასა“ და „უდინეზეს“ ამბავი უკვე ვთქვით, ახლა „ინტერზე“, „რომაზე“ და სხვებზე ვილაპარაკოთ.

„ინეტრმა“ „პერუჯას“ მასპინძლობის მე-11 წუთზე ფრანჩესკო კოლონეზეს პასითა და ჩილელი ივან სამორანოს დარტყმით გახსა ანგარიში, მეორე ტაიმის მე-9 წუთზე კი ფრანჩესკო მორიეროს დარტყმული პერუჯელმა გოლკიპერმა მარკო როკატიმ ვერ შეიმაგრა, რის შემდეგაც ბურთს მილანელთაგან საუკეთესომ, იური ჯორკაეფმა თავურით მიუჩინა კარის ხაზს მიღმა.

„რომამ“ გენუაში იწვნია პირველი მარცხის სიმწარე, არადა, ანგარიში გახსნა. თავიდან მარკო დელვეკიომ შეაგდო ბურთი „სამპდორიას“ კარში, მაგრამ შესვენებისა და კართა გაცვლის მერე სურათი შეიცვალა. ჯერ ფრანჩესკო პალმიერიმ მიმართა არგენტინელი არიელ ორტეგას ჯარიმა იქითკენ, სადაც მას ვერავინ შეაჩერებდა ბადის გარდა, მერე კი, ათი წუთის შემდეგ, ვინჩენცო იაკოპინომ დაახლოვებით 25 მეტრიდან „თავისი ჯარიმა“ სხვის დაუხმარებლად გადააქცია „სამპდორიას“ მეორე გოლად.

ბოლო დროს, ბოლო წუთებზე იმდენი გოლი გადის, რომ „რომასაც“ ჰქონდა ანგარიშის გათანაბრების იმედი, თუმცა, როდესაც მსაჯმა მის ბრაზილიელ მცველს, ალდაირს წითელი ბარათი აჩვენა, დედაქალაქელებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს.

კიდევ ერთი დაუმარცხებელი გუნდი გახლავთ „პარმა“, რომელმაც ბოლონიაში 0:0 ითამაშა. ახალ სეზონში პარმელები შეტევაში ძალიან უკბილონი ჩანან. ფაქტი: ოთხ თამაშში მათ ერთადერთი გოლი აქვთ გატანილი. ბოლონიურ შეხვედრაში „პარმას“ თავდასხმის შედარებით სისუსტე კიდევ ერთხელ გამოჩნდა. განსაკუთრებით 22 წუთში, როდესაც ისინი თერთმეტნი თამაშობდნენ ათის წინაალმდეგ.

დიახ, 68-ე წუთზე, მეორე გაფრთხილების გამო მასპინძელი გუნდიდან მოედანი ერიბერტომ დატოვა, მაგრამ იმავე წუთს კარლო ნერვოს დარტყმამ კინალამ უმცირესობაში დარჩენილნი დააწინაურა — „პარმას“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი ბურთს ვერ შეწვდა და მისი გუნდი მხოლოდ დამრტყმელის ოდნავმა უზუსტობამ იხსნა.

ბოლონიელები ენრიკო კიეზას გოლისგან გოლკიპერმა ფრანჩესკო ანტონიონიმ გადაარჩინა.

„ბარიც“ დაუმარცხებელი იყო. ახლა უკვე დამარცხებულია. მისი დამმარცხებელი „ვიჩენცა“ კი აქამდე მოგების გარეშე მიდიოდა. ახლა პირველი გამარჯვება ჩაიწერა.

დაუმარცხებელი იყო და ასეთად დარჩა „ლაციო“. მან „კალიარის“ აჯობა, ოღონდ რაოდენ უცნაურადაც შეიძლება გვეჩვენოს, პირველად მოიგო.

რომაელებს, ისევე როგორც შუა კვირაში, თასების თასის შეხვედრაში „ლოზანასთან“, „კალიარის“ წინააღმდეგაც ცხრა მთავარი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ ამას სინიშა მიჰაილოვიჩისთვის პასის ჩაწოდებისა და ფერნანდო კოუტუსთვის თავურის დარტყმაში ხელი არ შეუშლია — ასე გაიხსნა ანგარიში. მეორე ტაიმში ახალშეძენილმა ურუგვაელმა ვარსკვლავმა მარსელო სალასმა დეიან სტანკოვიჩს ანგარიში გააზრდევინა, მანამდე კი, სტუმართა გუნდის ურუგვაელმა მოთამაშემ, გამთამაშებელმა ფაბიან ონილმა წითელი ბარათი მიიღო.

ჩემპიონმა, „იუვენტუსმა“ დაამარცხა „პიაჩენცა“. ერთადერთი გოლი ფილიპო ინძაგიმ თავურით გაიტანა, რაც ვერ შეძლო მისმა ძმამ სიმონემ, რომელიც ამ შეხვედრაში ძმის საწინააღმდეგო მიმართულებით უტევდა. სიმონე ინძაგისა და მის თანაგუნდელ ჯოვანი სტროპას ტურინელთა მეკარემ, წლების განმავლობაში სათადარიგო მიქელანჯელო რამპულამ დიდებულად გაუწბილა იმედები.

**პაპუნა ბედია**




REUTERS ფლორენციიდან

ფიორენტინა — უდინეზე. ედმუნდომ (მარცხნივ) ტრაპატონის წინასწარმეტყველება აახდინა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ფიორენტინა | 4 | 4 | 0 | 0 | 8:2 | +6 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | +3 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | +3 | 6 |
| 2 | ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | +4 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | +3 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | +1 | 4 |
| 3 | მილანი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | +4 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | +1 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | +3 | 6 |
| 4 | იუვენტუსი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | +2 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 |
| 5 | უდინეზე | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | +3 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | +2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | +1 | 3 |
| 6 | რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | +3 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | +4 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | −1 | 1 |
| 7 | ლაციო | 4 | 1 | 3 | 0 | 5:3 | +2 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | +2 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 8 | პარმა | 4 | 1 | 3 | 0 | 1:0 | +1 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 0 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 9 | ბარი | 4 | 1 | 2 | 1 | 1:1 | 0 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | −1 | 1 |
| 10 | სამპდორია | 4 | 1 | 2 | 1 | 5:9 | −4 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | +1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:7 | −5 | 1 |
| 11 | კალიარი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:5 | +2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 7:2 | +5 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | −3 | 0 |
| 12 | პიაჩენცა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | +2 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | −2 | 0 |
| 13 | ვიჩენცა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | −2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | −2 | 1 |
| 14 | პერუჯა | 4 | 0 | 2 | 2 | 6:9 | −3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 5:6 | −1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | −1 | 1 |
| 15 | ემპოლი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | −3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | −1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | −2 | 1 |
| 16 | ბოლონია | 4 | 0 | 2 | 2 | 1:6 | −5 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | −2 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | −3 | 1 |
| 17 | ვენეცია | 4 | 0 | 1 | 3 | 0:5 | −5 | 1 | 2 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | −3 | 0 |
| 18 | სალერნიტანა | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | −5 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | −1 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | −4 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 5 |
| ამოროზო (უდინეზე) | 5 |
| ბირჰოფი (მილანი) | 5 |

**V ტური**

18 ოქტომბერი

ბარი - უდინეზე
კალიარი - მილანი
ემპოლი - ბოლონია
ინტერი - ლაციო
პარმა - სალერნიტანა
პერუჯა - ვიჩენცა
პიაჩენცა - სამპდორია
რომა - ფიორენტინა
ვიჩენცა - იუვენტუსი

## სერია B

### V ტური

**პესკარა 1:0 რეჯანა**
1:0 რაკინი (20)

**რავენა 1:1 რეჯინა**
1:0 დელანო (33პ), 1:1 ლორენძინი (82პ)

**ტერნანა 0:0 ჯენოა**

**ნაპოლი 0:0 ატალანტა**

**მონცა 0:0 ტრევიზო**

**ლუკეზე 0:0 ჩეზენა**

**ლეჩე 1:1 ტორინო**
1:0 სესა (12), 1:1 პარენტე (55)

**კრემონეზე 0:0 ვერონა**

**კოზენცა 2:0 ფ. ანდრია**
1:0 მორონე (25), 2:0 მარკატი (44)

**კიევო 0:2 ბრეშა**
0:1, 0:2 მარინო (15, 48)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშა | 5 | 3 | 2 | 0 | 7:1 | 11 |
| ტრევიზო | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 11 |
| რავენა | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| კოზენცა | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| პესკარა | 5 | 3 | 0 | 2 | 5:5 | 9 |
| ვერონა | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| კრემონეზე | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| ნაპოლი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| ლეჩე | 5 | 2 | 2 | 1 | 3:2 | 8 |
| ტორინო | 5 | 2 | 1 | 2 | 8:6 | 7 |
| ატალანტა | 5 | 2 | 1 | 2 | 2:3 | 7 |
| რეჯინა | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| ტერნანა | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 6 |
| მონცა | 5 | 1 | 3 | 1 | 1:2 | 6 |
| რეჯანა | 5 | 1 | 2 | 2 | 6:5 | 5 |
| ჯენოა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| ლუკეზე | 5 | 0 | 3 | 2 | 2:4 | 3 |
| კიევო | 5 | 1 | 0 | 4 | 3:7 | 3 |
| ფ. ანდრია | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | 2 |
| ჩეზენა | 5 | 0 | 1 | 4 | 3:8 | 1 |

## ესპანეთი

V ტური

**ტენერიფე 1:1 მალიორკა**

1:0 ანდრე ლუისი (12), 1:1 ბიაჯინი (54)
ტენერიფე: უნსუე, პაბლო პასი, მატა, ანდრე ლუისი, იოკანოვიჩი (კოდრო 72), ფელიპე (რობაინა 62), დანი, ემერსონი, ხუანელე, მაკაი, დომინგუში (სლოვაკი 73)
მალიორკა: სეზარ გალვესი, სივიერო, მ. სოლერი, მარსელინო, კარერასი, ოლაისოლა, სტანკოვიჩი (არპონი 82), ლორენი, ფ. სოლერი (ფერნანდო ნინო 74), ჩუპა ლოპესი (დანი 80), ბიაჯინი
გაფრთხილება: კოდრო, ემერსონი, დომინგუში, სივიერო, მ. სოლერი, კარერასი
მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

**ოვიედო 3:1 ატლეტიკო**

1:0, 2:0 ივან იგლესიასი (32, 70), 3:0 დელი ვალდესი (83), 3:1 ჟუნინიო (89)
ოვიედო: ესტებანი, რაბანიროვი, მანელი, სეზარი, ნადი, ივან იგლესიასი, პაულო ბენტო, ონოპკო, ხაიმე (დუბოვსკი 58), მიოლერი (ივან ანია 46), დელი ვალდესი
ატლეტიკო: მოლინა, სერენა, შამოტი (ტონი 67), სანტი, აგილერა, ნიეგუსი, მენა (ვალერონი 46), ჟუნინიო, ბეიბლი, ხოსე მარი (კორეა 58), კიკო
გაფრთხილება: სეზარი, ონოპკო, სერენა, მენა, ბეიბლი, კორეა
მსაჯი: ლოპეს ნიეტო

**სოსიედადი 2:0 დეპორტივო**

1:0 დე პაულა (42), 2:0 დე პედრო (61პ)
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლორენი, ანტია, ლოპეს რეკარტე, გომესი, დე პედრო (იარეგი 85), დე პაულა (ალდეონდო 75), კუხბაუერი, იდიაკესი, სა პინტუ
დეპორტივო: რუფაი, შურერი, რომერო, არმანდო, რამისი, ზიანი (მანხარინი 72), მაურო სილვა (ბონისელი 61), ფრანი, სკალონი, კონსეისაო (დონატო 75), ტურუ ფლორესი
გაფრთხილება: ლოპეს რეკარტე, კუხბაუერი, შურერი, კონსეისაო
გაძევება: ლორენი
მსაჯი: ესკინას ტორესი

**ესპანიოლი 1:1 ვილიარეალი**

1:0 კიკე მარტინი (53), 1:1 დიასი (77)
ესპანიოლი: ტონი, დომინგესი, კრისტობალი, პოჩეტინიო (ნანდო 3), ივან ელგუერა, გალკა, პაჩეტა, ნან რიბერა (სერანო 82), მარტინ პოსე, ბენიტესი, კიკე მარტინი
ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი, აიტორ არეგი (ტასევსკი 76), იმანოლი, გარსია სანხუანი, რობერტო (კიკე მედინა 79), ალბელდა, დიასი, კრაიოვეანუ (ალფარო 59), ალბერტო, მოიზესი
გაფრთხილება: მარტინ პოსე, იმანოლი, რობერტო, მოიზესი
მსაჯი: ბუენო გრიმალი

**სალამანკა 1:0 ვალიადოლიდი**

1:0 კარდეტი (46)
სალამანკა: სტელეა, ლეო რამოსი (როხერიო 64), კორინო, ლორენი, ლანა, ედუ ალონსო, ჯიოვანელა, კარდეტი, ბარბარა (მუნტეანუ 8), ველისა, სილვანი (კასარტელი 39)
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, სანტამარია, ხულიო სეზარი, პენია, ვისკაინო, ტორეს გომესი, ეუსებიო (კამინერო 65), ჩემა (ალბერტო 65), ისაილოვიჩი (ვიქტორი 19), პეტერნაკი
გაფრთხილება: ლეო რამოსი, ლორენი, ედუ ალონსო, კარდეტი, ხულიო სეზარი, ვისკაინო
გაძევება: ვიქტორი
მსაჯი: პრადოს გარსია

# ამბავი რუდისა და კლაუდიოსი

**სელტა 3:2 ბილბაო**

1:0 კასერესი (16), 2:0 პენევი (31), 2:1 გერერო (55), 3:1 პენევი (63პ), 3:2 ურსაისი (89)
სელტა: დუტრუელი, კასერესი, მიჩელ სალგადო, ჯოროვიჩი, ხოსემა (ი. ტომასი 82), მაკელელე, მაზინიო, კარპინი, მოსტოვოი, პენევი (კადეტე 86), რევივო (გ. ტომასი 67)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ალკორტა, ფელიპე (ხოსე მარი 83), ლარასაბალი, ლაკრუსი (ურსაისი 79), რობერტო რიოსი, გერერო, ნაგორე (ხავი გონსალესი 65), ალკისა, ეტხუერო, ხ. ეჩებერია
გაფრთხილება: მაკელელე, მაზინიო, ალკორტა, ხ. ეჩებერია
მსაჯი: მეგია დავილა

**ალავესი 0:1 რასინგი**

0:1 მუნიტისი (15)
ალავესი: კიკე, ხოსეტე, ალფონსო (სალვა 35, მუნიტისი 38), კარმონა, ალბისტეგი, ბერუე, კანაბალი, პაბლო გომესი, გერარდი (ასკოიტია 89), დეზიო, სივორი (რევილია 73)
რასინგი: სებალოსი, არსენო, ნერუ, მერინო, ტაისი, ვიქტორი, შუსტიკოვი (ვივარ დორადო 30), ბილიაბონა (ხელი 83), ხემა, ისმაელი, მუნიტისი (სალვა 35)
გაფრთხილება: ხოსეტე, ალბისტეგი, ბერუე, დეზიო, მერინო, ვიქტორი, ხემა, ისმაელი
მსაჯი: ანსატეგი როჩა

**ვალენსია 1:3 ბარსელონა**

1:0 ლოპესი (14), 1:1 კლუივერტი (55), 1:2 რივალდო (73), 1:3 ანდერსონი (90)
ვალენსია: კანისარესი, როში, ჯუკიჩი, კარბონი, ანგლომა, შვარცი (ლუკარელი 78), მენდიეტა, ფარინოსი, მიია (პოპესკუ 78), ლოპესი, ანგულო
ბარსელონა: ჰესპი, პელეგრინო, აბელარდო, სერხი (როხერი 28), რაიციგერი, კოკუ, ხავი, ფიგუ, ლუის ენრიკე, კლუივერტი (ანდერსონი 89), რივალდო (ზენდენი 88)
გაფრთხილება: კანისარესი, კარბონი, ანგლომა, ლოპესი, კოკუ, ხავი, ლუის ენრიკე, რივალდო
მსაჯი: პერეს ლასა

**ესტრემადურა 0:2 სარაგოსა**

0:1 კილი გონსალესი (56), 0:2 მილოშევიჩი (85)
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, სოტო, ბელენგუერი (მანუელი 59), კალა, ფელიქსი, ოსკარი (რუედა 70), პოლი, პედრო ხოსე, ერანია, ბოგდანოვიჩი, გაბრიჩი (ამადორი 51)
სარაგოსა: ხუანმი, პაკო, პაბლო, აგუადო, სუნდგრენი, ხოსე იგნასიო (არაგონი 63), კილი გონსალესი (რადიმოვი 88), ტორო აკუნია, მილოშევიჩი, იორდი (ჯამელი 73), მარკოს ვალესი
გაფრთხილება: მანუელი, აგუადო, არაგონი, მილოშევიჩი
გაძევება: გასპერჩიჩი
მსაჯი: დიას ვეგა

**რეალი 0:1 ბეტისი**

0:1 ფინიდი (54)
რეალი: ილგნერი, ივან კამპო, რობერტო კარლოსი (იარნი 78), სანჩისი, პანუჩი (კარემბუ 78), რედონდო (შუკერი 58), ზეედორფი, რაული, მიატოვიჩი, მორიენტესი, სავიო
ბეტისი: პრატსი, აიალა, ხაიმე, ურენია, მერინო, სოლოსაბალი, ალექსისი (კანიასი 85), ფერნანდო, ფინიდი, დენილსონი, ივან პერესი (გალვესი 78)
გაფრთხილება: ივან კამპო, სანჩისი, პანუჩი, ხაიმე, ალექსისი, ფერნანდო
მსაჯი.: პერეს ბურული


REUTERS ვალენსიადან

ვალენსია — ბარსელონა. მალე რივალდო (№11) საბოლოოდ გასცდება სანტიაგო კანისარესს და მეორედ აიღებს მასპინძელთა კარს

ჩემპიონთა ლიგაში განცდილი მარცხის შემდეგ მანამდე დაუმარცხებელმა მადრიდის „რეალმა" შინ, „სანტიაგო ბერნაბეუზე" „ბეტისს" უმასპინძლა და... სეზონში პირველად წააგო. სამეფო კლუბს მოსკოვში ფეხი დაუცდა, დავარდნით კი მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე" დავარდა.

სეზონის წინ ესპანეთში ხალხი მოუთმენლად ელოდა ბრაზილიელი დენილსონის გამოჩენას. ჩემპიონატის სტარტი ტექნიკურ ბრაზილიელს არც ისე შთამბეჭდავი გამოუვიდა, რაც ადაპტაციას დააბრალეს, თუმცა დენილსონმა ვერც სხვა მატჩებში გამოიჩინა თავი, რითაც ქომაგებს აშკარად გაუცრუა გული. წარუმატებლობა კვლავ რომ გაგრძელებულიყო, „ბეტისის" ხელმძღვანელებს ეგებ დენილსონის გაყიდვაზეც დაეწყოთ ფიქრი, მაგრამ ბრაზილიელმა, როგორც ჩანს, დაძლია კრიზისი.

მასპინძლების დაცვას დანაკლისი განეცადა — იერო ტრავმის გამო არ თამაშობდა, ეს კი მცველებს შორის „მოსეირნე" დენილსონს საქმეს კიდევ უფრო უადვილებდა. ბრაზილიელმა „რეალის" დაცვა პირწმინდად დაამარცხა, ერთი ეგაა, ილგნერს გოლი ვერ გაუტანა.

— „ბეტისი" სახიფათოდ არ თამაშობდა, მხოლოდ დენილსონი ირჯებოდა ძლიერად. თითქოს ერთ ფეხბურთელს ჩვენი დაცვისთვის რა უნდა დაეკლო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თავდამსხმელმა ჩვენი უკანახაზელები გააწამა. მართალი გითხრათ, ერთი ხანობა „რეალის" მცველების იმედი დამეკარგა — ილგნერმა ბევრჯერ იწვნია ბრაზილიელის დარტყმის ძალა, მაგრამ მისგან გოლი მაინც არ გაუშვა.

დენილსონმა ვერა, მაგრამ აი ნიგერიელმა ჯორჯ ფინიდიმ თავისი მაინც გაიტანა — მეორე ნახევარი ხეირიანად არც კი დაწყებულიყო, მისი უძლიერესი დარტყმის შემდეგ „სანტიაგო ბერნაბეუ" რომ გაირინდა. ბურთმა წამებში დაფარა დაახლოებით 30 მეტრი და ილგნერის კარის ბადეში გაეხვია. მეკარე კი გადახტა, მაგრამ ბურთს ვერ მიუსწრო. დაწინაურებამდე სევილიელებს, ისევე როგორც მასპინძლებს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ ორი ნული კარგა ხანს შეეყინა ტაბლოს. დენილსონის ბრწყინვალე თამაშის შემდეგ ორჯერ ივან პერესს ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ბურთი ჯიუტობდა. ჯორჯ ფინიდისაც შეეძლო ილგნერი და მასთან ერთად მთელი მადრიდი ადრევე დაემწუხრებინა, მაგრამ არც მას გაუმართლა.

მეორე ტაიმში მოედანზე დავორ შუკერი გამოჩნდა — როგორც კი შეატყო გუს ჰიდინკმა, რომ თავდამსხმელებს მცველები სჯობნიდნენ, ისევ ნაცად ფორვარდზე დაყრდნობა ამჯობინა. მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს ძალიან კი ეწადა გოლის გატანა, მაგრამ იმ დღეს „ბეტისი" უძლეველი გახლდათ. ამ სეზონში პირველად მოთამაშე დავორ შუკერმა (მას ტრავმა აწუხებდა) მთლიანობაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა სასურველისგან რომ საკმაოდ შორსაა, ესეც ნათელია.

„რეალს" რომ გაემარჯვა, ლიდერობას უფრო გაიმყარებდა, მაგრამ ეს ვერ შეძლო. მადრიდელებმა წააგეს, თანაც შინ.

ესპანეთის ჩემპიონი „ბარსელონა" კი ვალენსიაში გამარჯვებას ხარობდა — ვან გაალის გუნდმა რთული ბრძოლა თავის სასარგებლოდ დაასრულა, მაგრამ ცუდად არც „ვალენსიას" უთამაშია. და მაინც „ბარსელონამ" მოიგო.

სეზონის დასაწყისში ვან გაალი აცხადებდა, გუნდი კვლავ დუბლისთვის იბრძოლებს, ამავდროულად ჩემპიონთა ლიგის მოგებასაც შევეცდებითო. ერთი შეხედვით „ბარსელონა" დანაპირებს ასრულებს — პრიმერა დივიზიონშიც დაუმარცხებლად თამაშობს და ევროსარბიელზეც არ ირცხვენს თავს. სანამდე გაგრძელდება ასე, არავინ იცის, ისე კი, მეტად დაძაბული კალენდრიდან გამომდინარე, ყველა შეჯიბრებაზე პირველობა ძალიან რთული იქნება. „წლევანდელი ჩემპიონატი გაცილებით საინტერესო და დაძაბულია, ვიდრე წინა. სეზონი ახალი დაწყებულია და გუნდმა უკვე რამდენიმე ბრძოლა გადაიტანა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მწამს, მიუხედავად იმისა, რომ წინ არანაკლებ რთული თამაშებია, „ბარსელონა" თავისას მაინც მიაღწევს" — ვალენსიური გამარჯვების შემდეგ ლუის ვან გაალმა გეგმებზეც ილაპარაკა.

სტუმრად რომ სამ გოლს გაიტან, თითქოს უპირატესობა ძალიან დიდი უნდა გქონდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე სხვაგვარად იყო — უპირატესობა გარდამავალი გახლდათ. ხანდახან კი სტუმრებს მასპინძელთა შტურმების გადატანაც უხდებოდათ. და კიდევ — რუდ ჰესპი შეუდარებელი გახლდათ. რაც იმ დღეს ჰოლანდიელმა მეკარემ გააკეთა, ზოგი მთელი სეზონის მანძილზე ვერ შეძლებდა. ეტყობა, კატალონიელებმა დიდი ძიების შემდეგ სასურველ მეკარეს მიაგნეს.

ლუის ვან გაალის „ბარსელონაში" მისვლას, კლუბის ჰოლანდიელი ფეხბურთელებით გავსება მოჰყვა — რუდ ჰესპი, მიხაელ რაიციგერი, უინსტონ ბოგარდი, ბუდევინ ზენდენი, ფილიპ კოკუ, პატრიკ კლუივერტი. მომავალ სეზონში მათ სავარაუდოდ ძმები დე ბურებიც დაემატებიან. ერთის მხრივ, ესპანური კლუბისთვის გაჰოლანდიელება ძალიან ცუდია, მაგრამ მეორეს მხრივ კარგიც — ნაცნობ ფეხბურთელებთან მუშაობით და, რაც მთავარია, ენობრივი ბარიერის მოხსნით ლუის ვან გაალს გაცილებით გაუადვილდება წარმატების მიღწევა.

სხვების რა მოგახსენოთ, მაგრამ პატრიკ კლუივერტის გადაბირებით „ბარსელონამ" უდიდესი ნაბიჯი რომ გადადგა გაძლიერებისკენ. ეს ფაქტია — ექსაიაქსელმა მეოთხე შეხვედრაში მეოთხე გოლი გაიტანა, ასეთი შედეგიანობით კი ბევრი ვერ დაიკვეხნის. მართალია კლუივერტმა აბელარდოს კარში არგასულ დარტყმას დაამატა და ისე შეაგდო, მაგრამ ამის გაკეთებასაც ხომ შნო უნდა. ბევრი ამასაც ვერ ახერხებს ხოლმე.

კლუივერტი კლუივერტად, მაგრამ იმ საღამოს „ძველმა ბარსელონელებმაც" — ანდერსონმა და რივალდომაც იყოჩაღეს. ორივე ბრაზილიელის გოლში ჰოლანდიელთა ფეხიც (და არა ხელი) ერია — რივალდომ კლუივერტის გადაცემის შემდეგ იხეირა, სონი ანდერსონს კი ასისტენტობა ბუდევინ ზენდენმა გაუწია.

„ვალენსია" დამარცხდა და იცით რა იყო ამის მიზეზი? ის, რომ გუნდი გუნდად არ ვარგოდა, თორემ ინდივიდუალისტები საკმაოდ ჰყავდათ. ამ შემთხვევაში ყურადღებას მხოლოდ ერთზე, არგენტინელ კლაუდიო ლოპესზე გავამახვილებთ. რომ არა ჰესპის „საქმენი საგმირონია", კლაუდიოს ეგებ ჰეთ-თრიქიც შეესრულებინა, მაგრამ ნიდერლანდელმა არგენტინელს მხოლოდ ერთი გოლი ამყოფინა — პირველი ტაიმის დასაწყისში ლოპესმა აჯობა რაიციგერს და ბურთი თავური დარტყმის შემდეგ ჰესპის კარში გადაგზავნა.

სხვათა შორის, ლოპესმა, შუკერის დარად, წლევანდელ სეზონში პირველად ითამაშა — წინა ჩემპიონატის მიწურულს მას ერთ ხიხონელი მოთამაშე შემოელახა, სადისციპლინო კომიტეტმა კი ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

**ლაშა გოდუაძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | სარაგოსა | 5 | 4 | 0 | 1 | 10:3 | +7 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | +4 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | +3 | 6 |
| 2 | რეალი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | +4 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | +2 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | +2 | 6 |
| 3 | ბარსელონა | 5 | 2 | 3 | 0 | 8:5 | +3 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | +1 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | +2 | 5 |
| 4 | მალიორკა | 5 | 2 | 3 | 0 | 4:1 | +3 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | +2 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | +1 | 5 |
| 5 | ოვიედო | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | +2 | 8 | 3 | 1 | 0 | 1 | 4:2 | +2 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 6 | ატლეტიკო | 5 | 2 | 1 | 2 | 8:6 | +2 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | +5 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 |
| 7 | ალავესი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:3 | 0 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 8 | სელტა | 5 | 1 | 4 | 0 | 6:5 | +1 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | +1 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 1 |
| 9 | დეპორტივო | 5 | 2 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 |
| 10 | რასინგი | 5 | 2 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 11 | სალამანკა | 5 | 2 | 1 | 1 | 4:8 | -4 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | +3 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | -7 | 0 |
| 12 | ბილბაო | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | -1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | +1 | 3 | 2 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 |
| 13 | ვალენსია | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 14 | ვილიარეალი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:7 | +1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | +5 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 |
| 15 | ვალიადოლიდი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:3 | 0 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | +1 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | -1 | 2 |
| 16 | ტენერიფე | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 1 |
| 17 | სოსიედადი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:10 | -2 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | +1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 1 |
| 18 | ესპანიოლი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | +1 | 5 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 19 | ბეტისი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | -2 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 |
| 20 | ესტრემადურა | 5 | 0 | 2 | 3 | 0:4 | -4 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | -3 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 5 |
| კრაიოვეანეუ (ვილიარეალი) | 4 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 4 |
| ურსაისი (ატლეტიკი) | 3 |

VI ტური
18 ოქტომბერი
ბარსელონა - სალამანკა
ბილბაო - ვალენსია
მალიორკა - ალავესი
ატლეტიკო - ტენერიფე
ბეტისი - სელტა
ვალიადოლიდი - ესპანიოლი
დეპორტივო - ოვიედო
სარაგოსა - რეალი
რასინგი - ესტრემადურა
ვილიარეალი - სოსიედადი

### მეორე დივიზიონი

VI ტური

**ეიბარი 1:2 რაიო**
0:1 პინედა (25), 1:1 დონოსტი (69პ), 1:2 პაბლო სანსი (91)

**ბარსელონა B 0:4 ნუმანსია**
0:1 ანხელო რუისი (57), 0:2 ინიაკი (62), 0:3 არტიგასი (73), 0:4 ბარბარინი (78)

**ერკულესი 3:2 კომპოსტელა**
0:1 ფაბიანო (4პ), 1:1 ესპეხო (20), 2:1 ლიედო (34), 3:1 რისო (40), 3:2 პრიეტო (71)

**ლეგანესი 1:0 რეკრიატივო**
1:0 ნაჩო სიერა (70)

**ლას პალმასი 4:2 მალიორკა B**
1:0 სოკორო (18), 1:1 ტრისტანი (47), 1:2 ივო (56), 2:2 სარასუა (61), 3:2, 4:2 კოვალჩუკი (63, 77)

**ტოლედო 4:1 ლოგრონიესი**
1:0, 2:0 კინი (15პ, 21), 3:0 ლოსადა (44), 3:1 მანელი (87), 4:1 ჟურადო (90)

**სპორტინგი 0:3 ატლეტიკო B**
0:1 ტევენე (3), 0:2, 0:3 სეკუეროსი (49, 56)

**ალბასეტე 0:1 ლეიდა**
0:1 ხოსემი (45პ)

**ოსასუნა 2:1 სევილია**
1:0 პალაციოსი (41), 2:0 ალფრედო (68), 2:1 ხუან კარლოსი (77)

**ბადახოსი 2:0 ორენსე**
1:0 ტორესი (46), 2:0 ბისკონტი (86)

**მერიდა 1:4 მალაგა**
1:0 საბასი (26პ), 1:1 სარატე (35), 1:2 ბასტი (38), 1:3 კატანია (62პ), 1:4 პოპოვიჩი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 6 | 6 | 0 | 0 | 16:2 | 18 |
| ტოლედო | 6 | 4 | 2 | 0 | 10:2 | 14 |
| ლას პალმასი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:4 | 13 |
| მალიორკა B | 6 | 4 | 0 | 2 | 11:6 | 12 |
| მალაგა | 6 | 3 | 3 | 0 | 10:5 | 12 |
| ლეიდა | 6 | 4 | 0 | 2 | 10:8 | 12 |
| სევილია | 6 | 3 | 2 | 1 | 6:2 | 11 |
| ლოგრონიესი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:8 | 10 |
| კომპოსტელა | 6 | 2 | 2 | 2 | 9:7 | 8 |
| რაიო | 6 | 1 | 5 | 0 | 7:6 | 8 |
| ატლეტიკო B | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ოსასუნა | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 7 |
| ერკულესი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:12 | 7 |
| ორენსე | 6 | 2 | 1 | 3 | 3:7 | 7 |
| ლეგანესი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:12 | 6 |
| ბადახოსი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:7 | 5 |
| ალბასეტე | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| ბარსელონა B | 6 | 1 | 2 | 3 | 6:13 | 5 |
| რეკრიატივო | 6 | 0 | 3 | 3 | 2:5 | 3 |
| ეიბარი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:11 | 3 |
| მერიდა | 6 | 0 | 3 | 3 | 3:8 | 3 |
| სპორტინგი | 6 | 0 | 2 | 4 | 2:10 | 2 |

## შვეიცარია

XIII ტური

**ქსამაქსი 3:1 სიონი**

1:0 ჟანრე (33), 2:0 ისაბელა (78), 3:0 კუდუ (83), 3:1 ალენშპახი (89)

**სენტ გალენი 4:4 ლუგანო**

0:1, 0:2 როსი (9, 14), 1:2 ვურენსი (25), 2:2 იაკინი (26), 3:2 მიულერი (50), 4:2 იაკინი (59), 4:3 როსი (74), 4:4 ფერნანდესი (90)

**სერვეტი 3:1 ციურიხი**

1:0 ვარელა (34), 2:0 რეი (45), 3:0 ბიულმენი (53), 3:1 შასო (67)

**ლუცერნი 1:0 ლოზანა**

1:0 კოილოვი (24)

**ბაზელი 1:0 არაუ**

1:0 ოუატარა (51)

**გრასჰოპერი 2:1 იანგ ბოისი**

1:0 მანინი (44), 2:0 ფოგელი (59პ), 2:1 ლენგენი (63)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი, გრენი, სმილიანიჩი, კრისტი, მანინი (მაცარელი 77), ესპოზიტო (ნემსაძე 87), ფოგელი, ყაველაშვილი (კაბანასი 68), დე ნაპოლი, თურქილმაზი.

შვეიცარიის ჩემპიონატის მეცამეტე ტურში „გრასჰოპერი" „ჰარდთურმზე" აუტსაიდერ „იანგ ბოისს" მასპინძლობდა და იოლ გამარჯვებასაც უწინასწარმეტყველებდნენ. „კალიებმა" კი იმარჯვეს, მაგრამ ამისთვის გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდათ.

გემახსოვრებათ, პირველი მარცხი წლევანდელ ჩემპიონატში ციურიხელებმა სწორედ „იანგ ბოისისგან" იწვნიეს. ეს მეორე ტურში ბერნში მოხდა, ასე რომ, მასპინძლებს რევანშიც სწყუროდათ.

სასტარტო შემადგენლობაში ქართველთაგან კვლავინდებურად მხოლოდ ყაველაშვილი ვიხილეთ, ნემსაძე კი ფრინგერმა მატჩის მიწურულსლა შეიყვანა, როცა „გრასჰოპერი" უკვე 2:1 იგებდა და ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობდა.

პირველი ტაიმი მეტად უღიმღამოდ წარიმართა, ხიფათიც ნაკლებად იქმნებოდა. სტადიონზე შეკრებილი 4 100 გულშემატკივარი მხოლოდ ტაიმის ბოლოს გამოცოცხლდა, როდესაც ყაველაშვილს აქტიური თამაში დაუფასდა: მისი პასი ჯოელ მანინიმ გამოიყენა და ანგარიში გახსნა. მეტი პირველ ნახევარში არაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმი მასპინძლეთა შეტევებით დაიწყო. 51-ე წუთზე იმავე მანინიმ გაისროლა შორიდან, მცირედით ააცილა. წუთის შემდეგ თურქილმაზმა კარგად ითამაშა, მაგრამ გოლის გატანაში სტუმართა მეკარემ შეუშალა ხელი. 59-ეზე თურქილმაზმა რეიდი განახორციელა, რომელიც იანგბოისელმა ლენგენმა საჯარიმო მოედანში წესის დარღვევით შეაჩერა. ფოგელმა პენალტი უნაკლოდ შეასრულა — 2:0. ოთხ წუთში კი ლენგენმა თავისივე შეცდომა გამოასწორა, მასპინძელ ნახევარმცველთა უხეში შეცდომით ისარგებლა და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. მატჩის ბოლოს „იანგ ბოისი" შტურმზე გადავიდა და დაცვა მოაშიშვლა, რისთვისაც კინაღამ დაისაჯა. დე ნაპოლიმ ახლო მანძილიდან სანტიმეტრებით ააცილა კარს.

„გრასჰოპერის" ლიდერის კუბილაი თურქილმაზისათვის ეს მატჩი შესაძლოა ბოლო აღმოჩნდეს, რომელიც მან გუნდის შემადგენლობაში ჩაატარა. თურქი წარმოშობის შვეიცარიელი თავდამსხმელისთვის თურქულ „ფენერბაჰჩეს" დაუდგამს თვალი და მის შესაძენად თანხებს არ იშურებს.

კვირას კლუბების ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა, თუმცა ისინი ხვალ კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს და „კუბის" ამბავიც საბოლოოდ მაშინ გაირკვევა.

კვლავ მოიგო ლიდერმა „სერვეტმა", რომელმაც ამჯერად „ციურიხი" დაამარცხა — 3:1. ამ გამარჯვების შემდეგ „სერვეტი" უახლოეს მდევარს 8 ქულით უსწრებს.

„ლუცერნმა", როგორც იქნა, შეწყვიტა ზედიზედ თერთმეტმატჩიანი მოუგებელი სერია. მან შინ გაჭირვებით სძლია „ლოზანას" — 1:0. ეტყობა, ლოზანელებმა მთელი ძალა „ინტერს" შეალიეს სამშაბათის უეფას თასის მატჩში, თუმცა ვერც ის თამაში მოიგეს და ევროთასების მიღმა დარჩნენ.

ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა „სენტ გალენი"-„ლუგანოს" შეხვედრა, რომელიც ფრედ 4:4 დასრულდა. თავიდან როსის დუბლით სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ შემდეგ „სენტ გალენმა" ზედიზედ ოთხი გოლი გაიტანა და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვიტა, მაგრამ სტუმრები მარცხს 90-ე წუთზე გადაურჩნენ. ანგარიში ფერნანდესმა გაათანაბრა.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 13 | 9 | 3 | 1 | 28:18 | 30 |
| გრასჰოპერი | 13 | 6 | 4 | 3 | 20:16 | 22 |
| სენტ გალენი | 13 | 6 | 3 | 4 | 23:16 | 21 |
| ქსამაქსი | 13 | 5 | 6 | 2 | 21:15 | 21 |
| ბაზელი | 13 | 6 | 3 | 4 | 13:17 | 21 |
| ლოზანა | 13 | 5 | 5 | 3 | 19:19 | 20 |
| ციურიხი | 13 | 4 | 5 | 4 | 16:13 | 17 |
| ლუგანო | 13 | 4 | 4 | 5 | 23:22 | 16 |
| სიონი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:20 | 14 |
| არაუ | 13 | 2 | 4 | 7 | 19:26 | 10 |
| ლუცერნი | 13 | 2 | 4 | 7 | 14:21 | 10 |
| იანგ ბოისი | 13 | 1 | 4 | 8 | 15:22 | 7 |

# ბელგრადში სწამთ, რომ უეფა აიძულეს

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა იუგოსლავია — ირლანდია 10 ოქტომბერს აღარ გაიმართება. უეფასა და შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თათბირის შემდეგ ითქვა მიზეზი: უსაფრთხოება. გადაიდო ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრაც.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ჩაიშალა ამხანაგური შეხვედრა იუგოსლავიასა და ინგლისს შორისაც.

ყველაფრის თავი და თავი გახლავთ იუგოსლავიის ავტონომიურ მხარეში, კოსოვოში დაწყებული დესტაბილიზაცია. ნატოს წევრი ქვეყნები იუგოსლავიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერეციის ჩატარებაზე მსჯელობენ, რათა პასუხი გასცენ ამ ქვეყნის მიერ კოსოვოელ ალბანელთა წინააღმდეგ ჩადენილ სისასტიკეს.

— სამწუხაროა, შეხვედრა რომ არ გაიმართება, მაგრამ ცნობამ მისი გადადების შესახებ შვება მოგვგვარა — განაცხადა ირლანდიის ფეხბურთის ერთ-ერთმა ჩინოსანმა.

ბელგრადში კი ცნობას თამაშის გადადების შესახებ აღშფოთება მოჰყვა, თუმცა როგორც ცნობილი გახდა, იუგოსლავიელები ოფიციალური პროტესტის შეტანას არ აპირებენ.

— რამდენჯერმე ვესაუბრეთ უეფას და ვუთხარით, რომ რეალური საფუ-ძველი შეხვედრის გადადებისთვის არ არსებობს. გასულ კვირას ბელგრადში ევროთასების ორი მატჩიც გაიმართა და არანაირი პრობლემა არ წამოჭრილა, მაგრამ გვესმის, რომ უეფა აიძულეს ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად. ამ ორგანიზაციისგან მტრულ დამოკიდებულებას ვერ ვხედავთ. მისი ბრძანება ისეთი ძალების მიერაა ნაკარნახევია, ფეხბურთთან საერთო რომ არ აქვთ — განაცხადა იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბრანკო ბულატოვიჩმა.

რაც შეეხება მატჩის 18 ნოემბერს გამართვას, ამასთან დაკავშირებით ბულატოვიჩს საწინააღმდეგო ის აქვს, რომ 18 ნოემბერი ოთხშაბათია, ხოლო შაბათ-კვირას ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში ეროვნული პირველობების მორიგი ტურები გაიმართება. მათში ამ ქვეყნებში მოთამაშე იუგოსლავიელი ფეხბურთელები მიიღებენ მონაწილეობას — ეს ნაკრების ირლანდიელებთან სათამაშოდ მომზადებას ხელს შეუშლის.

ბულატოვიჩის განცხადებით უეფას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში თამაში ბელგრადში გაიმართება.

**პაპუნა ძიძია**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი — EURO 2000

**I ჯგუფი. დანია - უელსი; შვეიცარია - დანია**

გუშინ დანიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელის მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ის 19 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც მოახლოებულ ორ შესარჩევ მატჩში ქვეყნის ღირსების დაცვას შეეცდებიან. შემადგენლობა: მეკარეები — პეტერ კიაერი (სილკებორგი), მოგენ სკროგი (ბრონდბიუ), პეტერ შმაიხელი (მანჩესტერ იუნაიტედი); მცველები — სორენ კოლდინგი (ბრონდბიუ), იანა ჰაინცე (ლევერკუზენი), რენე ჰენრიკსენი (კოპენჰაგენი), ოლე ტობიასენი (აიაქსი), იეს ჰოგი (ფენერბაჰჩე), მარკ რიპერი (სელტიკი); ნახევარმცველები — პერ ფრანდსენი (ბოლტონი), ტომას გრავერსენი (ჰამბურგი), ტომას ჰელვეგი (მილანი), მარტინ იორგენსენი (უდინეზე), ალან ნილსენი (ტოტენჰემი), კლაუს ტომსენი (ვოლფსბურგი); თავდამსხმელები — სორენ ფრედერიკსენი (ოლბორგი), ებე სანდი (ბრონბიუ), იონ დალ ტომასონი (ფეიენოორდი), მიკელ ბექი (მიდლსბრო)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი — EURO 2000

**III ჯგუფი. თურქეთი - გერმანია; მოლდოვა - გერმანია**

გუშინ ბუნდესნაკრების ახალმა მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა ის 22 ფეხბურთელი დაასახელა, რომელიც ორი შესარჩევი მატჩისთვის მოემზადებიან. ტრავმების გამო ნაკრებს ოთხი ფეხბურთელი გამოაკლდა — ლოტარ მათეუსს, ტომას შტრუნცსს, მარიო ბასლერს და ოლაფ მარშალს დროებით დასვენება მოუწევთ.

ახალმა მწვრთნელმა გუნდში საკმაო რაოდენობის დებიუტანტები მიიწვია: მიუნხენის „ბაიერნის" ფორვარდი კარსტენ იანკერი, ლევერკუზენელი ნახევარმცველი კარსტენ რამელოვი, თურქული „ფენერბახჩეს" შუახაზელი მუსტაფა დოგანი, „შალკეს" მცველი ივ აიგენრაუხი და დორტმუნდის „ბორუსიას" მეკარე შტეფან კლოსი. გუნდი: მეკარეები — ოლივერ კანი (ბაიერნი), შტეფან კლოსი (დორტმუნდი), იენს ლემანი (მილანი); მცველები — მარკუს ბაბელი (ბაიერნი), მუსტაფა დოგანი (ფენერბახჩე), ივ აიგენრაუხი (შალკე), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰანზა); ნახევარმცველები — შტეფან ბაინლიხი, კარსტენ რამელოვი (ლევერკუზენი), მარკო ბოდე (ვერდერი), იორგ ჰანრიხი (ფიორენტინა), იენს იერემაისი, მიხაელ ტარნატი (ბაიერნი), კრისტიან მერლინგერი, ლარს რიკენი (დორტმუნდი), დარიუს ვოში (ჰერტა), რალფ ვებერი (აინტრახტი); თავდამსხმელები — ოლივერ ბირჰოფი (მილანი), კარსტენ იანკერი (ბაიერნი), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), ოლივერ ნოივილი (ჰანზა).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი — EURO 2000

**V ჯგუფი. ინგლისი - ბულგარეთი; ლუქსემბურგი - ინგლისი**

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მოსამზადებელი ნაკრების შემადგენლობა დაასახელა.

ინგლისელები 10 ოქტომბერს „უემბლიზე" ბულგარელებს მასპინძლობდნენ, ოთხი დღის შემდეგ კი ლუქსემბურგს სტუმრობენ. ნაკრების შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — დევიდ სიმენი (არსენალი), ნაიჯელ მარტინი (ლიდსი), ტიმ ფლაუერსი (ბლექბერნი); მცველები — ტონი ადამსი, მარტინ კეონი (არსენალი), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), რიო ფერდინანდი (ვესტ ჰემი), ენდი ჰინჩკლიფი (შეფილდ უენსდეი), გარი ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი); ნახევარმცველები — რობ ლი, დევიდ ბეტი (ნიუკასლი), დარენ ანდერტონი (ტოტენჰემი), გრემ ლე სო (ჩელსი), ფილ ნევილი, ნიკი ბათი, დევიდ ბექემი (მანჩესტერ იუნაიტედი), რეი პარლოუ (არსენალი); თავდამსხმელები — პოლ მერსონი (ასტონ ვილა), პოლ სქოულზი, ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯეიმი რედნაპი, მაიკლ ოუენი (ლივერპული), ალან შირერი (ნიუკასლი), დიონ დაბლინი (ქოვენთრი), იან რაიტი (ვესტ ჰემი).

## ჰოლანდია

VIII ტური

**ჰერენვენი 2:1 ბრედა**

1:0 სამარჯიჩი (12), 1:1 მილიჩიჩი (19), სამარჯიჩი (87პ)

ბრედა: კარელსე, ბოში, ვან ასი, ვან დე ლუი, გუდელი, ფესკენსი, ნოპი, შოიდერი, სტიუარტი, მილიჩიჩი, ზეფილიო

**სპარტა 2:0 აიაქსი**

1:0 ტამერი (38), კრიიგსმანი (49)

აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი, რუდი, ოლისე (დანი 46), ფ. დე ბური (მელხიოტი 35), რ. დე ბური, ლიტმანენი, ვიჩხე (სიბონი 73), ვამბერტო, არველაძე, ჰუქსტრა.

**უტრეხტი 2:3 ნაიმეგენი**

0:1 რეფურმი (10), 0:2 ლატუშერუ (33), 0:3 დე გიერი (62), 1:3 შუნჰოვენი (83), 2:3 კუიტი (86)

**ვალვაიკი 2:3 აზ-67**

1:0 ლანქორი (20), 1:1 ფერტოუტი (32), 2:1 პეტროვი (42), 2:2 ფერტოუდი (55), 2:3 უიკერი (75)

**ტვენტე 1:1 ფეიენოორდი**

1:0 ჰესელინკი (62), 1:1 დენ ჰაგი (69ს.კ.)

**გრააფსხაპი 0:0 ვიტესი**

**მაასტრიხტი 3:0 კამბური**

1:0 ლინდზაატი (5), 2:0 ტაივო (44), 3:0 ტიაპუტუ (90)

**ეინდჰოვენი 2:0 სიტარდი**

1:0 ნილისი (42), 2:0 ნისტელროი (47)

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, შავიერი, ლუსიუსი, მარკოსი, ფაბერი (სკერლა 7), რომენდალი (გახოკიძე 70), ვან დერ დოელენი, ნილისი, კოლკა, ნისტელროი (ხოხლოვი 75), დე ბილდე

ტილბურგი 1:2 როდა

0:1 ვან ჰოუდტი (8), 1:1 ჰერინგი (54), 1:2 ვან ჰოუდტი (73)

როგორც იქნა, „ფეიენოორდი" გააჩერეს. ეს მესამე ადგილზე მყოფმა „ტვენტემ" მოახერხა. ეტყობა, ჩემპიონატის ლიდერი ჯერ კიდევ გაოგნებულია „შტუტგარტთან" ნაწვნევი მოულოდნელი მარცხით. შეგახსენებთ, რომ თასების თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში „ფეიენოორდმა" სტუმრად 3:1 მოუგო გერმანელებს, ხოლო შინ 0:3 დამარცხდა და ევროტურნირებს გამოეთხოვა. ასეა თუ ისე, ლიდერმა პირველი ქულები დაკარგა და „ტვენტესა" და „ვიტესს" ახლა მხოლოდ ორი ქულითღა უსწრებს. ამ უკანასკნელს შეეძლო, სულაც დასწეოდა როტერდამელებს, მაგრამ სტუმრად, „გრააფსხაპთან", გოლი ვერც გაიტანა და არც გაუშვა. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ „ვიტესს" ისეთი ძლიერი ფორვარდი ჰყავს, როგორიც ჰოლანდიის ბოლო წლების საუკეთესო ბომბარდირი, საბერძნეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ნიკოს მახლასია.

ტურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ისევ და ისევ როტერდამს უკავშირდება. საუბარი ამ ქალაქის მეორე გუნდზე — „სპარტაზე" გვაქვს, რომელმაც ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბს, „აიაქსს" უმასპინძლა და ქართველების სამწუხაროდ, კუდით ქვა ასროლინა. მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა — მათ ჯერ პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანეს, ხოლო მეორე ნახევრის დასაწყისში დენის კრიიგსმანის გოლის წყალობით, რომელმაც ამსტერდამელთა დაცვის უნიათობით ისარგებლა, კიდევ უფრო დაწინაურდნენ. „აიაქსში" მყოფი ქართველი ლეგიონერებიდან მოედანზე მხოლოდ შოთა არველაძე იყო, თანაც მთელი 90 წუთი, ხოლო ქინქლაძე ოლსენმა ტრადიციულად არ ითამაშა. სხვათა შორის, სერიოზულად ალაპარაკდნენ დანიელი მწვრთნელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და სავსებით შესაძლებელია, მალე ამსტერდამელებს სხვა სპეციალისტი ჩაუდგეს სათავეში.

დამარცხდა არჩილ არველაძის „ბრედაც", რომელიც ბოლო ხანებში მთლად დაჩაჩანაკდა და თუ რაიმე არ ილონა, ახლანდელი მე-15 ადგილი მომავალში შეიძლება სანატრელი გაუხდეს.

სამაგიეროდ, გაგვახარა „ეინდჰოვენმა". ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ბენფიკასთან" მარცხმა კრიზისში მყოფ გუნდზე, ეტყობა, სასიკეთოდ იმოქმედა, რადგან შაბათს მასპინძლები ერთი თავით სჯობდნენ „სიტარდს" და საკმაოდ იოლად დაამარცხეს 2:0. რობსონმა, ალბათ, მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება გამოიყენა, რაც გუნდს ნელნელა დაეტყო და იმედია, მალე სახელგანთქმული კლუბი ცნობილი ინგლისელის დახმარებით თავის თამაშს იპოვის. 70-ე წუთზე მატჩში ქართველი ნახევარმცველი გოგა გახოკიძე ჩაერთო, მაგრამ სამწუხაროდ, გოლის გატანა ვერ მოახერხა.

**ნოდარ ძასრაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 7 | 6 | 1 | 0 | 17:6 | 19 |
| ვიტესი | 8 | 5 | 2 | 1 | 16:7 | 17 |
| ტვენტე | 8 | 5 | 2 | 1 | 11:4 | 17 |
| ჰერენვენი | 8 | 5 | 1 | 2 | 12:7 | 16 |
| ნაიმეგენი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:8 | 14 |
| აიაქსი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:7 | 14 |
| აზ-67 | 8 | 3 | 4 | 1 | 14:12 | 13 |
| უტრეხტი | 8 | 3 | 2 | 3 | 16:13 | 11 |
| ტილბურგი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:13 | 11 |
| ეინდჰოვენი | 7 | 3 | 1 | 3 | 12:12 | 10 |
| მაასტრიხტი | 8 | 3 | 0 | 5 | 12:15 | 9 |
| როდა | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | 8 |
| გრააფსხაპი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:15 | 8 |
| სპარტა | 8 | 2 | 1 | 5 | 9:14 | 7 |
| ბრედა | 8 | 1 | 3 | 4 | 9:13 | 6 |
| სიტარდი | 8 | 1 | 2 | 5 | 5:11 | 5 |
| კამბური | 8 | 1 | 2 | 5 | 8:17 | 5 |
| ვალვაიკი | 8 | 0 | 2 | 6 | 7:17 | 2 |



სპარტა — აიაქსი. შოთა არველაძემ როტერდამელთა დაცვა ვერ გაარღვია

## ავსტრია

მე-11 ტური. რიდი — ტიროლი 0:1, გრაცერი — შტაირი 2:0, ლუსტენაუ — ლინცერი 0:4, აუსტრია — შტურმი 0:3, ზალცბურგი — რაპიდი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაცერი | 11 | 8 | 2 | 1 | 18:5 | 26 |
| შტურმი | 11 | 7 | 1 | 3 | 19:9 | 22 |
| ლინცერი | 11 | 7 | 1 | 3 | 22:14 | 22 |
| რაპიდი | 10 | 6 | 3 | 1 | 17:7 | 21 |
| აუსტრია | 11 | 4 | 3 | 4 | 13:15 | 15 |
| ზალცბურგი | 10 | 3 | 4 | 3 | 17:17 | 13 |
| ტიროლი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:15 | 12 |
| ლუსტენაუ | 11 | 1 | 4 | 6 | 8:23 | 7 |
| რიდი | 11 | 1 | 3 | 7 | 7:13 | 6 |
| შტაირი | 11 | 1 | 2 | 8 | 10:26 | 2 |

## სლოვენია

მე-9 ტური. მარიბორი — ბელტინჩი 5:1; მურა — ოლიმპია 0:0; კოროტანი — ნოვა გორიცა 0:0; ტრიგლავი — კოპერი 1:1; აიდოვშჩინა — ველენიე 2:0; დომჟალე — ცელიე 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 9 | 7 | 1 | 1 | 20:6 | 22 |
| ნოვა გორიცა | 9 | 6 | 1 | 2 | 19:9 | 19 |
| ოლიმპია | 9 | 5 | 1 | 3 | 14:12 | 16 |
| მურა | 9 | 4 | 3 | 2 | 16:9 | 15 |
| ცელიე | 9 | 3 | 4 | 2 | 10:9 | 13 |
| ბელტინჩი | 9 | 4 | 1 | 4 | 12:14 | 13 |
| ველენიე | 9 | 3 | 2 | 4 | 10:11 | 11 |
| აიდოვშჩინა | 9 | 2 | 3 | 4 | 7:10 | 9 |
| კოროტანი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:12 | 9 |
| კოპერი | 9 | 2 | 2 | 5 | 12:18 | 8 |
| ტრიგლავი | 9 | 1 | 4 | 4 | 5:10 | 7 |
| დომჟალე | 9 | 1 | 3 | 5 | 3:15 | 6 |

## შოტლანდია

IX ტური

**დანდი იუნაიტედი 1:0 აბერდინი**

1:0 მაკსვიგანი (22)

**რეინჯერსი 1:0 დანდი**

1:0 ალბერცი (79)

**ჰართსი 1:1 სენტ ჯონსტონი**

0:1 პრესტონი (56), მაკელი (79)

**კილმარნოკი 0:0 დანფერმლაინი**

**მოზერველი 1:2 სელტიკი**

0:1 ბრატბაკი (29), 0:2 ლამბერტი (45), 1:2 ადამსი (90)

შოტლანდიის ჩემპიონატის მე-9 ტურმა სატურნირო ცხრილში საკმაოდ დიდი ცვლილებები მოახდინა. უპირველესად ის, რომ მის სათავეში ერთხელისუფლიანობაა — „რეინჯერსმა“ გაიმარჯვა, ხოლო „კილმარნოკმა“ ორი ქულა დაკარგა და შედეგად მეორე საფეხურზე ნაკლები ქულებით აღმოჩნდა.

„რეინჯერსს“ კვლავ გერმანელმა იორგ ალბერცმა უშველა, რომელმაც დაახლოებით 25 მეტრიდან გაიტანა ლამაზი გოლი. ეს 79-ე წუთზე მოხდა, მანამდე კი მთელი მატჩის განმავლობაში გლაზგოელები გაафთრებით უტევდნენ და სტუმრებს მხოლოდ ერთხელ მისცეს შეტევის საშუალება, მაგრამ შონ მაკსკიმინგმა შარბონიეს ვერ აჯობა. რაც შეეხება ალბერცს, მისთვის „დანდის“ კარში შეგდებული ბურთი სეზონში მეცხრე აღმოჩნდა, ხოლო ჩემპიონატში მეოთხე. გერმანელს ამ შეხვედრაში თავისი მონაგარის გაზრდა შეეძლო, რომელსაც მსაჯის მიერ დამატებულ დროში სტუმართა მეკარე რობერტ დუგლასმა საკუთარ საჯარიმოში ჩარლი მილერი წესის დარღვევით შეაჩერა და პენალტი დაინიშნა, მაგრამ ალბერცის დარტყმული დუგლასმა მოიგერია და თავისი შეცდომა გამოასწორა. მიუხედავად ამისა, „რეინჯერსმა“ სამი ქულა მოიპოვა, ხოლო „დანდიმ“ ვერცერთი, რის გამოც ცხრილის ბოლოში მოექცა.

ლიდერს ორი ქულით ჩამორჩა ალი მაკოისტის „კილმარნოკი“, რომელმაც უსუსურ „დანფერმლაინს“ უმასპინძლა და გოლი ვერა და ვერ გაუტანა. მართალია, თავადაც არ გაუშვია, მაგრამ ეს კილმარნოკელებისთვის ვერაფერი ნუგეშია — მათ მშვენიერი შანსი გაუშვეს ხელიდან.




რეინჯერსი — დანდი. სმიტმა (მარცხნივ) ვან ბრონკჰორსტს დაასწრო, მაგრამ თავისიანებს ვერ უშველა

როგორც იქნა, გაიმარჯვა ქვეყნის ჩემპიონმა „სელტიკმა“. გლაზგოელები „მოზერველს“ ესტუმრნენ და 2:0-საც უგებდნენ, მაგრამ მატჩის მიწურულს ზედმეტად მოდუნდნენ და მათდა საბედნიეროდ, მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს. არადა, „მოზერველს“ მეორეს გატანაც თავისუფლად შეეძლო. შედეგად ვენგლოშმა და მისმა შეგირდებმა ცოტათი ამოისუნთქეს, მესამე ადგილზეც აინაცვლეს და განაწყენებული ქომაგებიც ნაწილობრივ მოიმადლიერეს.

მოულოდნელად მოიგო აქამდე ბოლო ადგილზე მყოფმა „დანდი იუნაიტედმა“. „აბერდინის“ დამარცხებისთვის მასპინძლებს გარი მაკსვიგანის ერთადერთი გოლიც ეყოთ. თანაც როგორ — „დანდი იუნაიტედს“ ახლა 10 ქულა აქვს და ცხრილის შუაგულში, მეექვსე საფეხურზე იმყოფება, რაც ამ ეტაპზე საკმაოდ კარგ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

„ჰართსისა“ და „სენტ ჯონსტონის“ ულიმღამო პაექრობა მხოლოდ იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ მასპინძელ გუნდში შედგა საფრანგეთის ნაკრების ყოფილი წევრის ვინსენ გერენის დებიუტი, რომელმაც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და სპეციალისტთა მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. თუმცა ამან შოტლანდიის თასის მფლობელებს ვერ უშველა და მათ მორიგი ორი ქულა დაკარგეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 9 | 5 | 3 | 1 | 14:5 | 18 |
| კილმარნოკი | 9 | 4 | 4 | 1 | 10:5 | 16 |
| სელტიკი | 9 | 3 | 4 | 2 | 14:9 | 13 |
| ჰართსი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:9 | 13 |
| სტ. ჯონსტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 7:10 | 12 |
| დანდი იუნაიტედი | 9 | 2 | 4 | 3 | 8:9 | 10 |
| აბერდინი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:10 | 9 |
| მოზერველი | 9 | 2 | 3 | 4 | 5:9 | 9 |
| დანფერმლაინი | 9 | 1 | 6 | 2 | 6:11 | 9 |
| დანდი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:12 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბარლი (სელტიკი) | 5 |
| უოლესი (რეინჯერსი) | 5 |
| მაკოისტი (კილმარნოკი) | 4 |
| ალბერცი (რეინჯერსი) | 4 |

## პორტუგალია

VI ტური

**ამადორა 1:0 კამპომაიორენსე**

1:0 ლუისი (10)

**ფარენსე 2:1 შავეში**

1:0 გოუვეია (2), 2:0 კარლოს კოსტა (20), 2:1 სება (50)

**მარიტიმუ 0:1 სეტუბალი**

0:1 ფრეშაუ (88)

**გიმარაეში 0:2 ბენფიკა**

0:1 სოუზა (3ს.კ.), 0:2 კანდაუროვი (72)

**ალვერკა 1:5 პორტუ**

0:1 ზაჰოვიჩი (8), 0:2 ჟარდელი (19), 0:3 კაპუჩო (41), 0:4 ჟოაუ პინტუ (49), 1:4 რამერესი (65), 1:5 ჟარდელი (63)

**რიუ ავე 0:1 სპორტინგი**

0:1 საბროსა (19)

**ბეირა მარი 0:2 აკადემიკა**

0:1 სანტოში (25), 0:2 ჟილა (72ს.კ.)

**ბოავიშტა — ბრაგა**

*გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 6 | 5 | 0 | 1 | 15:3 | 15 |
| ბენფიკა | 6 | 5 | 0 | 1 | 12:2 | 15 |
| სპორტინგი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 14 |
| უნიაუ | 6 | 4 | 1 | 1 | 6:1 | 13 |
| შავეში | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| სალგეიროში | 6 | 2 | 3 | 1 | 10:8 | 9 |
| ბოავიშტა | 5 | 2 | 3 | 0 | 4:1 | 9 |
| ამადორა | 6 | 3 | 0 | 3 | 9:10 | 9 |
| ბრაგა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:7 | 8 |
| ფარენსე | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| სეტუბალი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:10 | 6 |
| კამპომაიორენსე | 6 | 1 | 2 | 3 | 8:11 | 5 |
| აკადემიკა | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | 5 |
| რიუ ავე | 6 | 1 | 2 | 3 | 4:10 | 5 |
| გიმარაეში | 6 | 1 | 1 | 4 | 7:10 | 4 |
| ალვერკა | 6 | 0 | 4 | 2 | 4:9 | 4 |
| ბეირა მარი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 4 |
| მარიტიმუ | 6 | 0 | 2 | 4 | 4:9 | 2 |

## ფეხბურთის რუქაზე



**არგენტინის** ჩემპიონატი. მე-9 ტური: ბოკა ხუნიორსი — პლატენსე 3:0; ფერო კარილ ოესტი — ველესი 2:1; ინდეპენდიენტე — სან ლორენცო 3:1; ურაკანი — ნეველს ოლდ ბოისი 3:2; ბელგრანო — არგენტინოს ხუნიორსი 2:2; ხიმნასია (ხუხუი) — კოლონი 3:3; ხიმნასია (ლა პლატა) — რასინგი 0:2; როსარიო სენტრალი — ტალერესი 1:1; უნიონი — რივერ პლეიტი 1:1. 21 ქულით ლიდერობს ბოკა ხუნიორსი, მას 5 ქულით ჩამორჩებიან უნიონი და კოლონი.

**ბულგარეთის ჩემპიონატი.** მე-8 ტური: სეპტემვრი — ნეფტოხიმიკი 0:1; სლავია — ლიტექსი 1:1; მეტალურგი — ცსკა 1:0; პირინი — ლოკომოტივი (სოფია) 0:2; ლევსკი (კუისტენდილი) — ბოტევი 2:1; ლოკომოტივი (პლოვდივი) — მინიორი 0:1; დობრუჯა — სპარტაკი 3:1; ლევსკი (სოფია) — შუმენი 2:2. 20 ქულით ლიდერობს დედაქალაქის ლევსკი, მას 3 ქულით ჩამორჩება ლიტექსი.

**რუმინეთის** ჩემპიონატი. მე-9 ტური: რაპიდი — ოცელული 3:0; არჯეში — დინამო 2:1; სტიაუა — პეტროლული 2:2; უნივერსიტატეა (კლუჟი) — ფორესტა 2:2; ონესტი — გლორია 1:1; უნივერსიტატეა (კრაიოვა) — ნაციონალი 0:2; რესიტა — ჩაჰლაული 2:2; ბაკაუ — ფარული 1:0; ასტრა — ოლიმპია 3:1. 25 ქულით გათამაშებას ლიდერობს დედაქალაქის რაპიდი, მას 3 ქულით ჩამორჩება დინამო.

**ირლანდიის ჩემპიონატი.** მე-6 ტური: ბრაი უონდერერსი — დანდალკი 0:0; სლიგო როვერსი — ფინ ჰარპსი 1:1; კორკ სიტი — უოტერფორდი 5:0; დერი სიტი — შელბურნი 0:1. 18 ქულით ლიდერობს კორკ სიტი.

**ხორვატიის** ჩემპიონატი. მე-8 ტური: დრაგოვილიაცი — სლავენი 0:0; მლადოსტ 127 — ციბალია 0:0; ზადარკომერცი — რიეკა 0:1; შიბენიკი — ზაგრები 2:2; ოსიეკი — ჰაიდუკი 0:1; კროაცია — ვარტექსი 2:0. 22 ქულით ლიდერობს კროაცია, მას 5 ქულით ჩამორჩება ჰაიდუკი.

**იუგოსლავიის ჩემპიონატი.** მე-9 ტური: პარტიზანი — ვოივოდინა 2:0; რადი — ბუდუჩნოსტი 2:1; პროლეტერი — ზემუნი 2:1; ჰაიდუკი (კულა) — სარტიდი 3:3; მილიციონარი — ცრვენა ზვეზდა 1:7; ობილიჩი — რადნიჩკი (კრაგუიევაცი) 4:0; ოფკ — მოგრენი 1:2; რადნიჩკი (ნიში) — სპარტაკი 0:2; პრისტინა — ზელეზნიკი 3:1. 27 ქულით ლიდერობს პარტიზანი, მას 4 ქულით ჩამორჩება ობილიჩი.

**პოლონეთის** ჩემპიონატი. მე-10 ტური: ვისლა — ვიძევი 3:1; პოგონი — ამიცა 3:2; პოლონია — ლეხი 1:2; ზაგლებიე — სტომილი 3:1; ოდრა — რაძიონკოვი 3:1; ლკს — ლეგია 1:1; რუხი — ბელხატოვი 1:1; გურნიკი — გკს 2:1. 28 ქულით ლიდერობს ვილსლა, მას 4 ქულით ჩამორჩება ლეხი.

**ჩეხეთის ჩემპიონატი.** მე-8 ტური: ვიკტორია (ზიზკოვი) — ბანიკი 1:1; იაბლონეცი — დუკლა 3:0; სპარტა — შმელი 3:0; ჰრადეც კრალოვე — ტეპლიცე 0:3; ვიკტორია (პლზენი) — სლავია 1:1; კარვინა — სლოვანი 2:0; დრნოვიცე — ოპავა 3:2. 17 ქულით ლიდერობენ ტეპლიცე და პეტრა.

**სლოვაკეთის** ჩემპიონატი. მე-9 ტური: ტრენცინი — ნიტრა 3:0; ბარდეიოვო — ინტერი 0:3; დუკლა ბანსკა ბისტრიცა — ჰუმენე 1:0; ბანიკი — სობოტა 2:0; ტატრანი — კერამეტალი 5:1; კოშიცე — არტმედია 3:1; სლოვანი — ზილინა 3:0; სპარტაკი — რუზომბეროკი 5:0. 23 ქულით ლიდერობს სლოვანი.

**უნგრეთის ჩემპიონატი.** მე-10 ტური: გაზერი — ჰალადაში 4:2; ზალაეგერსეგი — ფერენცვაროში 1:1; ვაცი — დიოშდიორი 1:3; დიორ ეტო — ვიდეოტონი 3:0; დებრეცენი — დუნაფერი 1:2; შიოფოკი — კიშპეშტი 1:1; უიპეშტი — ნიერშეგი 1:0; მტკ — კერულეტი 5:0. 25 ქულით ლიდერობს დედაქალაქის მტკ, მას 4 ქულით ჩამორჩება დიორ ეტო.

## რუსეთი

**ცსკა 1:0 როსტსელმაში**

1:0 კულიკი (40)

**ტიუმენი 2:4 როტორი**

1:0 ლუჩკინი (14), 1:1 ზერნოვი (15), 2:1 ლუჩკინი (40 პ), 2:2, 2:3 ვერეტენნიკოვი (45, 55პ), 2:4 იესიპოვი (47)

**ურალანი 0:3 ზენიტი**

0:1 პანოვი (11), 0:2 ეგონინი (37), 0:3 გორშკოვი (74)

**ჟემჩუჟინა 1:2 დინამო**

1:0 კოვალენკო (39), 1:1 ისიბორი (60), 1:2 გოლოვსკოი (82)

**კრ. სოვეტოვი 3:0 ჩერნომორეცი**

1:0 წიკლაური (45), 2:0, 3:0 საფრონოვი (67, 84 პ)

**ბალტიკა 3:1 შინიკი**

1:0, 2:0 ნიზოვცევი (3პ, 9), 3:0 ფედკოვი (37), 3:1 პოტეხინი (80)

**სპარტაკი 1:0 ტორპედო**

1:0 პისარევი (32)

**ალანია 1:2 ლოკომოტივი**

1:0 ჩაიკა (32), 1:1 ჩუგაინოვი (74პ), 1:2 ბოროდიუკი (80)

მოსკოვის „სპარტაკი“, რუსული ფეხბურთის ფლაგმანი თანაქალაქელ „ტორპედოსთან“ გამარჯვებით ჩემპიონის ტიტულს კიდევ უფრო მიუახლოვდა. მართალია, უახლოესმა მდევარმა, ცსკა-მაც იმარჯვა, მაგრამ პირველობის დასასრულამდე სულ ცოტა დროა დარჩენილი, „სპარტაკი“ კი არ ჩანს ის გუნდი, რომელიც ტიტულის ზედიზედ მესამედ მოგების შანსს ხელიდან გაუშვებს.

ვეტერანი ნიკოლაი პისარევის თავურმა რომანცევის გუნდის გამარჯვება განაპირობა — გოლი ილია ციმბალარის კუთხურს მოჰყვა. მასპინძლებს დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ იმავე პისარევმა ორ მომენტში ვერ იმარჯვა, ტიხონოვს და ციმბალარს კი ბოლოს ბედმა უმუხთლათ.

— პირველობის ნაადრევად მოგება ჩვენთვის ძალიან კარგია. ტიტულის განაღდების შემდეგ მთელ ყურადღებას ლიგას მივაპყრობთ — განაცხადა ოლეგ რომანცევმა, ბოლო წლების ყველაზე ტიტულოვანმა რუსმა მწვრთნელმა.

„სპარტაკმა“ „ტორპედო“ კვირას დაამარცხა, არმიელებმა კი შაბათს იმარჯვეს. ვლადიმირ კულიკმა ამ სეზონში მეთორმეტედ გაიხარა, მისმა კლუბმა კი ორ თვეზე მეტია, დამარცხება რა არის, არ იცის. ცსკა მყარად დამკვიდრდა მეორე ადგილზე და პირველობას ალბათ ვერცხლის პრიზიორად დაასრულებს.

კიდევ ერთმა მოსკოვურმა გუნდმა „ლოკომოტივმა“ ვლადიკავკაზში „ალანიას“ სძლია. მესამე ადგილი რკინიგზელთათვის ზედგამოჭრილი იქნება.

ტიუმენში, როგორც მოსალოდნელი იყო, „როტორმა“ მოიგო, ჩემპიონატის ბომბარდირმა ოლეგ ვერეტენნიკოვმა კი ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა. მას ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ პირველ ტაიმში პენალტი გააფუჭა.

**ირაკლი ილაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 27 | 15 | 8 | 4 | 52:22 | 53 |
| ცსკა | 27 | 14 | 5 | 8 | 44:21 | 47 |
| ლოკომოტივი | 27 | 13 | 7 | 7 | 37:26 | 46 |
| როტორი | 27 | 11 | 12 | 4 | 50:33 | 45 |
| ზენიტი | 27 | 11 | 10 | 6 | 38:22 | 43 |
| ურალანი | 27 | 11 | 6 | 10 | 32:35 | 39 |
| როსტსელმაში | 27 | 9 | 11 | 7 | 38:35 | 38 |
| ალანია | 27 | 10 | 7 | 10 | 42:34 | 37 |
| ჟემჩუჟინა | 27 | 9 | 8 | 10 | 29:37 | 35 |
| კრილია | 27 | 9 | 7 | 11 | 23:31 | 34 |
| ტორპედო | 27 | 8 | 10 | 9 | 35:30 | 34 |
| შინიკი | 27 | 8 | 8 | 11 | 25:33 | 32 |
| დინამო | 27 | 6 | 14 | 7 | 25:28 | 32 |
| ჩერნომორეცი | 27 | 6 | 11 | 10 | 30:36 | 29 |
| ბალტიკა | 27 | 6 | 11 | 10 | 28:37 | 29 |
| ტიუმენი | 27 | 2 | 1 | 24 | 15:83 | 7 |

## ბელგია

IX ტური

**გენკი 1:0 ბევერენი**

1:0 ჰორვატი (72)

**აალსტი 0:0 ანდერლეხტი**

**ჰარელბეკი 1:1 ლომელი**

0:1 ვან დიესტი (35), 1:1 ვერჰოენი (85)

**კორტრაიკი 2:2 შარლერუა**

0:1 გუიე (13), 0:2 პეირემანსი(21), 1:2 მეერტი (43), 2:2 ბონე (63)

ოსტენდი 1:4 ბრიუგე

1:0 ვინდელსი (15), 1:1 ლემბი (43), 1:2 იბარი (57), 1:3 ანიჩი (88), 1:4 ვერმანტი (90)

**ლოკერენი 2:1 სენტ ტრიუდენი**

0:1 ვიეტსი (44), 1:1, 2:1 ვონასეკი (66, 69)

**სტანდარდი 2:0 ვესტერლო**

სტანდარდი: რუმიე, რემაკლე, აფოლაბი, მედვედი, ბლეი, ალიაი (გოდფროიდი 87), ჰაელდერმანსი, ბილიჩი, დე კონდე (კოლარდი 89), მორნარი, ჰოლია (ფასოტე 77)

1:0 ჰაელდერმანსი (39 პ), 2:0 დე კონდე (68)

**ლიერსი 1:0 ეკერენი**

ლიერსი: მენცო, ბროკენი, ჰოეფკენსი, დე კაისერი (შეყილაძე 72), დაემსი, სერნეტსი, ჰააგდორენი (ვან დე ვეიერი 82), ლეენი, სომერსი, კავენსი (ჰუისმანსი 72), ჰუისტრა

1:0 სომერსი (40)

**გენტი 3:0 მუსკრონი**

1:0 მარტენსი (25), 2:0 დეგრიზი (50), 3:0 ნილსენი (71)

ბელგიაში ადგილთა გადანაცვლება მოხდა: „ლოკერენმა“ „სენტ ტრიუდენს“ 2:1 მოუგო, „ვესტერლომ“ კი ლიეჟში, „სტანდარდთან“ 0:2 წააგო და შედეგად „ლოკერენმა“ და „ვესტერლომ“ ცხრილის წვერში ადგილები გაცვალეს.

„ვესტერლო“ არათუ პირველი ადგილიდან ჩაცურდა, არამედ კიდევ ერთი საფეხურით დაბლა ჩავარდა, რადგან ჩემპიონმა, „ბრიუგემ“ სუსტ „ოსტენდს“ 4:1 მოუგო და 19 ქულა დააგროვა.

დავუბრუნდეთ ლიდერად ქცეულ „ლოკერენს“, რომელმაც „სენტ ტრიუდენთან“ შავი დღე გადაიტანა, პეტერ ვოეტსის გოლით აგებდა, მაგრამ ჩეხი მოთამაშის რომან ვონასეკიმს ორი გოლის წყალობით მაინც მოიპოვა სამი ქულა.

„ბრიუგეზე“ ვთქვით იოლად მოიგო, მაგრამ თავიდან ისიც ჩამორჩა მოწინააღმდეგეს, თუმცა მერე კლასი აჩვენა და თავზედ „ოსტენდს“ სულ კუდით ქვა ასროლინა.

„ვესტერლომ“ პირველ ტაიმში პენალტი გაუშვა. იმ მომენტში დირკ ტოელენმა ივიცა მოლნარი წააქცია და ამ დარღვევისთვის წითელი ბარათით დაისაჯა. თერთმეტი მეტრიდან ჰაელდერმანსმა შეაგდო და მერეც ყოფილ ლიდერთა დიდი დაჟინებისა და შეტევების მიუხედავად ისევ „სტანდარდმა“ გაიტანა — დიმიტრი დე კონდემ დაარტყა ზუსტად.

თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მასპინძლებს იოსკო ბილიჩი გაუგდეს.

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკერენი | 9 | 6 | 2 | 1 | 21:8 | 20 |
| გენკი | 9 | 6 | 2 | 1 | 14:7 | 20 |
| ბრიუგე | 9 | 6 | 1 | 2 | 16:9 | 19 |
| ვესტერლო | 9 | 6 | 0 | 3 | 25:15 | 18 |
| სტანდარდი | 9 | 5 | 0 | 4 | 17:9 | 15 |
| გენტი | 9 | 4 | 3 | 2 | 16:11 | 15 |
| სტ. ტრიუდენი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:10 | 14 |
| ლიერსი | 8 | 4 | 1 | 3 | 17:10 | 13 |
| მუსკრონი | 9 | 3 | 4 | 2 | 12:13 | 13 |
| შარლერუა | 8 | 2 | 5 | 1 | 9:9 | 11 |
| აალსტი | 9 | 3 | 2 | 4 | 15:16 | 11 |
| ბევერენი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:14 | 10 |
| ეკერენი | 9 | 3 | 1 | 5 | 9:16 | 10 |
| ლომელი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:14 | 8 |
| ანდერლეხტი | 9 | 1 | 5 | 3 | 11:16 | 8 |
| ჰარელბეკი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:14 | 6 |
| ოსტენდი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:25 | 6 |
| კორტრაიკი | 9 | 1 | 1 | 7 | 13:27 | 4 |


საბერძნეთი — საქართველო
14 ოქტომბერი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში
750 დოლარად გთავაზობთ 4-დღიან მოგზაურობას
საბერძნეთში ფეხბურთზე დასასწრებად.
თქვენი მხარდაჭერა ჩვენების გამარჯვების საწინდარია
ფირმა „ჰებე“
თავისუფლების მოედანი 7. ტელ: 92-15-59, 99-79-35.

## საფრანგეთი

VIII ტური

**ბასტია 2:0 ბორდო**

1:0 ალვესი (9), 2:0 ანდრე (61)

**მარსელი 2:0 ტულუზი**

1:0 მორისი (44), 2:0 რავანელი (87)

**ნანტი 2:0 ლიონი**

1:0 და როშა (57), 2:0 მონტერუბიო (90)

**რენი 2:1 მონაკო**

1:0 გუსიე (63), 2:0 ნონდა (65), 2:1 ანრი (85)

**ოსერი 3:1 სტრასბური**

1:0 კარნო (53), 1:1 რუქსელი (13), 2:1 დანჟუ (66), 3:1 ტენიო (86)

**მონპელიე 5:1 ლორიანი**

1:0 გრაველენი (15), 2:0 ტიმოთე (25), 2:1 ბედროსიანი (28), 3:1 დელეი (43), 4:1 ტიმოთე (50), 5:1 ბარბოზა (88)

**ლე ავრი 3:0 სოშო**

1:0 პანტიჩი (17), 2:0 ბეკანოვიჩი (28), 3:0 პრატი (71)

**მეცი 2:3 ნანსი**

0:1 კონი (16), 1:1 ბოფენი (45), 1:2 კასკარინო (60), 1:3 კონი (63), 2:3 მეირო (90ვ)

**პსჟ 0:1 ლანსი**

0:1 ელუა (84)

# არანაირი ზავი

ამ უქმეებზე საფრანგეთში გამართული მერვე ტურის შეხვედრებში არც ერთი ფრე არ დაფიქსირებულა. შაბათს თუ მასპინძლებმა დაიბრიყვეს სტუმრები და ყველა მატჩიც მათი გამარჯვებით დამთავრდა, კვირის ორ თამაშში სტუმრებმა მიითვალეს ექვსი ქულა. ეს ტური იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ამ სეზონში ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა. 28-ჯერ მოახერხეს გუნდებმა მეტოქის კარში ბურთის შეგდება, ყველაზე უკეთ კი „მონპელიე“ გაისარჯა და ხუთჯერ დაამწუხრა „ლორიანის“ გულშემატკივრები. ახლა კი თანმიმდევრობით მივყვეთ ძირითად თამაშებს.

გათამაშების ლიდერი „ბორდო“ კორსიკელებს სტუმრობდა და ძალიანაც სურდა წაუგებელი სერიის გაგრძელება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მსაჯის საფინალო სასტვენის მერე ჟირონდელებმა თავდახრილებმა დატოვეს მოედანი. „ბოლოს და ბოლოს ოდესღაც ხომ უნდა წაგვეგო“ — თქვა მატჩის შემდეგ „ბორდოს“ ერთ-ერთმა თანაპრეზიდენტმა ჟან-ლუი ტრიომ. გუნდის კაპიტანი მიშელ პავონიც საკმაოდ უხასიათოდ ჩანდა — „თამაშის სადავეები ჩვენს ხელთ იყო, სახიფათო მომენტებს კი „ბასტია“ ქმნიდა. მერჩივნა მარსელში დავმარცხებულიყავით და არა აქ, რადგან „ოლიმპიკმა“ ნაღდად გვაჯობა, კორსიკელებმა კი — ვერა.“ მართლაც, მეტად უნიათოდ მოთამაშე „ბორდომ“ ერთი მომენტიც ვერ შექმნა მეტოქის კართან. ამის მთავარი მიზეზი კი ალბათ მათი ლიდერების — მიკუს და ბენარბიას არყოფნა იყო. შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო მეპასის და ექსმონაკოელის გარეშე ლიდერების თამაშში არანაირი ალმაფრენა არ იგრძნობოდა. „მიკუ და ბენარბია კი გვაკლდა, მაგრამ ეს გასასამართლებელ საბუთად არ გამოგვადგება. მინდორზე თერთმეტი ვიყავით და ეს საკმარისია სათამაშოდ, თუმცა ჟინი და თავგამოდება ყველას არ ეტყობოდა“ — არ დაინდო თავისი ფეხბურთელები მწვრთნელმა ელი ბოპმა. ჟირონდელთა თავკაცის განრისხებას საკმაო საფუძველი აქვს, რადგან მისი შეგირდების ინდივიდუალურმა შეცდომებმა ლიდერს სამი ქულა დააკარგვინა. ჯერ მე-9 წუთზე ცენტრალური დაცვის ზანტი მოქმედებით ალვესმა ისარგებლა, ხოლო 61-ე წუთზე ანდრეს მიერ საჯარიმოდან გატანილ გოლში კედელში მდგარ ფეხბურთელებსაც მიუძღვით პატარა წვლილი. მოკლედ, ეს მატჩი ამ სეზონში „ბორდოსთვის“ ყველაზე უარესი იყო. 17 ოქტომბერს ჟირონდელები „ნანტს“ მასპინძლობენ და მაშინ გაირკვევა ამ შაბათის ჩავარდნა მოკლევადიანი იყო, თუ არა.

„ბორდოს“ წაფორხილებით უმალ ისარგებლა „მარსელმა“, რომელმაც შინ „ტულუზს“ მოუგო და ლიდერთან სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა. ეს „ოლიმპიკის“ ზედიზედ მესამე გამარჯვებაა. „ველოდრომზე“ შეკრებილი 48 000 გულშემატკივრის გასახარად, მათმა გუნდმა ძალების განსაკუთრებით დაძაბვის გარეშე შეძლო მეტოქესთან გასწორება. ჯერ ფლორიან მორისმა, შემდეგ კი ფაბრიციო რავანელიმ ორი უპასუხო გოლი გაუტანეს მოწინააღმდეგეს. იტალიელი თავდამსხმელი ფიქრობს, რომ მარსელში ჩასვლის მერე ახლალა დაუდგა კარგი დროება. „ფორვარდისთვის მთავარია, როცა ენდობიან. ამ პოზიციაზე ტვინით თამაშია საჭირო. დღეისთვის ყველა ფაქტორი ხელს მიწყობს ჩემი შესაძლებლობების სრულ გამოვლენაში და მეც ბოლომდე ვიხარჯები.“ შაბათ საღამოს კურბისმა თავდასხმაში იტალიელთან ერთად დიუგარი და მორისი გაამწესა. სამივემ კარგად ითამაშა, მაგრამ „შევერცხლილი მელა“ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. რავანელი სულ ბურთის თხოვნაში იყო და მიღებულ პასებსაც ნაყოფიერად იყენებდა. პირველი გოლი დიუგარის პასით შეაგდო მორისმა, თამაშის დამთავრებამდე ხუთიოდე წუთით ადრე კი იტალიელსაც დაუფასდა გარჯა და კამარა-მორისი-რუა-ბლონდოს კომბინაცია მისი უძლიერესი და უზუსტესი დარტყმით დაგვირგვინდა. როლან კურბისი ძალიან კმაყოფილი იყო თავისი გუნდის თამაშით: „რავანელი, მორისი და დიუგარი დღითიდღე უკეთ უგებენ ერთმანეთს, ხოლო მათ უკან გამთამაშებლად მოქმედი რობერ პირესი ჩვენს თამაშს სილამაზეს და ეფექტურობას მატებს. დაცვაც ნელ-ნელა დალაგდა.“ რავანელის კი სწამს, რომ წელს მისი გუნდი რაიმეს — ან საფრანგეთის თასს, ან ქვეყნის ჩემპიონატს და ანაც უეფას თასს ნაღდად მოიგებს.

მშვენიერი მატჩი. უამრავი მომენტი, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. ულამაზესი და გამართული თამაში. ჰოდა, და როშას და მონტერუბიოს ორი გოლის წყალობით „ნანტმა“ „ლიონის“ წაუგებელ სერიას ბოლო მოუღო. ლიონელთა თავკაცი ბერნარ ლაკომბი კი იხტიბარს მაინც არ იტეხდა: „ჩემს ბიჭებს ვერაფერში დავადანაშაულებ. ყოველი რვა მატჩიდან მხოლოდ ერთხელ რომ დავმარცხდეთ, ოქროს მედლებისგან შორის არ ვიქნებით.“ „ნანტი“ კი ბევრ სხვასაც ჩვენსავით გაამწარებს.“ ოკეანის ნაპირელთა შემადგენლობაში, შეიძლება ითქვას, ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა. ოლივიე მონტერუბიოს გოლებიც გააქვს, ლამაზადაც თამაშობს და „ნანტის“ ხუთმატჩიან წაუგებელ სერიაში მისი უდიდესი წვლილიცაა. სეზონის დასაწყისში დაგეგმილი ევროპის საგზური კი უკვე აუხდენელი ოცნება აღარაა. მონტერუბიოს კი რეინალდ პედროსს ადარებენ. მაგრამ თუ თავიდან მისთვის ეს სასიამოვნო იყო, ახლა უკვე დამღლელი გახდა და ჟურნალისტები კატეგორიულად გააფრთხილა, სახელიც მაქვს და გვარიც და სხვას ნუღარ შემადარებთო.

კვირას, შაბათს მასპინძელთა ყველა მატჩში გამარჯვებით გულმოცემულებს, „მეცს“ და პსჟ-ს სამ-სამი ქულის აღება გადაეწყვიტათ. თუმც უსუსური თამაშით გამარჯვებისთვის აბა, ვის მიუღწევია.

ლოტარინგიულ დერბიში „ნანსიმ“ იმარჯვა და ამაში ლომის წვლილი 18 წლის თავდამსხმელმა კონმა დაიდო. პირველი გოლი მან მე-16 წუთზე შეაგდო უბერებელი ირლანდიელის ტონი კასკარინოს პასით, მეორე 63-ეზე კი ინდივიდუალური „აფეთქების“ შედეგია. „ორმაგად ვარ კმაყოფილი. ჯერ ერთი, „ნანსიმ“ პირველი გამარჯვება იზეიმა სტუმრად წლევანდელ სეზონში, მერე მეორე კი ეს ჩემი პირველი დუბლია უძლიერესთა შორის.“ ამ ორი გოლის წყალობით ახალგაზრდა ფორვარდი საუკეთესო მეგოლეების სიაში მოხვდა ოთხი გატანილი ბურთით და თან მრავალი ფრანგული თუ უცხოური მდიდარი კლუბის ყურადღება მიიპყრო, თუმცა „ნანსის“ პრეზიდენტი ჟაკ რუსელო მის გასხვისებას ჯერ კიდევ კარგა ხანი არ აპირებს. „მეცი“ კი... თუმცა რა „მეცი“, რის „მეცი“. ჟოელ მიულერის გუნდი შარშანდელის აჩრდილიღაა და საშინაო ჩემპიონატში ერთადერთი კლუბია, მოგების სიხარული რომ არ განუცდია ჯერ კიდევ, ევროპასაც ხომ დაემშვიდობა... ბოფენის მიერ ტაიმის მიწურულს წონასწორობის აღდგენამ მეცელ ფანებს იმედი ჩაუსახა, მაგრამ კონი-კასკარინოს დუეტმა მაინც თავისი გაიტანა და მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში მეიროს მიერ რეალიზირებულმა თერთმეტმეტრიანმა ვეღარაფერი შეცვალა.

მთლად „მეცისნაირ“ არა, მაგრამ არანაკლებ გასაჭირშია დედაქალაქის კლუბიც. პსჟ-მ ათ დღეში სამჯერ იბურთავა და სამჯერვე წააგო. „ლანსთან“ ჟირესს გამარჯვების იმედი ჰქონდა, მაგრამ ჩრდილოელებმა თავის ისტორიაში პირველი გამარჯვება მოიპოვეს „პარკ დე პრენსზე“ და პსჟ-ში არსებული დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გაართულეს. ჟირესის დღეები დათვლილიაო, წაიკითხავთ ფრანგულ პრესაში. მაგრამ სტვენის თანხლებით მოედანზე გამოსულ პსჟ-ს ფეხბურთელებს იმ დღეს ნამდვილად ფორტუნამაც უღალატა. უამრავი საგოლე მომენტი გაცუდდა ნაწვიმარ მინდორზე ორივე ტაიმის მანძილზე. ყველაზე ასპროცენტიანი კი, რა თქმა უნდა, პენალტი იყო მატჩის ბოლოს — ნუმამ თავის საჯარიმოში ხელით ითამაშა. სიმოლდნეს ფეხი დაუცდა და... „არ გაიტან, გაგიტანენ“. რამდენიმე წუთში დებევის ჩაწოდებული ვერელიმ დაუგდო ელუას, მასაც ფეხი არ აუკანკალდა და „ლანსმა“ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. პარიზელებმა თუ გუნდში არაფერი შეცვალეს, პსჟ-ს ალბათ ევროპაში თამაში დაენატრება.



პსჟ — ლანსი. ალჟერინომ (№17) და პსჟ-მ სტვენა, დებევმა და „ლანსმა“ კი სამი ქულა დაიმსახურეს

სხვა თამაშებიდან აღსანიშნავია „რენის“ და „მონპელიეს“ გამარჯვებები „მონაკოსთან“ და „ლორიანთან“. „ლე ავრმა“ კი სეზონის პირველი თამაში მოიგო.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 8 | 6 | 1 | 1 | 18:8 | 19 |
| მარსელი | 8 | 5 | 3 | 0 | 15:7 | 18 |
| ნანტი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:8 | 16 |
| ლიონი | 8 | 4 | 3 | 1 | 13:6 | 15 |
| მონაკო | 8 | 4 | 2 | 2 | 13:6 | 14 |
| ოსერი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:7 | 14 |
| რენი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:11 | 14 |
| მონპელიე | 8 | 3 | 2 | 3 | 20:15 | 11 |
| ბასტია | 8 | 3 | 1 | 4 | 9:9 | 10 |
| ნანსი | 8 | 2 | 4 | 2 | 9:9 | 10 |
| ლანსი | 8 | 3 | 1 | 4 | 13:14 | 10 |
| პსჟ | 8 | 3 | 1 | 4 | 6:7 | 10 |
| სტრასბური | 8 | 2 | 3 | 3 | 5:7 | 9 |
| ლორიანი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:13 | 7 |
| ტულუზი | 8 | 1 | 3 | 4 | 6:16 | 6 |
| ლე ავრი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:11 | 5 |
| მეცი | 8 | 0 | 4 | 4 | 3:10 | 4 |
| სოშო | 8 | 1 | 1 | 6 | 5:19 | 4 |

# რვა იანვარს შურისძიებაა

ბრაზილიას შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დამარცხებისთვის საფრანგეთზე შური იძიოს — იანვარში, მექსიკის სიდიდით მეორე ქალაქ გვადალახარაში ისინი კონფედერაციათა თასზე ხვდებიან ერთმანეთს.

დიახ, გუშინ გამართულმა კენჭისყრამ მსოფლიოს ჩემპიონი, ვიცეჩემპიონი, აშშ და ახალი ზელანდია B ჯგუფში ერთად შეჰყარა.

A ჯგუფში მოხვდნენ მექსიკა, საუდის არაბეთი, ბოლივია და ეგვიპტე. ამ ჯგუფის თამაშები მეხიკოს ცნობილ „აცტეკაზე“ გაიმართება.

საგულისხმოა, რომ ევროპის ნამყვან ქვეყნებში კონფედერაციათა თასის გათამაშება დიდ პროტესტს იწვევს, რადგან მისი არსებობა ევროპელებს შინაურ კალენდარს ურევს. ამიტომაც მაუწოდებენ „ბებერი კონტინენტის“ წარმომადგენლები შეჯიბრების ბოიკოტისკენ.

ბოიკოტის ინიციატორია ევროპის პროფესიულ საფეხბურთო ლიგათა ასოციაცია, რომელშიც გაერთიანებულნი არიან საფრანგეთი, ინგლისი, ესპანეთი, იტალია, გერმანია და კიდევ ექვსი ქვეყანა.

თასის კენჭისყამ კი დაადგინა კალენდარი:

**8 იანვარი**
ბრაზილია — საფრანგეთი

**9 იანვარი**
ბოლივია — ეგვიპტე,
მექსიკა — საუდეთი

**10 იანვარი**
ახალი ზელანდია — აშშ

**12 იანვარი**
საუდეთი — ბოლივია,
მექსიკა — ეგვიპტე

**13 იანვარი**
საფრანგეთი — ახალი ზელანდია,
ბრაზილია — აშშ

**14 იანვარი**
საუდეთი — ეგვიპტე,
მექსიკა — ბოლივია

**15 იანვარი**
საფრანგეთი — აშშ,
ბრაზილია — ახალი ზელანდია

**17 იანვარი**
B1 — A2, A1 — B2

**19 იანვარი**
მატჩი მესამე ადგილისთვის

**20 იანვარი**
ფინალი

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

I ჯგუფი. იტალია - შვეიცარია

მალე „სკუადრა აძურა“ დინო ძოფის თავკაცობით მეორე ოფიციალურ მატჩში უდინეში შვიცარიელებს უმასპინძლებს. იტალიელთა თავკაცმა ამ შეხვედრისთვის ქვეყნის ახალგაზრდული გუნდის წევრები, მილანის „ინტერის“ ფეხბურთელი ნიკოლა ვენტოლა და „რომას“ მოთამაშე ფრანჩესკო ტოტი გამოიძახა, რომლებმაც სავარაუდოდ ტრავმირებულები რობერტო ბაჯო და კრისტიან ვიერი უნდა შეცვალონ.

ნაკრებში ასევე გამოიძახეს ფრანჩესკო ტოლდო, რადგან „იუვენტუსის“ მეკარემ ანჯელო პერუციმ ტრავმა ვერ იქნა და ვერ მოიშუშა. გუნდშია „ლაციოს“ ჯუზეპე ფავალი, რომელსაც ნაკრებში ერთადერთხელ, არიგო საკის დროს უთამაშია. გუნდს რაც შეეხება, მისი შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა); მცველები — ფაბიო კანავარო (პარმა), ჯუზეპე ფავალი (ლაციო), პაოლო მალდინი (მილანი), კრისტიან პანუჩი (რეალი), ჯანლუკა პესოტო (იუვენტუსი), მორენო ტორიჩელი (ფიორენტინა); ნახევარმცველები — დემეტრიო ალბერტინი (მილანი), ჯონათან ბაკინი, ჯულიანო ჯანიკედა (უდინეზე), დინო ბაჯო, დიეგო ფუზერი (პარმა), ლუიჯი დი ბიაჯო, ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა); თავდამსხმელები — ენრიკო კიეზა (პარმა), ფრანჩესკო ტოტი (რომა), ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი).


# სარბიელი

## სპორტული ლატარია „CROCO“

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

10 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| იტალია — შვეიცარია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,6 | 2,9 | 4,0 |
| დანია — უელსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლატვია — საქართველო | ანგარიში — 5,0 | | |
| სლოვენია — ნორვეგია | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| თურქეთი — გერმანია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ჩრდ. ირლანდია — ფინეთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ანდორა — უკრაინა | 20,0 | 10,0 | 1,01 |
| 2:0 | 3,2 | 4,0 | 1,5 |
| რუსეთი — საფრანგეთი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სომხეთი — ისლანდია | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პოლონეთი — ლუქსემბურგი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 0:2 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ინგლისი — ბულგარეთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| კვიპროსი — ავსტრია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სან მარინო — ისრაელი | 14,0 | 8,0 | 1,05 |
| 1:0 | 5,0 | 4,0 | 1,3 |
| პორტუგალია — რუმინეთი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ლიხტენშტაინი — სლოვაკეთი | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 1:0 | 4,0 | 4,2 | 1,35 |
| აზერბაიჯანი — უნგრეთი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| მალტა— ხორვატია | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 1:0 | 4,0 | 4,2 | 1,35 |
| ბოსნია — ჩეხეთი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| შოტლანდია — ესტონეთი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 13,5 | 4,2 | 4,0 |
| ლიტვა — ფარერები | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,3 | 5,0 | 4,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# საქართველოს ჩემპიონატი 2 ტური

## ანონსი

6 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15 საათი

### „შევარდენი“ — „ვითა“

მსაჯები: ლ. თოიძე, დ. ანდრიაძე

დღეიდან ეროვნულ პირველობაში საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი თბილისის „ვითაც“ ჩაებმება. ეს-ესაა ვითელები თურქეთიდან დაბრუნდნენ, სადაც წინასაჩემპიონატო მოსამზადებელი წვრთნა გაზვლეს და იმედია, ქვეყნის საუკეთესო გუნდი ორმაგად ფრთაშესხმული წარდგება მაყურებელთა წინაშე. მეტოქედ კი არცთუ ძლიერი „შევარდენი“ ეყოლება, „შევარდენი“, რომელმაც პირველი ტურის მატჩში „დინამოსთან“ თავი ვერაფრით გამოიჩინა და ალბათ არც ამჯერად უნდა ჰქონდეთ წარმატების იმედი. ალბათო, ვამბობთ, თორემ ბურთი რომ მრგვალია და წინასწარ ვერაფერს განსაზღვრავ, ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ. რა იცი, იქნებ „შევარდენმა“ სენსაციაც მოახდინოს? გეხსომებათ, შარშან თსუ რომ გაამწარა, მაშინ სტუდენტები ზედმეტმა თავდაჯერებულობამ იმსხვერპლა, თუმცა „შევარდენმაც“ კარგად ითამაშა და დაგვანახა, რომ მათაც შეუძლიათ რიგიანად ბურთაობა.

და მაინც ამ მატჩში სასწაულის ნაკლებად გვჯერა და აი, რატომ:

ჯერ ერთი, ქვეყნის ჩემპიონმა შარშანდელი შემადგენლობიდან ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა და მეტი თუ არა, ნაკლები წლეულს ნამდვილად არ იქნება. მართალია, რამდენიმე მოთამაშე სხვა გუნდში გადავიდა, მაგრამ შევსებაც ერთობ თვალშისაცემია — დუდუ დადიანი, ახალკაცი და მუშკუდიანი მართლაც რომ დიდი ძალა იქნება მუდამ პირველობისთვის მებრძოლი გუნდისთვის. ახლა ძველ გვარდიასაც თუ გავიხსენებთ — აბრამიძე, დავითულიანი, კორძაძე, ორმოცაძე, ტურაშვილი, ჩუბინიძე, კოკოლიშვილი, ადვილად მივხვდებით, რომ დღევანდელი „შევარდენი“ ამ გუნდს ძნელად თუ გაუწევს კონკურენციას. მერე მზადებაც სრულფასოვანი გაიარეს, მთელი ზაფხული ივარჯიშეს და ერთი შეხედვით შესუსტებულ მოწინააღმდეგესთან რატომ უნდა წაიფორხილონ? მით უფრო, რომ წინა პირველობებთან შედარებით შევარდნები ნამდვილად ვერ მოძლიერებულან — განსაკუთრებით ცენტრი უჭირთ და ნაკლებად სავარუდოა, რომ ჭარმაგმა ღვინეფაძემ და გამოუცდელმა ნუცუბიძემ კორძაძე-ახალკაცის დუეტის ზეწოლას გაუძლონ. ეგეც რომ არ იყოს, „ვითას“ შემსრულებლებიც უფრო მაღალი კლასისა ჰყავს და კაზანჯიანსა და მაჭავარიანს დაცვაში კარგ თამაშთან ერთად თავიანთი მთავარი იარაღის, სამქულიანების ამოქმედებაც მართებთ.

6 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 17 საათი

### სტუ — კოლხა

მსაჯები: გ. მოლოდინაშვილი, დ. ბერეკაშვილი

„კოლხა“ — სტუ-ს შეხვედრაში ფავორიტად უდავოდ ეს უკანასკნელი ითვლება. სტუდენტების თავკაცობამ ძლიერ შემადგენლობასაც მოუყარა თავი და ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი პერიოდიც ნაყოფიერად გამოიყენა. ეს რომ ასეა, სტუ-მ უკვე საქმეში დაგვანახა — პირველივე მატჩში შარშანდელი პრიზიორი სდასუ დაამარცხა.

სტუდენტთა ყველა რგოლი თითქმის თანაბრადაა დაკომპლექტებული, თუმცა ისეთი მოთამაშეები, რომელთაც ლიდერობაც ხელეწიფებათ, გუნდში მრავლად არიან. ბევრისმნახველ და კალათბურთში ჭიპმოჭრილ ჩერქეზიშვილს, ცხვედიანსა და ოთიურიძეს მხარში ყოფილი ახალგაზრდა ვითელებიც უდგანან. მთლიანობაში კი ეს კომპანია ყველა გუნდისთვის უხერხული მეტოქეა. ისეთი პირი უჩანს, ლიდერთა ამქარში გარეული სტუ წლეულს ჩემპიონობაზეც განაცხადებს პრეტენზიას.

აბა, მადაგახსნილ სტუდენტებთან მოკრძალებული „კოლხა“ სად მივა?! თუმცა გარკვეული ამბიციები ამ კლუბსაც გააჩნია. სოხუმელთა შემადგენლობა მეტად ახალგაზრდულია, რაც მათ გამოუცდელობაზე მეტყველებს. ამავდროულად, „კოლხა“ მეტოქეს სათამაშო დონითაც ჩამორჩება, მაგრამ გუნდი ამ ნაკლოვანებებს კარგი ფიზიკური მომზადებითა და ბრძოლის ჟინით ინაზღაურებს. მართალია „კოლხას“ ამ მატჩში გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს, მაგრამ სტუ-ს იოლი გასეირნება არ ელის. სოხუმური კლუბი ყურადღების მოდუნებას არავის პატიობს და სტუდენტებს სიფხიზლე მართებთ.

ზემოთ ვახსენეთ, რომ „კოლხას“ შემადგენლობა მეტად ახალგაზრდულია და სათამაშო პრაქტიკაც აკლია, მაგრამ გუნდში არიან ისეთი კალათბურთელები, რომელთა გააზრებულ და ეფექტურ თამაშს მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავს.

ამ მხრივ გამორჩეულია ცენტრი დავით უგრეხელიძე. წინა მატჩში ამ 17 წლის ბიჭმა ტოლი არ დაუდო აზოტელ ჯაფარიძეს, რუსთაველთა ლიდერს, ჯარიმებიც აჰკიდა მას და ქულებიც მრავლად მიითვალა. უგრეხელიძე დღევანდელ მატჩში არანაკლებ გამოცდილ ოთიურიძეს დაუპირისპირდება და თუ სასარგებლოდ გაისარჯა, „კოლხა“ დიდად იხეირებს.

7 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15 საათი

### თსუ — სდასუ

ამას წინათ, სდასუ — სტუ-ს შეხვედრაზე სდასუელთა მწვრთნელ ნუგზარ კანდელაკს მატჩის შემდგომ კომენტარი რომ ვთხოვეთ, აზრის გაზიარების შემდეგ ერთი შეხედვით წვრილმან, მაგრამ მათთვის უმნიშვნელოვანესზეც შემოგჩივლა: ჩვენს ბედად პირველი ხუთი თამაში სულ ლიდერებთან გვიწევს, უბრძოლველად არავინ არაფერს დათმობს და ძალების მაქსიმალური მობილიზება გვმართებს. ჩემპიონატისთვის მთლად კარგად ვერ მოვემზადეთ და ცოტა არ იყოს, ამაზე მეფიქრებაო.

აბა, შეხედეთ, მართლაც რა გუნდებთან მოუწევთ სდასუელებს უახლოესი ტურის შეხვედრები: ხვალ ხომ თსუა, მერე „ვითა“ მოდის, „აზოტი“ და ბოლოს „დინამო“, შეიძლება სხვა შემთხვევაში ზოგიერთ გუნდს რაღაც გარკვეული მოსაზრებით გახარებოდა კიდეც, მაგრამ არამც და არამც სდასუ-ს, ისინი ხომ სულ ახლახანს შეიკრიბნენ, ერთი ამხანაგურიც კი ვერ ითამაშეს და რა გასაკვირია, რომ ბურთთან მიმართებაშიც ვერ იყვნენ მთლად კარგად. ეს, წერილის დასაწყისში ნახსენებმა თამაშმაც ნათლად დაგვანახა და მეტ-ნაკლებად თანაბარი სიძლიერის კალათბურთელებით დაკომპლექტებული სდასუ ალბათ ყველაზე მეტად ამას უნდა უფრთხოდეს. თუმცა ნელნელა ყველაფერი მოგვარდება. დროთა განმავლობაში ბიჭები ბურთსაც „გაიამხანაგებენ“, მაგრამ ხვალ რომ უპრინციპულესი მატჩი ელით? მერედა ვისთან — მათი მეტოქე ხომ თსუ-ა. თსუ-ს, რომელიც შეიძლება არ იმჩნევს, მაგრამ წესით ბოლომა უნდა აზრჩობდეს, კარგად ახსოვს ამ ხალხს შარშანდელი წყენანი. გულშემატკივარსაც ახსოვს ამ გუნდების სამმატჩიანი ბრძოლა წინა პირველობაზე, ოთხეულში შესასვლელად რომ ეკვეთნენ ერთმანეთს. მაშინ სდასუმ იმარჯვა და პლეი ოფშიც უფრო ძლიერმა შეაღწია, მაგრამ ვალს ხომ დაბრუნება უნდა. თსუ რის თსუა, ჯავრის ამოყრას არ ეცადოს, მით უფრო, რომ ლიდერებთან თამაში ყოველთვის ეხერხებათ. ეგეც რომ არ იყოს, არც გულშემატკივართ ეხატებათ გულზე სდასუელი კოლეგების ქედმაღლური, გამარჯვებულის იერი. ქომაგები კი მართლაც საამაყო ჰყავთ. სდასუ-ს ფონზე არც თუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ გამორჩეულად ორგანიზებულნი. ეს უკანასკნელნი კი მხოლოდ გამარჯვებას ითხოვენ. გამარჯვებას და მეტს არაფერს, მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, თსუ — სდასუ თამამად შეიძლება მივიჩნიოთ მეორე ტურის ყველაზე საინტერესო მატჩად. წინასწარვე ცნობილია, რომ მეტოქეები ერთმანეთს არ დაზოგავენ. იქნება ბრძოლა, სადაც ის გუნდი გაიმარჯვებს, რომელიც უფრო უკეთ მოემზადა.

ერთიცაა, ნუგზარ კანდელაკს ორწლიანი შესვენების შემდეგ გუნდში დაბრუნება არცთუ იღბლიანი გამოუვიდა — პირველ მატჩში სტუ-სთან დამარცხდა და უეჭველად ამჯერად მაინც ეცდება, გამარჯვებულმა დატოვოს ვერის ბაღი.

7 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 17 საათი

### მაკაბი — აზოტი

„მაკაბი“ — „აზოტის“ ჭიდილი მეტად დაძაბული იქნება. ორივე გუნდის მოთამაშეები ეცდებიან, ბოლომდე წარმოაჩინონ საკუთარი ძალა, რათა თავისიანთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდონ. ამ პაექრობაში არავინ არაფერს დათმობს, მაგრამ „მაკაბის“ გამარჯვება ძნელი სავარაუდოა. კორაჩის თასზე დამარცხებული „აზოტი“ გულის მოფხანას ჩვენს ეროვნულში შეეცდება. თუმცა, თბილისური კლუბი ვიცე-ჩემპიონისთვის არც ისე ხელწამოსაკრავი ჩანს. „მაკაბიმ“ თავისი ბრძოლისუნარიანობა წინა მატჩში გამოავლინა და მეტი იღბალი რომ ჰქონოდა, თსუ-ს გაამწარებდა. ასე რომ, „მაკაბი“ ამჯერად რუსთაველთა დამარცხებას შეეცდება.

„აზოტს“ მეტოქის საბრძოლო ჟინი დიდად არ ანაღვლებს. მისი ისედაც ძლიერი შემადგენლობა მეტად შთამბეჭდავია. გუნდის სული და გული ახლაც ჯაფარიძე და გოგობერიშვილი არიან. მათი წყალობით რუსთაველები შემტევ კალათბურთს თამაშობენ. გუნდთან შეწყობა არც ახალდამატებულ ჟღენტსა და ბაბიაშვილს გასჭირვებიათ. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „აზოტი“ ამ მატჩში უდავოდ ფავორიტია.

თუ „მაკაბის“ შემადგენლობასაც გადავავლებთ თვალს, გამოცდილი მოთამაშეები აქაც არიან. ნაცად სამეულს (ანდღულაძე, ტალაბაძე, ფერიაშვილი) გვერდში ახალწვეულნიც (ჩხაიძე და პაპასკირი) უდგანან. სწორედ ამ ბირთვის ხარჯზე შეეცდება „მაკაბის“ თავკაცობა რუსთაველებთან შეხვედრაში წარმატების მიღწევას.

მათ შორის კი გამოსარჩევი ტალაბაძეა, რომელმაც წინა მატჩში, კრიტიკულ წუთებში ზედიზედ 3 სამქულიანი მიითვალა. დათოს სნაიპერობაში არც თანაგუნდელი ანდღულაძე ჩამორჩება და „აზოტი“ მათ მეტად უნდა უფრთხოდეს.

ისე კი ამ საქმეში არც რუსთაველები არიან ჯაბანნი (გოგობერიშვილი, ჟღენტი, გაბისონია) და მიზანში მსროლელთა დუელს მოედანზე ხშირად ვიხილავთ.

საქართველოს ჩემპიონატი

„გუმარმა“ და „ექსპრესმა“ ერთმანეთთან შეხვედრამდე ორ-ორი მატჩი გამართეს. „გუმარმა“ ორივე წააგო — ასკ-სთან და „დათვებთან“, „ექსპრესი“ კი მხოლოდ ერთხელ დამარცხდა ასკ-სთან, ხოლო „დინამოსთან“ იმარჯვა

# ორი ტაიმი, ორი გუმარი

**გუმარი 19:34 ექსპრესი**

**გუმარი: 3 ლ — მჭედლიშვილი, ელიზბარიძე, აბაშიძე. 2 გ — ჯიმშელაძე, აბაშიძე**

**ექსპრესი: 3 ლ — სუჯაშვილი, ჩაჩუა, კვანტალიანი. 2 გ — კვინიხიძე. 3 ს — კვინიხიძე (2), ძნელაძე. 2 ა — კვინიხიძე, ძნელაძე**

დასაწყისით, როგორც ხედავთ, ვერც ერთი მოიწონებს თავს, განსაკუთრებით ეს „გუმარზე“ ითქმის. ამიტომაც თუ გუმარელებს პლეი ოფში თამაში სურდათ, აუცილებლად უნდა დაემარცხებინათ მეტოქე.

ვაკის სატადიონზე შეკრებილმა მცირერიცხოვანმა მაყურებელმა ორი სრულიად განსხვავებული ტაიმი იხილა. თუ პირველ ნახევარში „ექსპრესის“ უპირატესობა აშკარა იყო, მეორეში სიტუაცია სრულიად შეიცვალა, თუმცა ყველაფერზე თანამიმდევრობით.

უკვე მე-5 წუთზე თანაგუნდელები არეკნით კვინიხიძემ დააწინაურა. სამ წუთში კი შეხვედრის პირველი ლელოც გავიდა. იგი სუჯაშვილის ანგარიშზეა, კვინიხიძემაც ზუსტად გარდასახა — 10:0. ასეთ დასაწყისს, ეტყობა, გუმარელები არ ელოდნენ და ცოტა დაიბნენ კიდეც: ისინი მხოლოდ წესების დარღვევით აჩერებდნენ მეტოქეთ, რომლებიც ჯიუტად ათამაშებდნენ ჯარიმებს (კარში არ ურტყამდნენ) და ამით მარე თხუთმეტი ქულაც დაკარგეს.

„ექსპრესის“ უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ბურძგლას შეგირდებმა პირველ ტაიმში ნორმალური შეტევა ერთადერთხელ განახორციელეს და ისიც მსაჯის სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე. კვინიხიძის ორი საჯარიმოს წყალობით ანგარიში ამ დროს უკვე 16:0 იყო, ბოლო წუთზე კი ჩაჩუამ მეორე ლელოც გაიტანა.

მეორე ნახევარში მოედანზე სულ სხვა „გუმარი“ ვიხილეთ. როგორც ჩანს, მობურთალებმა გააანალიზეს მომხდარი და სწორი დასკვნებიც გამოიტანეს. ამას „ექსპრესის“ ლიდერის, კვინიხიძის უთამაშებლობაც დაემატა (ტრავმის გამო შეცვალეს).

პირველივე წუთზე „გუმარმა“ სახიფათოდ შეუტია, მაგრამ უშედეგოდ. მასპინძელთა შეტევებმა არც ამის მერე იკლო და მე-7 წუთზე მჭედლიშვილმა ლელოთი თავისი გუნდის ანგარიშიც გახსნა. ხუთ წუთში მასპინძლებმა მეორე ლელოც გაიტანეს. იგი ელიზბარიძის ანგარიშზეა და ჯიმშელაძემაც პირველი შემთხვევისგან განსხვავებით ზუსტად გარდასახა.

პირველი სახიფათო შეტევა სტუმრებმა მე-15 წუთზე განახორციელეს, მაგრამ მეტოქის ჩათვლის მოედანთან დაჯარიმდნენ. გუმარელებმა სწრაფად გაითამაშეს ჯარიმა, აბაშიძემ თითქმის მთელი მოედანი გაირბინა, მესამე ლელო გაიტანა და ზუსტადაც გარდასახა.

მესამე ლელომ, ეტყობა, გამოაფხიზლა სტუმრები. მათი შეტევები უფრო დალაგებული და მწვავე გახდა. ტაიმის შუაგულიდან უპირატესობა ისევ „ექსპრესმა“ მოიპოვა, რაც საბოლოო ანგარიშშიც აისახა. ჯერ იყო და ძნელაძემ ჯარიმა, შემდეგ კი არეკნი გაიტანა, ბოლო წუთზე კი კვანტალიანმა ლელოთი და ძნელაძემ ზუსტი გარდასახვით წერტილი დაუსვეს მატჩს.

ამრიგად, „გუმარი“ მესამე შეხვედრაშიც დამარცხდა და ახლა ერთიორად გაუძნელდება ოთხეულში ადგილის დამკვიდრება.

**დინამო 3:76 დათვები**

**დინამო: 1 ს — ღირსიაშვილი**

**დათვები: 12 ლ — დავლაძე (2), შარვაშიძე (5), ჩუბინიძე (2), გურეშიძე, ჯანაშია, გოგისვანიძე. 8 გ — შარვაშიძე (2), ჩუბინიძე (2), დავლაძე, ძაგნიძე (3)**

მესამე შეხვედრაში „დინამოსა“ და „დათვებს“ შორის გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს არ იწვევდა. საინტერესო მხოლოდ ის იყო, რა ანგარიშით გაანადგურებდნენ სტუმრები მასპინძლებს.

**ბაატა თოთაძე**



# კარგი იყო!

**ყოჩები 29:23 ასკ**

**ყოჩები: 4 ლ — ცხვედიანი, კობახიძე, მხეიძე, პეტრიაშვილი. 3 გ — მაჩიტიძე. 1 ს — მაჩიტიძე**

**ასკ: 3 ლ — სუჯაშვილი (2), საკანდელიძე. 1 გ — აბუსერიძე. 2 ს — აბუსერიძე**

„ყოჩების“ ყოჩობა ყველამ იცის, არმიელებმაც წინა ორ ტურში „ექსპესსა“ და „გუმარს“ შეულახეს ავტორიტეტი მოგებებით, ასე რომ ამ მატჩისადმი ინტერესი დიდი იყო. საბედნიეროდ, მოლოდინი გამართლდა და მაყურებელმაც საინტერესო თამაში იხილა, ისეთი, წლევანდელ ჩემპიონატის მშვენებად რომ შეიძლება მივიჩნიოთ.

უშელავათო, თანაც ამოდ საცქერი თამაში ორმხრივი შეტევებით დაიწყო. პირველსავე წუთებზე ორივე გუნდს საჯარიმოებით დაწინაურების საშუალება მიეცა, მაგრამ დამრტყმელთა უზუსტობის გამო ანგარიში მხოლოდ მე-11 წუთზე გაიხსნა: „ყოჩებმა“ მეტოქის სალელო მოედნიდან ხუთიოდ მეტრში მოწოდებული აუტი მოიგეს, ურუშაძემ და დიდებულიძემ კარგი კომბინაციაც გაითამაშეს, რასაც მორკინალთა მიერ ჯგუფურ-ძალისმიერად ბურთის შეტანა და ცხვედიანის ლელო მოყვა, მაჩიტიძემაც ზუსტად გარდასახა — 7:0. ამის მერე „ყოჩების“ მხრიდან დასამახსოვრებელი იყო ურუშაძის ჩინებული სოლო რეიდი და ესკაიას საუცხოო თამაში შერკინების ხაზში, სკა-ს მხრიდან კი შველიძისა და აბუსერიძის გააზრებული მოქმედება. სწორედ ამ უკანასკნელმა შეამცირა სხვაობა ჯარიმით ტაიმის ბოლოს.

მეორე ტაიმი, პირველივით დაძაბული და მიმზიდველი, არმიელთა გააფთრებული შეტევებით დაიწყო და მალე სუჯაშვილმა ლელოთი 8:7 დააწინაურა არმიელები. გარდასახვაც რომ ზუსტი ყოფილიყო, ასკ მეტადაც იხეირებდა, თუმცა „ყოჩები“ რისი ყოჩები იქნებოდნენ, მუდამ სარქენად შემართული რქები იოლად დაეხარათ და ზუსტად ერთ წუთში გიორხელძის კარგი პასით კობახიძემ ლელოთი, ხოლო მაჩიტიძემ გარდასახვით ექვსი ქულით დააწინაურეს თავისიანები — 14:8. ხუთ წუთში ასკ-მ საჯარიმოთი გაანახევრა სხვაობა. ამას „ყოჩების“ გამუდმებული შეტევები მოჰყვა, განსაკუთრებით აქტიურობდა ბესო ტეფნაძე, რომელიც, აშკარაა, თანდათან იბრუნებს ჩვეულ ფორმას. ამის დასტურად გამოდგება ის ეპიზოდი, როცა მან საუცხოო ცრუმოძრაობით აუარა გვერდი რამდენიმე მეტოქეს და კარგადაც გადააწოდა ბურთი ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ მხეიძეს, რომელსაც ლელოს დადება ისევე არ გასჭირვებია, როგორც მაჩიტიძეს მისი გარდასახვა.

არმიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ათქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად მაინც არ გატყდნენ, ის კი არა, უფრო ჟინიანადაც ათამაშდნენ და არაერთი ჩინებული კომბინაციაც გაითამაშეს. მათგან უეჭველად გამოსარჩევნი იყვნენ უჩავა და სუჯაშვილი, რომელმაც ამ მატჩში მეორე ლელო მიითვალა და ანგარიში 21:16 გახადა, ხოლო ვართანოვის კარგ თამაშს საკანდელიძის ლელო და ანგარიშის გათანაბრება მოყვა — 21:21. გარდასახვა კარგად გამოიყენა აბუსერიძემ და თანაგუნდელები შეხვედრაში მეორედ დააწინაურა — 23:21.

ამის შემდეგ დაძაბულობამ უფრო იმატა, ხოლო კულმინაციად 36-ე წუთზე სკა-ს კარში დანიშნული ჯარიმა იქცა. კახა მაჩიტიძე რისი ბომბარდირი იქნებოდა, დაწინაურების ასეთი შანსი ხელიდან გაეშვა და აკი არც გაუშვია — 24:23, წინ „ყოჩებია“.

ყველას რომ ეგონა, შეხვედრა ასე დამთავრდებაო, ბოლო წამებზე პეტრიაშვილმა კობახიძის პასით ლელო გაიტანა.

**რაულ წეველიძე**



ყოჩების ქებული დამრტყმელი კახა „ჩიჩმია“ მაჩიტიძე

# თბილისს ფასი დაედო

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

სხვა მეტოქესთან სუჩას იქნებ არც მოგება გაჭირვებოდა, მაგრამ კულიკოვსკაია უნიკალური ჩოგბურთელია. იგი ბექჰენდის გარეშე თამაშობს, ჩოგანი საჭიროებისამებრ ხელიდან ხელში გადააქვს, რაც ბურთის მიწვდომის არეალს მნიშვნელოვნად უფართოებს, მის მეტოქეებს კი მეტი რისკის გაწევას, ხაზებთან ახლოს თამაშს აიძულებს.

მძიმე სიტუაციაში ჩავარდნილმა რუსმა ბევრი სირბილი აღარ დაიზარა, უკან სულ უფრო მეტი ბურთი მოაბრუნა და სუჩას მწვრთნელმაც ნელ-ნელა უკლო „დობრეს" ძახილს, მერე კი „ნე ბოისა"-ზეც გადავიდა. თუმცა აქედან მოყოლებული კულიკოვსკაიამ ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო და ფინალის საგზურიც გაინაღდა 7:5, 1:6, 6:3.

აი, სლოვაკმა კი მარცხის მიუხედავად რამდენიმე კითხვაზე პასუხი მაინც გაგვცა.

**— 3:1-ს იგებდით და ერთი შეხედვით, გამარჯვებასთანაც ძალიან ახლოს იყავით, რა მოხდა?**

— არ ვიცი, ძალიან არ ვნერვიულობდი, ასე რომ, ამას ვერ დავაბრალებ, ალბათ, ის ათამაშდა უკეთ. თუმცა ჩოგბურთი ასეთი სპორტია, ნებისმიერ მომენტში შეიძლება მოიგო და წააგო კიდეც ცოტაც იღბალი გჭირდება.

**— თბილისში გამოსვლას წარმატებულად თვლით?**

— რა თქმა უნდა, რამდენიმე ძლიერი ჩოგბურთელი დავამარცხე და კარგადაც ვთამაშობდი, საწყენი ის არის, რომ ფინალშიც შემეძლო გასვლა და შანსი ვერ გამოვიყენე

**— ადრე საერთაშორისო ტურნირზე მსგავსი წარმატებისთვის მიგიღწევიათ?**

— არა, ნახევარფინალში არასოდეს ვყოფილვარ. მეოთხედფინალში კი ვიასპარეზე, რამდენიმე კვირის წინ, სოფიაში. თუმცა საზღვარგარეთ იშვიათად დავდივარ, თან, პროფესიონალი მხოლოდ წლის დასაწყისში გავხდი.

**— იუნიორების დიდი სლემის ტურნირებზე თამაშობდით?**

— არა. არასოდეს გამოვსულვარ, ძირითადად ფინანსური პრობლემების გამო. უმეტესად სლოვაკეთში ვთამაშობ, ჩემი კლუბის სახელით გამოვდივარ.

**— ჩოგბურთის გარდა რას საქმიანობთ?**

— ჯერ კიდევ სკოლაში დავდივარ, 18 წელი ნოემბერში მისრულდება, ამიტომ ჯერჯერობით შინ დავალებების კეთება მიხდება. ისე კი ძალიან მიყვარს თხილამურებით სრიალი, თუმცა ტრავმის შიშით დიდი სისწრაფეებთან ცოტა მწყრალად ვარ. მიყვარს წიგნების კითხვაც.

**— სიგამხდრისა და გარეგნული სისუსტის მიუხედავად ძალისმიერ ჩოგბურთს თამაშობთ. ფიზიკური მზადყოფნისთვის საგანგებოდ ვარჯიშობთ?**

— საგანგებოდ არა, თუმცა, რა თქმა უნდა, ტრენაჟორებზეც მიხდება მუშაობა. უმეტესად კორტზე ვვარჯიშობ, დღიდით დაახლოებით ორ საათს, სკოლის შემდეგაც დაახლოებით ამდენივეს.

**— ჩოგბურთში კერპები თუ გყავთ?**

— პატარაობიდან ეს შტეფი გრაფი იყო. ძალიან მომწონს მარტინა ჰინგისი, კაცებიდან კი ჩემივე თანამემამულე კაროლ კუჩერა.

მარტინასთან გამომშვიდობების მერელა გამახსენდა, მისი გვარის სწორი გამოთქმის შესახებაც მეკითხა, ასე რომ, სუხას თუ სუკას საბოლოოდ მაინც ჩვენებური „სუჩა" შერჩა.



*ბადრი კეთილაძის ფოტო*

მარტინა სუჩა

მეორე ნახევარფინალში ელენა მაკაროვამ თანამემამულე მარია გოლოვიზნინასთან პირველ სეტში ფრიად გაილაღა. კლასით გაცილებით დაბლა მდგომი მეტოქე პირველად განთესილმა რუსმა ყველანაირად დაჩაგრა, შემოკლებულების ხშირი და წარმატებული გამოყენებით კი სიქაც გააცალა. მეორე ხელი ლოყებლაჟღაჟა გოლოვიზნინამ, მანამდე ენაგადმოგდებული სირბილისა და მშობლიურ ენაზე გინების მეტი არაფერი რომ არ გაეკეთებინა, ყველასათვის მოულოდნელად ასევე იოლად მოიგო, თუმცა სასწაული მაინც არ მოხდა და ფინალშიც მაკაროვა გავიდა 6:1, 1:6, 6:2.

წყვილებს შორის შაბათს ჩვენთვის ერთი სასიამოვნო ამბავი მოხდა — მაკა ჩახნაშვილი და სოფიკო მანაგაძე მეტოქეების, მილენა ნეკვაპილოვასა და ჰანა სრომოვას გამოუცხადებლობის გამო პირდაპირ ფინალში აღმოჩნდნენ. მეორე ნახევარფინალში კი ბელარუსების — ოლგა გლუშენკოსა და ტატიანა პოუჩეკის დუეტმა სისოევასა და კულიკოვსკაიას აჯობეს 6:2, 3:6, 6:4.

**ფინალი: კულიკოვსკაია — მაკაროვა 2:6, 6:2, 7:5**

თბილისის ღია პირველობის ფინალი ისეთი გამოდგა, ბევრ, გაცილებით დიდ ტურნირსაც რომ დაამშვენებდა — რუსეთის მეოთხე და მეხუთე ჩოგნებმა აკადემიის ცენტრალურ კორტზე მართლაც დასამახსოვრებელი მატჩი გამართეს.

შეხვედრის პირველი ნახევარი მაკაროვას უპირატესობით წარიმართა, რაც ძირითადად მისი ძლიერი მოწოდების დამსახურება იყო. თანაც, 1,80 მეტრიანი რუსი არაჩვეულებრივად სტაბილურად ირჯებოდა — ერთხელ სულაც მიყოლებით 11 პირველი მოწოდება ჩააგდო. კულიკოვსკაიას კი მეტოქის მძლავრ დარტყმებთან და წინასწარ გათვლილ კომბინაციებთან გამკლავება ძალიან უჭირდა.

თუმცა მეორე ხელში მაკაროვამ მომგებიანი ტაქტიკა რატომღაც შეცვალა და, ალბათ, მეტოქის გასავათების მიზნით, შემოკლებულების გამოყენებას მიჰყო ხელი, რაც უმეტესად მისთვის სავალალოდ მთავრდებოდა და რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ქულა, მასთან ერთად კი მთელი სეტიც დააკარგვინა.

გადამწყვეტ პარტიაში დაძაბულობამ და ამავდროულად ლამაზმა გათამაშებებმა კიდევ უფრო იმატა, ერთი, მეოთხე გეიმი კი, რომელსაც ერთი შეხედვით მატჩის ბედიც უნდა გადაეწყვიტა, თითქმის ოცი წუთი გრძელდებოდა. მაკაროვამ მასში რამდენიმე ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა, ნერვებმოშლილმა აკადემიის კედელზე ბურთის რტყმით კინაღამ ერთი გვერდითი მსაჯიც შეიწირა და ანგარიში გაათანაბრა, მერე კი მეტოქეს მოწოდება აართვა და 5:3 დაწინაურდა.

თითქოს ტურნირის ჩემპიონის ვინაობაც გარკვეული იყო, მაგრამ ნახევარფინალური შეხვედრის მსგავსად კულიკოვსკაია არც ამჯერად გატყდა, წაგების პირას აღმოჩენილმა აგრესიულობას უმატა და ჯერ ანგარიში შეამცირა, მერე კი გაათანაბრა კიდეც. გარკვეულწილად ამას მაკაროვამაც შეუწყო ხელი — რაღაც უაზრო, თანაც მოკლე აბრაგნების სერია მოაწყო, რომლებიც მეტოქის იოლ სამიზნეს წარმოადგენდა და საკუთარი მოწოდება მშრალად დათმო — 5:5.

კულიკოვსკაიასაც კი აღარ გასჭირვებია განერვიულებული მეტოქისთვის ბოლოს მოღება, რომელიც სულ უფრო მეტ შეცდომას უშვებდა.

მერე კი იყო დაჯილდოება, ათასნაირი პრიზებისა თუ სიგელების გადაცემა (თუმცა მეზობელ კორტზე გამომწვევად მდგომი თეთრი „ფოლკსვაგენი" რატომღაც არავის რგებია), სამადლობელი სიტყვები სპონსორებისადმი, ფინალისტისა და გამარჯვებულის გამოსვლა, რომელმაც თბილისელებს ქომაგობა მოუწონა, ასე თბილად არც ერთ ქალაქში არ შემხვედრიანო.

მუდმივად მომღიმარი 19 წლის ევგენია (იგივე ჟენია) შესანიშნავ ხასიათზე იყო, მატჩის შემდეგაც კი, როდესაც პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებმა კითხვების სეტყვა დააყარეს.

**— მაკაროვას ადრე შეხვედრიხართ?**

— არა, მე და ლენას ერთმანეთთან აქამდე არასოდეს გვითამაშია. ძალიან ვღელავდი, თუმცა თურმე არც ის ყოფილა უკეთეს დღეში.

**— ყველაზე მეტად როდის გაგიჭირდათ მატჩში?**

— მთელი მატჩი ძალიან მძიმე იყო, თავიდან ბოლომდე, ასე რომ, რომელიმე მომენტის გამოყოფა მიჭირს. სამაგიეროდ, გეტყვით, ყველაზე მეტად რა გამიჭირდა — სპონსორების სახელების გამოთქმა, თუმცა მე მგონი, ძალიან ცუდად არ გამომსვლია.

**— როგორ მოგეწონათ თბილისი, თავად ტურნირი?**

— თბილისი ყოველთვის ძალიან მიყვარდა, აქ არაჩვეულებრივად თბილი ხალხი ცხოვრობს. ტურნირიდან კი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ტკბილი მოგონებები გამყვება. ორგანიზატორებთანაც სასაყვედურო არაფერი მაქვს, ერთი ეგ არის, კარგი იქნებოდა კორტები რომ ცოტა ნაკლებად სრიალა იყოს.

**— ეს თქვენი პირველი ტიტულია?**

— არა, რამდენიმე ასეთი ტურნირი რუსეთშიც მომიგია, საზღვარგარეთაც.

**— თქვენი, როგორც ჩოგბურთელის მიზანი რა არის?**

— კლასიფიკაციის საუკეთესოთა ოცეულში მოხვედრა.

**— ასე უცნაურად, ორივე ხელით რატომ თამაშობთ?**

— პატარაობიდან ასე ვარ მიჩვეული. საქმე ის არის, რომ მარცხენა ხელი სუსტი მაქვს და დიდ დატვირთვებს ვერ უძლებს. თანაც ხელიდან ხელში ჩოგნის გადატანით მეტ ბურთებს ვუსწრებ, რაც ჩემს მეტოქეებს აშკარად არ სიამოვნებთ.

სამწუხაროდ, წყვილების ფინალი სასურველად არ წარიმართა: მაკა ჩახნაშვილი ავადმყოფობის გამო ჩვეულ ფორმაში აშკარად არ იყო და პოუჩეკ-გლუშენკოს დუეტმა, განსაკუთრებით პირველ სეტში, ჩვენებს არანაირი შანსი არ დაუტოვა. მეორე ხელში სოფიკო მანაგაძის დამსახურებით და მეტოქეთა ხელშეწყობით ასე თუ ისე თანაბარი ბრძოლა წარიმართა, მეტისმეტად ნერვიულმა პოუჩეკმა ჩოგანიც გამეტებით ურტყა კორტს, თუმცა გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს არც არასოდეს იწვევდა — 6:2, 6:4 სტუმართა სასარგებლოდ.

**ავთანდილ სვანიძე**



*ბადრი კეთილაძის ფოტო*

ელენა მაკაროვა

# მარსელო რიოსი ზანგმეს მნდობა



*REUTERS მიუნხენიდან*

მარსელო რიოსი

**მიუნხენი. გერმანია. დიდი სლემის თასი. ტარდება ხალიჩაზე**
**საპრიზო 6,7 მილიონი $**

**კაცების მეოთხედფინალი: ანდრე აგასი (აშშ) — პეტერ კორდა (1, ჩეხეთი) 4:6, 6:1, 6:0; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — გორან ივანიშევიჩი (4, ხორვატია) 5:7, 6:4, 8:6.**

**კაცების ნახევარფინალი: აგასი — კუჩერა 7:6(7:1), 6:7(5:7), 2:6, 7:5, 6:0; მარსელო რიოსი (2, ჩილე) — მარკ ფილიპუსისი (3, ავსტრალია) 7:6(7:4), 6:3, 6:4**

ნახევარფინალში ანდრე აგასიმ ჩოგბურთის მოყვარულებს დაუვიწყარი სპექტაკლი აჩუქა. ხოტორა ლას ვეგასელი შოუმენი კაროლ კუჩერასთან მატჩის მეოთხე სეტში 2:5-ს აგებდა, როდესაც ერთი შეხედვით გამოუვალი სიტუაციიდან გამოსავალი იპოვა — ოთხი მატჩ-პოინტი გადაარჩინა და თანაც ისე ათამაშდა, მეტოქისთვის მატჩის ბოლომდე ერთი გეიმიც აღარ დაუნებებია.

„ეს ძალიან მძიმე მატჩი იყო (იგი 3 საათსა და 41 წუთს გრძელდებოდა). დაღლილი მეც ვიყავი, მაგრამ მასზე ნაკლებად. სწორედ ეს არის კარგი ჩოგბურთში — იგი შენგან სრულყოფილებას კი არ ითხოვს, არამედ მხოლოდ მეტოქის ჯობნას" — განაცხადა პრესკონფერენციაზე ამერიკელმა, რომელმაც კუჩერასთან აშშ-ის ღია პირველობაზე ასევე ხუთ სეტში განცდილი მარცხისთვის იძია შური.

მეორე ნახევარფინალი მოულოდნელად დასრულდა — მიუნხენის „ოლიმპია ჰალეს" ხალიჩისთვის ზედგამოჭრილი უძლიერესი მოწოდების მიუხედავად, „სკად" ფილიპუსისმა სწრაფ კორტებზე თამაშის არცთუ მაინცდამაინც მოყვარულ მარსელო რიოსს ხეირიანი წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწია. „მოუთმენლად ველი ანდრესთან შეხვედრას. შესანიშნავი მატჩი უნდა გამოდგეს" — ეს გამარჯვებულის აზრია.

**ფინალი: რიოსი — აგასი 6:4, 2:6, 7:6(7:1), 5:7, 6:3.**

წინა დღეს გამართული დამქანცველი ორთაბრძოლის შემდეგ აგასი ფინალს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არ შეხვედრია, მაგრამ, თავის მხრივ, არც რიოსი გახლდათ დალხენილი: „გუშინ ზურგი ამტკივდა და ვიფიქრე, ფინალს არ ვითამაშებ-მეთქი. ამის გამო მეორე სეტშიც კინაღამ დავანებე თავი ყველაფერს, მაგრამ მაყურებლებს შევხედე და მივხვდი, რომ ასეთ მატჩზე უარის თქმა, უბრალოდ, არ შეიძლებოდა".

ასე რომ, ზურგის ტკივილისა და მეორე სეტში გაწეული საკმაოდ ხანგრძლივი სამედიცინო დახმარების მიუხედავად კჯიანმა ჩილელმა თამაში გააგრძელა, სამი საათი სამაგალითოდ იბრძოლა და მიუნხენში მოგებული სამი მატჩისთვის 1,3 მილიონი დოლარიც მიითვალა, ერთ მომენტში კი, როდესაც ბადესთან ქულა სულაც კორტზე მჯდარმა მოიპოვა, გერმანელები ფეხზეც წამოაყენა.

მარსელომ მატჩის შემდეგ განაცხადა, წარმოდგენა არა მაქვს, რამდენი მერგო საპრიზოებითო (ისე, ძნელია ამის დაჯერება) და ერთი მცოდნე ჟურნალისტისგან ზუსტი რაოდენობა რომ გაიგო, ფრიად ნასიამოვნები დარჩა: „ეს მართლაც დიდი თანხაა, მაგრამ იცით, მე არ მივეკუთვნები იმ ადამიანებს, მანქანებისა და სახლების კოლექციას რომ აგროვებს. ამ ფულს, ალბათ, უკლებლივ ბანკში შევიტან".

აგასიმ კი, რომელიც დამარცხების მიუხედავად, ტურნირზე თავისი თამაშით ძალიან კმაყოფილი დარჩა, 650 ათასი დოლარი ჩაიჯიბა.

**ქალების ნახევარფინალი: ვინუს უილიამსი (აშშ) — ნატალი ტოზია (საფრანგეთი) 6:4, 6:0; პატი შნიდერი (შვეიცარია) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 5:7, 7:5, 5:5 (ტრავმა)**

მიუნხენში კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მარტინა ჰინგისის უძლეველობის მითს წლეულს წყალი აქვს შემდგარი.

მარტინას ნახევარფინალში მეტად პრინციპული შეხვედრა ჰქონდა თავისივე თანამემამულე პატი შნიდერთან, მაგრამ მესამე სეტში 5:1 უპირატესობა და მატჩ-პოინტიც გაანიავა, მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა მისცა და გარდაუვალ მარცხს ვითომდა ტრავმის მომიზეზებით გადაურჩა. შნიდერს იმედგაცრუება არ დაუმალავს: „ეჭვი არ მეპარება, იმ ორ გეიმსაც მოვიგებდი, მაგრამ არა უშავს, ამ ტურნირმა საკუთარ ძალებში დამარწმუნა. გამოჩნდა, რომ ნებისმიერის დამარცხება შემიძლია".

**ფინალი: უილიამსი — შნიდერი 6:2, 3:6, 6:2.**

ჰინგისისა და ნოვოტნას დამმარცხებელმა, 19 წლის შნიდერმა მიუნხენში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ფინალში უფროსი უილიამსის მეტისმეტ ჯანს ვერაფერი მოუხერხა და 400 ათასით დაკმაყოფილდა.

„ძალიან მინდოდა ამ ტურნირის მოგება, ფინალში კი შნიდერს ზუსტად იმდენით ვჯობდი, გამარჯვებისთვის საკმარისი რომ აღმოჩნდა" — განაცხადა ვინუსმა. კითხვების გარეშე არც ამერიკელის მოპოვებული 800 ათასი დარჩენილა: „თანხა მართლაც მოზრდილია, მაგრამ მე საკმაოდ დიდ გადასახადებსაც მახდევინებენ".

**ტულუზის ღია პირველობა. საფრანგეთი.**
**საპრიზო 400 ათასი $**

**ნახევარფინალი: გრეგ რუზეცკი (1, ინგლისი) — ნიკოლას კიფერი (4, გერმანია) 6:4, 6:1; იან სიმერინკი (2, ჰოლანდია) — ტომას იოჰანსონი (3, შვედეთი) 6:4, 5:7, 6:3.**

**ფინალი: სიმერინკი — რუზეცკი 6:4, 6:4.**

**მალიორკას ღია პირველობა. ესპანეთი.**
**საპრიზო 500 ათასი $**

**ნახევარფინალი: კარლოს მოია (1, ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:1, 6:2; გუსტავო კუერტენი (8, ბრაზილია) — ტომას მუსტერი (5, ავსტრია) 7:5, 7:5.**

**ფინალი: კუერტენი — მოია 6:7(5:7), 6:2, 6:3.**

**ავთანდილ სვანიძე**


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორაშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29